აკადემიური წერა

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

აკადემიური წერა

თბილისი 2022

აკადემიური წერის სტანდარტს მნიშვნელოვანი როლი აქვს კვლევით საქმიანობაში, რაც ხშირად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ამ ტიპის დოკუმენტები შესაბამის სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს, რათა ნაშრომი იყოს დამაჯერებელი, თანმიმდევრული, სტრუქტურირებული და, ზოგადად, უფრო საინტერესო.

ამ გზამკვლევის შექმნა, პირველ ყოვლისა, კვლევითი ნაშრომების აკადემიური სტილის ჰარმონიზაციას ემსახურება. ამასთანავე, მისი მიზანია, დაეხმაროს ავტორებს იმ უნარების გაუმჯობესებაში, რომლებიც მათ არასამთავრობო ორგანიზაციებში სხვადასხვა სახის დოკუმენტებზე მუშაობის დროს გამოადგებათ.

გზამკვლევი შედგება სამი ნაწილისგან. I ნაწილი შეეხება კვლევის მეთოდებს და განასხვავებს მათ სამეცნიერო სფეროების მიხედვით; II ნაწილი მოიცავს აკადემიური წერის ზოგად წესებს, ხოლო III ნაწილი ადგენს ციტირების ერთიან სტილს, რომელიც ამ დოკუმენტისთვის უნიკალურია და სხვადასხვა საერთაშორისო ციტირების წესის ანალიზის შედეგად შეიქმნა.

სახელმძღვანელო მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის დახმარებით, პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ - ფარგლებში.

გზამკვლევის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის გულწრფელი მადლობა ეკუთვნის მის ავტორს - ნიკა არევაძეს, ასევე, საიას დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის დირექტორს - ვახუშტი მენაბდეს და ამავე პროგრამის პროექტის კოორდინატორს - ნანუკა ყრუაშვილს, რომლებიც პროექტს ხელმძღვანელობდნენ. განსაკუთრებული მადლობა რედაქტორს - ხათუნა ყვირალაშვილს და ტექნიკურ რედაქტორს - ირაკლი სვანიძეს გზამკვლევზე მუშაობისთვის.

იმედია, აკადემიური წერის სახელმძღვანელო წვლილს შეიტანს სამოქალაქო საზოგადოების მიერ აკადემიურად მაღალი ხარისხის ნაშრომების შექმნაში.

© 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

ნაწილი I. კვლევის მეთოდები 6

1. კვლევის მიდგომები, მეთოდოლოგია და მეთოდები 7

2. კვლევის მეთოდები სამართალში 9

2.1. დოქტრინალური კვლევა 10

2.2. სოციოსამართლებრივი (არადოქტრინალური) კვლევა 11

2.3. შედარებითსამართლებრივი კვლევა 11

3. კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში 14

3.1. თვისებრივი კვლევა 14

ინტერვიუ (სტრუქტურირებული და ნახევრად სტრუქტურირებული) 14

ფოკუსχგუფები 15

შინაარსის („content“) ანალიზი 16

შემთხვევის შესწავლა („case study“) 17

3.2. რაოდენობრივი კვლევა 18

კითხვარები (მოსახლეობის, ექსპერტების) 18

სტატისტიკური ანალიზი 18

4. კვლევა შერეული მეთოდებით 18

ნაწილი II. აკადემიური წერის წესები 22

1. ნაშრომის სხვადასხვა ტიპი 23

1.1. აკადემიური წერა - ზოგადი მიმოხილვა 23

1.2. ნაშრომის სხვადასხვა ტიპის მოთხოვნები 26

2. ტექსტის შემუშავების ნაბიჯები 32

2.1. დაგეგმვა, ორგანიზება და სტრუქტურა 32

2.2. კვლევა 32

2.3. პირველი პროექტი და გადახედვა 33

2.4. კომენტარების და შესწორებების ასახვა 34

2.5. ციტირება და სტილი 35

2.6. საბოლოო პროექტი 35

2.7. რედაქტირება 37

3. ნაშრომის კომპონენტები და სტრუქტურა 36

3.1. ტექსტის სტრუქტურის ძირითადი პრინციპები 36

3.2. ტექსტის კომპონენტები ... 37
4. ტექსტის მახასიათებლები ... 42
4.1. სიცხადე და წაკითხვადობა ... 42
4.2. ტექსტის ინკლუზიურობა ... 43
4.3. აკადემიური პასუხისმგებლობა - პლაგიატი და წყაროების გამოყენება ... 43

ნაწილი III. აკადემიური წერის ერთიანი სტილი. პრაქტიკული გზამკვლევი ... 45
შესავალი ... 46
1. სტილი ... 47
1.1. ციტატები ... 47
1.2. სათაურების და თავების გამოყოფა ... 48
1.3. აბრევიატურები და შემოკლებები ... 49
1.4. ტექსტის ეფექტები ... 50
1.5. ფორმატი ... 50
1.6. ციფრები და თარიღები ... 50
1.7. ზოგიერთი სასვენი ნიშნის გამოყენება ... 51
1.8. უცხოური წყაროები, სახელები და ტრანსლიტერაცია ტექსტში ... 52
1.8.1. უცხოენოვანი სახელების ტრანსლიტერაცია ... 52
1.8.2. დოკუმენტი ქართულ ენაზე ... 53
1.8.3. დოკუმენტი ინგლისურ ენაზე ... 54
1.9. ლათინური ტერმინები ... 54
2. ციტირების ერთიანი წესი ... 54
2.1. ციტირების ზოგადი წესები ... 54
2.1.1. ციტირების მთავარი პრინციპები ... 54
2.1.2. ციტირების ზოგადი წესი ... 55
2.1.3. უცხო ენაზე არსებული წყარო ... 59
2.1.4. წყაროების თანმიმდევრობა სქოლიოში ... 59
2.1.5. ინტერნეტწყაროები და ბმულები ... 60
2.1.6. რამდენიმე ავტორი ... 62
2.1.7. წყაროს ციტირება, რომელიც სხვა წყაროშია ციტირებული (არაპირდაპირი წყარო) ... 63
2.2. აკადემიური ლიტერატურა ... 64
2.2.1. წიგნი ... 64

2.2.2. თავი ან სექცია რედაქტირებულ წიგნში 64
2.2.3. ელექტრონული წიგნი 65
2.2.4. სტატია ჟურნალში 66
2.3. არააკადემიური ლიტერატურა 67
2.3.1. გაზეთი და არააკადემიური ჟურნალი 67
2.3.2. ანგარიში და კვლევითი დოკუმენტები 68
2.3.3. თეზისი და დისერტაცია 69
2.3.4. ვებსაიტები, ბლოგები და სოციალური მედია 69
2.3.5. ინტერვიუს ციტირება 72
2.3.6. საჯარო და პერსონალური კომუნიკაციის ციტირება 73
2.4. სამართლებრივი წყაროები 74
2.4.1. სამართლებრივი აქტები 74
2.4.2. სასამართლოს აქტები (გადაწყვეტილებები, განსხვავებული და თანმხვედრი აზრები) 83
2.5. დამხმარე ინფორმაცია 86
2.5.1. ციტირების გენერატორი პროგრამები 86
2.5.2. დამატებითი რესურსები 87

ნაწილი I

კვლევის მეთოდები

1. კვლევის მიდგომები, მეთოდოლოგია და მეთოდები

კვლევითი საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხოლოდ ერთ-ერთი ფუნქციაა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში სწორედ კვლევის შედეგად ჩამოყალიბებულ მიგნებებს, დასკვნებს ეფუძნება მათი სხვა აქტივობები და ფუძემდებლური პოზიციები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, კვლევითი საქმიანობის ხარისხი აკადემიურ მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს.

კვლევა უკიდურესად ზოგადი ტერმინია, რომელიც მეცნიერების სხვადასხვა დარგში მათი სპეციფიკის შესაბამისად ხორციელდება. იგი გულისხმობს ამა თუ იმ პრობლემის დეტალურ შესწავლას, ახალი ინფორმაციის აღმოჩენას ან საკითხის უკეთ გააზრებას.[1] პროცესი მოიცავს მონაცემების მოგროვებას, დახარისხებას და ანალიზს. ის შეიძლება კატეგორიზდეს მიზნების, ფარგლების ან მასალის ტიპის მიხედვით.

ემპირიული კვლევა ჯერ იძიებს, შემდეგ კი აანალიზებს მონაცემებს ისეთი მეთოდების მეშვეობით, როგორებიცაა დაკვირვება, ექსპერიმენტი და სხვა. ის შეიძლება იყოს თვისებრივი ან რაოდენობრივი. პირველი იყენებს ისეთ მეთოდებსა და ტექნიკას, როგორებიცაა ინტერვიუ, კითხვარები, ფოკუსჯგუფები, დაკვირვება ინფორმაციის მოსაპოვებლად. გარდა ამისა, შეისწავლის სოციალური რეალობის ინდივიდუალურ გაგებას, ეყრდნობა სუბიექტურ კონტექსტს. ამის საპირისპიროდ, მეორე მათგანი მიმართულია მონაცემების შეგროვება-ანალიზის რიცხობრივ, გამოთვლით მეთოდებზე. ამისთვის იყენებს სტატისტიკას, მათემატიკურ ფორმულებს და შესაბამის პროგრამებს.

ემპირიულისგან განსხვავებით, კონცეპტუალური/თეორიული კვლევა შეეხება აბსტრაქტულ კონცეფციებს, იდეებს, მიზნად ისახავს ახალი თეორიების ჩამოყალიბებას ან არსებულის კრიტიკას.

ასევე შეიძლება გამოიყოს კვლევის აღწერილობითი და განმარტებითი/მიზეზშედეგობრივი სახეები. პირველის მიზანია კონკრეტული მოვლენის თვისებების მიმოხილვა მის გამომწვევ ფაქტორებზე მსჯელობის გარეშე, ხოლო მეორე აანალიზებს მიზეზშედეგობრივ კავშირებს მოვლენასა და მის ეფექტებს შორის. კვლევითი პროექტი, ძირითად შემთხვევებში, ყველა ამ ასპექტს აერთიანებს.

გამოყენებული წყაროების მიხედვით, განასხვავებენ პირველად და მეორად კვლევას. პირველადი გულისხმობს იმ მასალების შესწავლას, რომლებსაც მკვლევარი თავად მოიპოვებს. ხოლო მეორადი ეყრდნობა სხვების მიერ მიგნებული ინფორმაციის სინთეზს. აღსანიშნავია, რომ კარგი კვლევითი ნაშრომი ორივე ტიპის რესურსს მიმოიხილავს და ეფუძნება. ამასთან, პირველადი და მეორადი წყაროს გაგება განსხვავდება დისციპლინების მიხედვით. მაგალითად, პოლიტიკურ მეცნიერებებში პირველადი სამართლებრივი წყაროები, შესაძლოა, მეორადად აღიქმებოდეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მასალები და მათი კატეგორიზება დაკავშირებული იყოს შერჩეულ მეთოდოლოგიასთან.

ეს ტიპოლოგიური დაყოფები არ გულისხმობს, რომ კვლევითი საქმიანობა მხოლოდ ერთ რომელიმე სახეს უნდა განეკუთვნებოდეს. პრაქტიკაში კვლევითი დოკუმენტი,

[1] Cambridge Dictionary, 'Research Definition', Dictionary, Cambridge Dictionary, ხელმისაწვდომია: https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/research, განახლებულია: 7.10.2021.

თითქმის ყოველთვის, აქ ჩამოთვლილი რამდენიმე ტიპის ერთობლიობაა. მაგალითად, სასამართლო სისტემის ანალიზი, შესაძლოა, მოიცავდეს როგორც არსებული სიტუაციისა და პრობლემების აღწერას, ასევე მათი მიზეზების შესწავლას, მათ კრიტიკულ მიმოხილვას. ამასთანავე, იგი დაეყრდნობა როგორც პირველად (სამართლებრივი რეგულაციები, ინტერვიუები დაზარალებულ ადამიანებთან და ა.შ.), ისე მეორად წყაროებს (ანგარიშები და სამეცნიერო ლიტერატურა). ბოლოს, ასეთმა კვლევამ შეიძლება შეაჯეროს არსებული თეორიები სასამართლო ხელისუფლების შესახებ და მკითხველს, ემპირიული მონაცემების შესწავლასთან ერთად, ახალი თეორია შესთავაზოს. შესაბამისად, შესაძლებელია, კვლევის განსხვავებული სახეები ერთი ნაშრომის კომპონენტებს განეკუთვნებოდეს.

მიუხედავად დისციპლინისა, კვლევის პროცესს ორი მთავარი ეტაპი აქვს - ჯერ მონაცემების მოგროვება, შემდეგ კი მათი ანალიზი. თუმცა, ამ ძირითად ნაწილებამდე მისასვლელად აუცილებელია კვლევისთვის მომზადება, რაც შემდეგ ასპექტებს მოიცავს:

- პრობლემური საკითხის იდენტიფიცირება - ამ ეტაპზე იკვეთება ის პრობლემა ან საკითხი, რომლის შესახებ კითხვებსაც კვლევამ უნდა უპასუხოს;
- არსებული ლიტერატურის დამუშავება - ამ ეტაპზე მოწმდება ლიტერატურა საკვლევი საკითხის გარშემო, პრობლემის რა ასპექტებს ფარავს ის და რა ხარვეზები ან კითხვები რჩება პასუხგასაცემი;
- თეზისის, ჰიპოთეზის ან კითხვის ჩამოყალიბება - ამ ეტაპზე ყალიბდება ის მთავარი კითხვა ან ჰიპოთეზა, რომელსაც ნაშრომი იკვლევს;
- მონაცემების განსაზღვრა - ამ ეტაპზე გამოიკვეთება, რა სახის მონაცემების დამუშავებაა საჭირო მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
- კვლევის მეთოდების ჩამოყალიბება - ამ ეტაპზე განისაზღვრება, როგორ დამუშავდება საკვლევი მონაცემები.

მოსამზადებელი ნაწილი არის კვლევის პროცესის საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს, რა, რატომ და როგორ გაანალიზდება. შესაბამისად, ის უზრუნველყოფს, რომ ნაშრომი სრულ და სიღრმისეულ შედეგებამდე მივიდეს.

სხვადასხვა კომპონენტთან ერთად, აუცილებელია, კვლევა ეყრდნობოდეს მონაცემების ანალიზის სათანადო მეთოდოლოგიას და მკითხველს მათ შესახებ ინფორმაციას აწოდებდეს. მეთოდოლოგია პასუხობს კითხვებს, რა მონაცემებს შეისწავლის მკვლევარი, როგორ და რატომ. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ცნებები „მეთოდი“ და „მეთოდოლოგია“ ურთიერთმონაცვლე ტერმინებად გამოიყენება, რაც შეცდომაა.[2]

კვლევის მეთოდოლოგია არის მკვლევრის მიერ გამოყენებული ზოგადი მიდგომა, რომელიც განსაზღვრავს მეთოდების სახეს. ის დაკავშირებულია იმ ფუნდამენტურ თეორიებსა და კონცეფციებთან, რომლებსაც მკვლევარი მიჰყვება. მაგალითად, ეპისტემიოლოგიის ობიექტივისტურ თუ კონსტრუქტივისტულ თეორიებს შორის

[2] მეთოდებსა და მეთოდოლოგიას შორის განსხვავების თაობაზე დამატებითი მსჯელობა იხ. Bård A. Andreassen, Hans-Otto Sano, and Siobhán McInerney-Lankford, 'Human Rights Research Method', in *Research Methods in Human Rights: A Handbook*, ed. Bård A. Andreassen, Hans-Otto Sano, and Siobhán McInerney-Lankford, Handbooks of Research Methods in Law Series (Cheltenham, UK: Edward Elgar Publishing, 2017), 2; Dawn Watkins and Mandy Burton, 'Introduction', in *Research Methods in Law*, 2nd ed. (Routledge, 2017), 2.

არჩევანი, რომელიც განსაზღვრავს ზოგად მიდგომას კვლევითი პროექტის მიმართ, მეთოდოლოგიური საკითხია. აუცილებელი არ არის, ნაშრომი მას დეტალურად ხსნიდეს, თუმცა რეკომენდებულია, მიუთითებდეს იმ ძირითად მიდგომებსა და თეორიებზე, რომლებიც კვლევის საფუძველს ქმნის.

კვლევის მეთოდი ამ მიდგომის კონკრეტული გამოხატულებაა და მიემართება პრაქტიკაში მის გატარებას. სხვა სიტყვებით, კვლევის მეთოდზე საუბრისას უნდა აღწეროთ თქვენი მეთოდოლოგიური მიდგომის ფარგლებში მონაცემებსა და წყაროებთან ურთიერთობის სპეციფიკური გამოვლინებები. მაგალითად, თუ მკვლევრის მეთოდოლოგია დაკავშირებულია სამყაროს ობიექტივისტურ აღქმასთან, მეტად ლოგიკურია, რომ მან რაოდენობრივი ხერხები გამოიყენოს, მაშინ, როდესაც კონსტრუქტივისტულ მიდგომას თვისებრივი კვლევის მეთოდები შეესაბამება.[3]

ასევე მნიშვნელოვანია, კვლევითი ნაშრომი მიუთითებდეს არა მხოლოდ გამოყენებულ მეთოდოლოგიასა ან მეთოდებზე, არამედ მონაცემების მოპოვებისთვის, მოგროვება-ანალიზისთვის გამოყენებულ ინსტრუმენტებსა და ხერხებზეც. მარტივად რომ ვთქვათ, ნაშრომმა მკითხველს კვლევის პროცესი საკმარისად დეტალურად უნდა აღუწეროს, რათა დაარწმუნოს მისი მიგნებების სანდოობაში, ობიექტურობასა და სინამდვილეში.

კვლევის მეთოდებზე საუბრისას რთული ფილოსოფიური კონცეფციები ან ტერმინები მკითხველის ფართო წრისთვის შეიძლება გაუგებარი დარჩეს. შესაბამისად, არ არის აუცილებელი ნაშრომში მეთოდოლოგიის ფილოსოფიური საწყისების დეტალურად ახსნა, ხოლო მეთოდების განხილვისას - რთული ტერმინოლოგიის გამოყენება. თუ ეს გარდაუვალია, მას შესაბამისი განმარტებები უნდა დაერთოს.

კვლევის მეთოდები განსხვავდება სამეცნიერო დისციპლინების მიხედვით. მაგალითად, სამართლის კვლევისთვის, ტრადიციულად, გამოიყენება დოქტრინალური, ხოლო სოციალურ მეცნიერებებში - თვისებრივი ან რაოდენობრივი მეთოდები. თუმცა, ერთ ნაშრომში, შესაძლებელია, რამდენიმე დისციპლინისთვის დამახასიათებელი მეთოდი გაერთიანდეს და კვლევას ინტერდისციპლინური სახე ჰქონდეს. მაგალითად, კონკრეტული უმცირესობის ჯგუფის დისკრიმინაციის საკითხზე მომზადებული ნაშრომი შეიძლება მოიცავდეს როგორც კანონმდებლობის დოქტრინალურ მიმოხილვას, ისე ამ ჯგუფების მოსაზრებების თვისებრივ ანალიზს ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების მეშვეობით.

2. კვლევის მეთოდები სამართალში

სამართლის მეცნიერება, ტრადიციულად, იყენებს მისთვის დამახასიათებელი კვლევის მეთოდების ერთობლიობას. ამ მიმართულებით, ძირითადად, განასხვავებენ ორ - დოქტრინალურ და არადოქტრინალურ მეთოდებს. მათ შორის მთავარი სხვაობა წყაროებთან მიმართებაა. დოქტრინალური კვლევისთვის არსებითია, რას ამბობს სამართალი და მისი დოქტრინალური წყაროები (ე.წ. “black letter law”). ხოლო არა-

[3] Kaya Yilmaz, ‘Comparison of Quantitative and Qualitative Research Traditions: Epistemological, Theoretical, and Methodological Differences’, *European Journal of Education* 48, no. 2 (2013): 312, https://doi.org/10.1111/ejed.12014.

დოქტრინალური ინტერესდება სამართლის სოციალური ეფექტით, თუ როგორ გამოიყენება ის პრაქტიკაში, შესაბამისად, ემპირიულ მეთოდებს იყენებს. ეს უკანასკნელი ასევე მოიხსენიება, როგორც სოციოსამართლებრივი კვლევა.[4]

2.1. დოქტრინალური კვლევა

დოქტრინალური მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენი მიზანია, ვუპასუხოთ კითხვას - „რა არის კანონი". სხვა სიტყვებით, ის იკვლევს სამართალს, როგორც დოქტრინას და არა - მის სოციალურ ან სხვა განზომილებებს. შესაბამისად, დოქტრინალური კვლევისთვის საჭირო მასალებს მიეკუთვნება სამართლებრივი ძალის მქონე აქტები და ნორმები, მათი განმარტებები სასამართლოს მიერ, ასევე აკადემიური ლიტერატურა. ამ მეთოდის დამახასიათებელი ნიშანია სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის კრიტიკული ანალიზი სამართლებრივი დოქტრინის სრული და სწორი შინაარსის განსაზღვრისთვის.[5]

დოქტრინალური მეთოდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წყაროებს შორის იერარქიას, პირველადი და დამხმარე მონაცემების განსაზღვრას.[6] პირველად წყაროებს მიეკუთვნება საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი აქტები (მაგალითად, საერთაშორისო აქტები, ეროვნული კანონები და კანონქვემდებარე აქტები), ასევე მათი სავალდებულო სასამართლო განმარტებები. ხოლო მეორადი წყაროებია არასავალდებულო სასამართლო თუ ოფიციალური დოკუმენტები,[7] აკადემიური ლიტერატურა, ანგარიშები, კომენტარები. დოქტრინალური მეთოდი სამართალს აღიქვამს, როგორც პრინციპების, წესებისა და გამონაკლისების თანმიმდევრულ, ერთიან სისტემას.[8] შესაბამისად, იგი სამართლის სისტემაში გარკვეულ ლოგიკას ხედავს და პრობლემების გადაჭრასაც მისი მეშვეობით ცდილობს.

სხვა მეთოდების მსგავსად, დოქტრინალური კვლევაც ორნაწილიანი პროცესია. იგი მოიცავს სამართლებრივი წყაროების იდენტიფიცირებას და მათი ტექსტების ანალიზს.[9] დოქტრინალური კვლევის ფარგლებში წყაროების დამუშავება ეფუძნება ლოგიკური მსჯელობის ისეთ ტექნიკებს, როგორებიცაა დედუქციური, ინდუქციური მეთოდები („reasoning") და ანალოგია.[10]

- **დედუქციური მეთოდი** გულისხმობს ზოგადი წესიდან გამომდინარე მსჯელობის კონკრეტული საქმისა ან შემთხვევისთვის მორგებას;
- **ინდუქციური მეთოდი** მოითხოვს კონკრეტული შემთხვევებიდან მომდინარე ტენდენციებიდან ზოგადი წესის ან პრინციპის დადგენას;

---

[4] Bhat, 162-66.

[5] Terry Hutchinson, 'Doctrinal Research: Researching the Jury', in *Research Methods in Law*, ed. Dawn Watkins and Mandy Burton, 2nd ed. (New York, Routledge, 2018), 13.

[6] პირველადი და მეორადი წყაროები აქ გამიჯნულია მათი სამართლებრივი და არა - ზოგადმეცნიერული გაგებით. ამ უკანასკნელის თანახმად, დოქტრინალური კვლევის წყაროები ადამიანების მიერ შექმნილი და, შესაბამისად, მეორადი წყაროებია. იხ. Amrit Kharel, 'Doctrinal Legal Research', *SSRN Electronic Journal*, 2018, 10, ხელმისაწვდომია: https://doi.org/10.2139/ssrn.3130525.

[7] ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, განსხვავებული აზრი, სასამართლოს სარეკომენდაციო (advisory) აქტები, გაეროს ადამიანის უფლებების ორგანოების ზოგადი კომენტარები და ა.შ.

[8] Hutchinson, 'Doctrinal Research: Researching the Jury', 14.

[9] Hutchinson, 18.

[10] Hutchinson, 19; Suzanne Egan, 'The Doctrinal Approach in International Human Rights Law Scholarship', *Research Methods in Human Rights*, 2018, 25.

- **ანალოგია** გამოიყენება, როდესაც პირდაპირი ზოგადი წესი არ არსებობს და მკვლევარს მხოლოდ მსგავსი საქმისა ან ნორმის მეშვეობით შეუძლია დასკვნამდე მისვლა.[11]

დოქტრინალური მეთოდის მეშვეობით მკვლევარი კითხულობს სამართლებრივ ტექსტს, თუმცა იგი განსხვავდება ლიტერატურის მიმოხილვის, შინაარსის ანალიზისა და ისტორიულ-სამართლებრივი მეთოდებისგან, რომლებიც ასევე შეიძლება გამოიყენებოდეს მასალებზე მუშაობისას. იგი სწავლობს პრობლემებს სამართლებრივი წყაროების საფუძველზე; იკვლევს სამართლის არსს და არა - მის სხვა განზომილებებს, მათ შორის, როგორი უნდა იყოს იგი, ან რა გავლენა აქვს სუბიექტებზე. ის არის „კვლევა სამართალში და არა - სამართალზე".[12]

დოქტრინალური მეთოდი სამართლის მეცნიერების ტრადიციაში დომინანტურ პოზიციას იკავებს, თუმცა მას ბევრი აკრიტიკებს. მაგალითად, მიიჩნევენ, რომ ის სამართალს იზოლირებულად და კონტექსტისგან განცალკევებით აანალიზებს.[13] შესაბამისად, იგი ყურადღებას აქცევს მხოლოდ სამართლის დოქტრინას და არა - მის სოციალურ ასპექტებს, რაც ხშირად არ არის საკმარისი ამა თუ იმ საკითხის სიღრმისეულად გამოსაკვლევად.[14] აქედან გამომდინარე, შესაძლოა, კვლევის სრულყოფისთვის საჭირო გახდეს მისი შევსება არადოქტრინალური მეთოდებით.

2.2. სოციოსამართლებრივი (არადოქტრინალური) კვლევა

დოქტრინალურისგან განსხვავებით, არადოქტრინალური კვლევა სამართლის სოციალური კონტექსტით ინტერესდება. ის ამ განზომილების გასაანალიზებლად სოციალური მეცნიერებებისთვის დამახასიათებელ მეთოდებს იშველიებს. არადოქტრინალურ კვლევას სოციოსამართლებრივსაც უწოდებენ. მისი ფარგლები ხშირ შემთხვევაში ფართოდ განიმარტება. ეს გულისხმობს მიდგომას, რომელიც სამართალს, მის შემადგენელ ნაწილებს სწავლობს, როგორც სოციალურ მოვლენას. იგი გამოიყენება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, პოლიტიკურ მეცნიერებებში, სამართალში, ეკონომიკაში, ისტორიაში, სოციოლოგიასა და ანთროპოლოგიაში. შესაბამისად, ის, შესაძლოა, შეიცავდეს ამ დარგებისთვის დამახასიათებელ მეთოდებსაც,[15] რაც სოციოსამართლებრივი კვლევის მეთოდების მტკიცედ შემოსაზღვრას ართულებს. ამრიგად, კვლევის ეს ტიპი არის მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც სამართლებრივ საკითხს დოქტრინის ვაკუუმის მიღმა, მის სოციალურ კონტექსტში განიხილავს.

2.3. შედარებითსამართლებრივი კვლევა

შედარებითსამართლებრივი კვლევა გულისხმობს სამართლებრივი წესების, მათი გამოყენებისა და ინსტიტუციური ასპექტების შედარებით შეფასებას ერთი სამართლებრივი სისტემის შიგნით ან რამდენიმეს შორის. პროცესის სრულყოფისთვის საჭიროა, განსაზღვროთ შესადარებელი სისტემებისა ან წესების მსგავსება-განსხვავებები. ამ მეთოდის გამოყენება მკვლევარს ეხმარება, სამართლებრივი ნორმები ან სისტემები

[11] Egan, 'The Doctrinal Approach in International Human Rights Law Scholarship', 25.
[12] Kharel, 'Doctrinal Legal Research', 12.
[13] Hutchinson, 'Doctrinal Research: Researching the Jury', 22.
[14] Kharel, 'Doctrinal Legal Research', 13.
[15] Fiona Cownie and Anthony Bradney, 'Socio-Legal Studies: A Challenge to the Doctrinal Approach', in *Research Methods in Law*, ed. Dawn Watkins and Mandy Burton, 2nd ed. (Routledge, 2017), 42-43.

ერთმანეთის პარალელურად გამოიკვლიოს, რაც საშუალებას მისცემს, განსაზღვროს მათი ეფექტები სამართალსა ან საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზოგადად.[16]

შედარებითი ანალიზი კვლევითი პროექტის მხოლოდ ერთი ნაწილია და შეიძლება განხორციელდეს სხვა მეთოდებთან ერთად, მაგალითად, დოქტრინალური ან არა-დოქტრინალური კვლევის ფარგლებში.

კვლევის ეს სახე გულისხმობს ორი ან რამდენიმე ერთეულის შედარებას. ისინი შეიძლება იყოს სამართლებრივ ჩარჩოში არსებული ნორმები, კონცეფციები, ინსტიტუციები, აქტები და მიეკუთვნებოდეს განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებსა ან დარგებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, კონკრეტული ერთეულები ერთმანეთთან შედარებადი იყოს მახასიათებლების თვალსაზრისით, ან არსებობდეს მათი გამოკვლევის დამაჯერებელი მიზეზი.[17] ორივე შემთხვევაში მკვლევარმა უნდა ახსნას და დაასაბუთოს მათი ანალიზის აუცილებლობა.

შედარებითი ანალიზი მრავალი მიზნით გამოიყენება. მაგალითად, სამართლებრივი პრობლემის გადაჭრაში ანალოგიის დახმარებით შესაბამისი სისტემების ჰარმონიზაცია-დაახლოებისთვის, ახალი კანონმდებლობის სავარაუდო ეფექტების იდენტიფიცირებისთვის და ა.შ.[18]

შედარებითი მეთოდის გამოყენებისას, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, შესადარებელი ერთეულების რა კონკრეტული მახასიათებლებისა ან ასპექტების ანალიზს მიმართავს კვლევა. მაგალითად, მატერიალური სისხლისსამართლებრივი ნორმების შედარებისას ასეთი შეიძლება იყოს დანაშაულის ფორმულირება, სასჯელის ოდენობა და მოსამართლისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლები.

კვლევის პროცესში შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენება მრავალი ფორმით შეგვიძლია. ლიტერატურაში მის რამდენიმე ვარიაციას განასხვავებენ:

- **ფუნქციური მეთოდის** საფუძვლად არსებობს პრეზუმფცია, რომ სამართლებრივი სისტემები, განსხვავებული წესებისა და კონცეფციების მიუხედავად, სამართლებრივ პრობლემებს ერთნაირად წყვეტენ. შესაბამისად, ამ მეთოდის ფარგლებში ძირითადი შედარების ერთეული არა კონკრეტული ნორმები, არამედ დაპირისპირებული ინტერესების შემცველი პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის გზებია. ეს გულისხმობს, რომ მკვლევარმა შეიძლება ერთმანეთს შეადაროს, ერთი მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი სტანდარტი ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემიდან, ხოლო, მეორე მხრივ - სისხლისსამართლებრივი ნორმა კონტინენტური სამართლებრივი სისტემიდან, თუ ისინი ერთსა და იმავე ფუნქციას ემსახურება.
- **სტრუქტურული მეთოდი** არის მაკროანალიზი, სადაც კვლევა ფოკუსირებულია ფუნდამენტურ პრინციპებზე, სტრუქტურებსა და არა - სპეციფიკურ წესებს შორის განსხვავებაზე. ეს მეთოდი უზრუნველყოფს შესადარებელი ერთეულების იდენტიფიცირებას მსგავსი ან განსხვავებული მახასიათებლების შესაბამისად. ის გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის სტრუქტურულად მსგავსი კანონმდებლობების შესადარებლად. მაგალითად, თუ კვლევა ერთმანეთს ადარებს ნარკომომხმარებ-

[16] Bhat, *Idea and Methods of Legal Research*, 269.

[17] 'Comparative Legal Research: A Brief Overview', Afronomicslaw.org, ხელმისაწვდომია: https://www.afronomicslaw.org/2020/01/24/comparative-legal-research-a-brief-overview, განახლებულია: 11.10.2021.

[18] Bhat, *Idea and Methods of Legal Research*, 280-82.

ლებთან სახელმწიფოების დამოკიდებულებას, განსხვავებული სამართლებრივი ოჯახების მიუხედავად, ქვეყნები შეიძლება დაჯგუფდეს იმის მიხედვით, როგორ უდგებიან სტრუქტურულად ამ პრობლემას - სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობას იყენებენ, ადმინისტრაციულსამართლებრივს თუ მას სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის სტრუქტურის ქვეშ აქცევენ.

- **ანალიტიკური მეთოდი** ეყრდნობა სხვადასხვა ერთეულის კონცეპტუალურ ანალიზს და ორი განსხვავებული კონცეფციის შედარების საშუალებას იძლევა. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია ისეთი ფუნდამენტური ცნებების გამოკვლევა, როგორებიცაა „უფლება“, „საკუთრება“ ან „თავისუფლება“.
- **კონტექსტუალურ-სამართლებრივი მეთოდი** აკვირდება შესადარებელ ერთეულებს დოქტრინის მიღმა და აანალიზებს მათ მოქმედებას კონკრეტულ სოციალურ, ინსტიტუციურ თუ სხვა კონტექსტში. ამ მეთოდის ფარგლებში გამოსადეგია ემპირიული და სოციოსამართლებრივი მეთოდების გამოყენება. კონტექსტში შესწავლა გულისხმობს სამართლის გაგებას, ახსნას, რატომაა ის ისეთი, როგორიც არის. ამ მეთოდის მეშვეობით შედარებითი ანალიზისას მკვლევარი ირჩევს შესადარებელ ერთეულებს სწორედ კონტექსტის შესაბამისად. ის შეიძლება იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ან კულტურული. ასეთი კვლევის მაგალითი იქნება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებზე მათი პოლიტიკური მექანიზმების გავლენის ანალიზისთვის შესადარებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შერჩევა მსგავსი პოლიტიკური ფაქტორების გამო.
- **ისტორიული მეთოდი** კონტექსტუალური მეთოდის სახესხვაობაა და ერთმანეთს ადარებს ერთეულებს მათი ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით. ამ პროცესში ყურადღება ექცევა სამართალზე გავლენის მქონე ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს. ასეთი კვლევის მაგალითი შეიძლება იყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შედარება საბჭოთა ოკუპაციამდე არსებული კონსტიტუციური სტანდარტების დღევანდელ კონსტიტუციებზე გავლენის კუთხით.

შედარებითსამართლებრივი მეთოდი შეიძლება ასევე განსხვავდებოდეს შედარების ხარისხის მიხედვით. მაგალითად, მიკროდონის ანალიზი პარალელს ავლებს სპეციფიკურ სამართლებრივ ნორმებს, წესებსა ან კონკრეტული პრობლემის სამართლებრივ გადაწყვეტებს შორის, მაკროდონის კვლევა კი სამართლებრივ სისტემებს ადარებს.[19] მიკროდონის ანალიზის მაგალითი შეიძლება იყოს საქართველოსა და უკრაინის ნარკოდანაშაულების სისხლისსამართლებრივი ნორმების შეპირისპირება. ხოლო მაკროდონის კვლევად შეიძლება მივიჩნიოთ კონტინენტურ და ანგლო-ამერიკულ სამართალში ღირსების კონცეფციის შედარებითი მიმოხილვა. დასაშვებია, ასეთ კვლევაში განსხვავდებოდეს შესადარებელი ერთეულების მახასიათებლებიც და ისინი იყოს ჰორიზონტალური ან ვერტიკალური. პირველი გულისხმობს, რომ ეს ერთეულები ერთი დონისა და იერარქიის სამართლებრივი სტანდარტებია სხვადასხვა სისტემაში, როგორიცაა, მაგალითად, სისხლის სამართლის ნორმები ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში. ვერტიკალური კი სწავლობს სხვადასხვა დონის სამართლებრივ სტანდარტებს. ასეთია, მაგალითად, ევროკავშირის საგადასახადო კანონმდებლობის შედარება კანადურ რეგულირებებთან და სხვა.[20]

[19] Van Hoecke.

[20] Bhat, *Idea and Methods of Legal Research*, 273.

3. კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში

სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდებს შორის ორ ძირითად ტიპს გამოარჩევენ: თვისებრივსა და რაოდენობრივს. ამ ორ მიდგომას შორის განსხვავება კვლევის მიზნობრიობასა და მეთოდოლოგიას ეფუძნება.

თვისებრივი კვლევის მიზანი, როგორც წესი, კონკრეტული საკითხის შესახებ სიღრმისეული ცოდნის მოპოვებაა, რაოდენობრივი კი ზოგადი კანონზომიერებების დადგენაზეა ფოკუსირებული. მაგალითად, კონკრეტულ ქვეყანაში რომელიმე კანონის აღსრულების შესწავლა უფრო თვისებრივ მეთოდს მოითხოვს, ხოლო რაიმე ტიპის რეგულაციის ზოგადი შედეგების შეფასება - რაოდენობრივს.[21] მეთოდების შერჩევას, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეთოდოლოგიური მიდგომა განსაზღვრავს: თუ მკვლევარი მიიჩნევს, რომ კონკრეტული კონტექსტი განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება, რაც სიღრმისეულ ანალიზს საჭიროებს, მისი ფოკუსი თვისებრივ მეთოდზე იქნება მიმართული. ამის საპირისპიროდ, თუ კვლევის შედეგად შესაძლებელია ზოგადი კანონზომიერებებისა და მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა, პრიორიტეტი რაოდენობრივ კვლევას მიენიჭება.

დღესდღეობით სოციალურ მეცნიერებაში ხშირად გვხვდება ტრიანგულაციის („triangulation“) პრაქტიკა, რაც სხვადასხვა ტიპის წყაროებისა და მეთოდების ერთდროულად გამოყენებას გულისხმობს. ასეთი კვლევის მიზანი მაქსიმალურად დეტალური ინფორმაციის მოპოვება და მეთოდოლოგიური დოგმატიზმის გადალახვაა.[22]

3.1. თვისებრივი კვლევა

ინტერვიუ (სტრუქტურირებული და ნახევრად სტრუქტურირებული)

ინტერვიუ თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია, რომლის მიზანი რაიმე პროცესის დეტალური აღწერაა. მისი ყურადღება მიმართულია ადამიანების მიერ ამა თუ იმ პროცესის აღქმაზე. ის განსაკუთრებით სასარგებლოა, როდესაც ემპირიული მონაცემების მოპოვება რთულია შესაბამისი დოკუმენტების, მონაცემთა ბაზების არარსებობისა ან ნაკლებობის გამო. მაგალითად, კონკრეტული რეგულაციის შედეგების შესასწავლად მნიშვნელოვანი იქნება ინტერვიუს ჩატარება იმ პირებთან, რომლებსაც ის პირდაპირ ეხება.

ინტერვიუ შეიძლება იყოს სტრუქტურირებული ან ნახევრად სტრუქტურირებული, იმის მიხედვით, რა არის კვლევის მთავარი მიზანი.[23]

სტრუქტურირებული ინტერვიუ, რომელშიც შეკითხვები და მათი თანმიმდევრობა მკაფიოდ განსაზღვრულია, უფრო შეესაბამება ისეთ კვლევას, რომელიც ბევრ რესპონდენტს მოიცავს და პასუხების სტანდარტიზებას მოითხოვს.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ კი შეესაბამება კვლევას, რომელიც ინტერე-

---

[21] Yilmaz, 312; Rhona Smith and Lorna Smith, ‘Qualitative Methods’, in *Research Methods in Human Rights* (Routledge, 2018), 70-72.

[22] Mildred L. Patten and Michelle Newhart, *Understanding Research Methods: An Overview of the Essentials* (Routledge, 2017), 156; James D. Fearon and David D. Laitin, ‘Integrating Qualitative and Quantitative Methods’, in *The Oxford Handbook of Political Methodology*, ed. Janet M. Box-Steffensmeier, Henry E. Brady, and David Collier, vol. 1 (New York, Oxford University Press, 2009), https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780199286546.003.0033.

[23] Smith and Smith, ‘Qualitative Methods’, 72-74.

სდება კონკრეტული პირების ინდივიდუალური შეხედულებებით. ასეთ ინტერვიუში მკვლევარს აქვს სავარაუდო შეკითხვების სია, თუმცა მათი თანმიმდევრობა და შინაარსი მკაცრად განსაზღვრული არ არის. გარდა ამისა, რესპონდენტის მხრიდან საინტერესო თემის წამოჭრის შემთხვევაში, მას შეუძლია, დასვას უფრო დეტალური ან ჩაღრმავებული კითხვა, რომელიც თავდაპირველ სიაში არ იყო.

როგორც წესი, ინტერვიუ მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 45 წუთი გრძელდება. თუ მას უფრო მცირე დრო ეთმობა, მკვლევარი მოკლე პასუხებს იღებს, რაც ქმნის საშიშროებას, რომ რესპონდენტის შეხედულებას, შესაძლოა, არასწორი ინტერპრეტაცია მიეცეს. ხანგრძლივი ინტერვიუს შემთხვევაში კი რესპონდენტი და მკვლევარი საკითხს უფრო ნაკლები ყურადღებით უდგებიან, რაც კვლევის ხარისხს მნიშვნელოვნად ამცირებს.

ფოკუსჯგუფები

ფოკუსჯგუფი მოიცავს მცირე ზომის გუნდში დისკუსიას, რომელსაც მკვლევარი უწევს მოდერაციას. მისი მიზანი კონკრეტული საკითხის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვებაა.[24]

ფოკუსჯგუფებსა და ინტერვიუებს შორის ძირითადი განსხვავება დისკუსიის სტრუქტურაა. ჯგუფურ ინტერვიუებში მკვლევარი წინასწარ განსაზღვრულ კითხვებს სვამს. ეს ფოკუსჯგუფებშიც შეიძლება, თუმცა ამ შემთხვევაში, ჯგუფისგან პასუხების მიღების ნაცვლად, მკვლევრის მიზანი დისკუსიის სტიმულირებაა, რათა ის ნორმები გამოავლინოს, რომლებიც ჯგუფების პასუხებს უდევს საფუძვლად. შესაბამისად, ფოკუსჯგუფი მკვლევარს აძლევს საშუალებას, მიიღოს ინფორმაცია რაიმე მოვლენის კოლექტიური აღქმის შესახებ.

> მაგალითად, თუ მოსახლეობის გამოკითხვაში რაიმე მოსაზრება ჭარბობს, ფოკუსჯგუფის დახმარებით მკვლევარს შეუძლია, დაადგინოს, რა მნიშვნელობა ენიჭება ამ მოსაზრებას, ან რა განაპირობებს მას.

ფოკუსჯგუფები განსხვავდება მოდერატორის როლის მიხედვით. მკვლევარს შეუძლია, დისკუსიის დასაწყისში განმარტოს, რა არის მთავარი საკითხი და რის გარშემო უნდა ისაუბრონ მონაწილეებმა, შემდეგ კი პასიური როლი შეასრულოს და ჯგუფს საშუალება მისცეს, თავად მართოს დისკუსია. ასევე, შესაძლებელია, მკვლევარმა მოამზადოს საკითხების სია, რომლებსაც თავად წამოჭრის, რათა დისკუსია კონკრეტულ ფარგლებს არ გასცდეს, შესაბამისად, უფრო აქტიური როლი შეასრულოს. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზნის გათვალისწინებით (კონკრეტულ კითხვებზე პასუხების მოპოვება ან რესპონდენტების ფიქრის პროცესის გააზრება), მკვლევარმა უნდა შეარჩიოს, რამდენად სტრუქტურირებულად წარმართავს დისკუსიას, რამდენი დრო დაეთმობა ამა თუ იმ საკითხზე საუბარს, რამდენად იქნება სივრცე ახალი თემების განსახილველად მათი წამოჭრის შემთხვევაში.

[24] Smith and Smith, ‘Qualitative Methods’, 76-77.

შინაარსის („content“) ანალიზი

შინაარსის ანალიზის მიზანი ტექსტიდან განმეორებადი და ვალიდური მონაცემების მოპოვება და დასკვნების გამოტანაა. ეს მეთოდი მოიცავს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ ელემენტებს. ტექსტის წაკითხვა, თავისთავად, თვისებრივია, თუმცა შინაარსის ანალიზი ზოგჯერ გულისხმობს სიტყვების, თემებისა და კონცეფციებისთვის კოდების მინიჭებას (კოდირებას), შემდეგ კი მათ რაოდენობრივ ანალიზსაც (მაგალითად, რამდენჯერ გვხვდება ესა თუ ის ფრაზა/თემა/კონცეფცია, ანუ კოდი).[25]

შინაარსის ანალიზი მოიცავს ტექსტში კონკრეტული სიტყვების, თემებისა და კონცეპტების იდენტიფიცირებას, ასევე მათი სიხშირის, მნიშვნელობისა და მათ შორის ურთიერთობის შესწავლას. სიხშირის შესწავლა გულისხმობს მოცემულ ტექსტში ფრაზის, სიტყვათშეთანხმების, კონცეფციის და სხვა ერთეულების გამოყენების ინტენსივობის შეფასებას. მაგალითად, ამ მეთოდის მეშვეობით შეიძლება გაანალიზდეს რომელიმე სამინისტროს განცხადებები ან სასამართლოს გადაწყვეტილებები და დადგინდეს, რამდენად ხშირად იყენებენ ისინი კონკრეტულ სიტყვებს. გარდა ამისა, ავტორს შეუძლია, განსაზღვროს, რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტექსტში ამა თუ იმ ფრაზას (მაგალითად, სათაურში გვხვდება იგი თუ სქოლიოში). იმავდროულად, შინაარსის ანალიზი უზრუნველყოფს მისი სხვადასხვა ნაწილის ურთიერთკავშირის შესწავლასაც. შესაბამისად, ამ მეთოდის წყაროდ შეიძლება გამოიყენებოდეს ნებისმიერი ტიპის ტექსტი, მათ შორის, კანონმდებლობა, ინტერვიუები, საგაზეთო სტატიები, ისტორიული დოკუმენტები და ა.შ.[26]

შინაარსის ანალიზის პირველი ეტაპი გულისხმობს ტექსტის დაყოფას და ანალიზის დონის განსაზღვრას. ეს შეიძლება იყოს სიტყვები, წინადადებები, ფრაზები, აბზაცები ან თავები.[27] ამ დროს წყდება, ტექსტის რომელ დონეზე მოხდება კონკრეტული კონცეფციის, ფრაზის არსებობის ან სიხშირის შესწავლა. მაგალითად, თუ პროექტი იკვლევს, რა ადგილი უკავია შრომის უფლებებს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში, მკვლევარმა, შესაძლოა, დაითვალოს, რამდენად ხშირად გამოიყენება სიტყვათშეთანხმება „შრომის უფლება“ ან მისი სხვა ვარიაცია სამოქმედო გეგმის დოკუმენტში. ამ სიხშირის გამოსარკვევად საჭირო იქნება, მაგალითად, დადგინდეს, სულ რამდენი აბზაცია დოკუმენტში და აქედან რამდენშია ნახსენები ეს სიტყვები. ასეთ შემთხვევაში მკვლევარი ანალიზის დონედ იყენებს დოკუმენტის აბზაცებს და უშვებს დათქმას, რომ მნიშვნელოვან თემებზე ტექსტში უფრო ხშირად იქნება საუბარი, ვიდრე უმნიშვნელო ან არაპრიორიტეტულ საკითხებზე.

ამ მეთოდის შემდეგი ეტაპია კოდირება, ანუ კონკრეტული ანალიზის დონეზე აღმოჩენილი სიტყვების, თემებისა და კონცეპტების კატეგორიებად (კოდებად) დაყოფა. შესაძლებელია, კოდები წინასწარ იყოს განსაზღვრული, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ახალი საკითხების აღმოჩენის შემთხვევაში ისინი კოდების სიაში აისახოს. მაგალითად, შრომის საკითხების კვლევისას კოდები შეიძლება მიენიჭოს შრომის სამართალთან დაკავშირებულს სიტყვებს, როგორებიცაა ILO, გაფიცვა, პროფკავშირი და ა.შ.

ვინაიდან შინაარსის ანალიზი დროსა და რესურსებს მოითხოვს, ხშირად გამოიყენე-

[25] P. Ishwara Bhat, *Idea and Methods of Legal Research* (Delhi, Oxford University Press, 2020), 377, https://doi.org/10.1093/oso/9780199493098.001.0001.

[26] Lindsay Prior, ‘Content Analysis’, in *The Oxford Handbook of Qualitative Research*, ed. Patricia Leavy (Oxford University Press, 2014), 360-61, https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780199811755.013.008.

[27] Prior, 362-63.

ბა კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც ამარტივებს ამ მეთოდზე მუშაობას და ამცირებს შეცდომების დაშვების ალბათობას. ერთ-ერთი ასეთი პროგრამაა NVivo, რომელიც კოდების ორგანიზებისა და ანალიზის სხვადასხვა ხერხის მოსინჯვის საშუალებას იძლევა.

შემთხვევის შესწავლა („case study“)

შემთხვევის შესწავლა გულისხმობს კონკრეტული საკითხის, ჯგუფის, მოვლენის, ორგანიზაციის, ქვეყნის და ა.შ. სიღრმისეულ ანალიზს. ეს მეთოდი შეიძლება შეეხებოდეს ერთ ან ერთი და იმავე ნიშან-თვისების რამდენიმე შემთხვევას. მისი მიზანია ზოგადი დასკვნების გამოტანა იმ ფენომენის თაობაზე, რომელსაც ეს შემთხვევა (შემთხვევები) განეკუთვნება.[28] მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კორუფციის გამომწვევი მიზეზების შესახებ პროექტი შეიძლება მოიცავდეს რეგიონის ერთ-ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს შესწავლას. აქ, შემთხვევის ან შემთხვევების ანალიზი მკვლევარს აძლევს ცოდნას ზოგადი ფენომენის - აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კორუფციის შესახებ, რომლის მაგალითსაც შერჩეული მოვლენები წარმოადგენს.

ამ მეთოდში გამოიყენება შერჩევის რამდენიმე ხერხი იმის მიხედვით, როგორი შემთხვევაა კვლევაში გაანალიზებული.[29] კერძოდ:

- **ტიპური შემთხვევა** არის რაიმე მოვლენის სამაგალითო ფაქტი. მაგალითად, თუ ნაციზმის მკვლევარი აანალიზებს ნაცისტურ გერმანიას, ეს ტიპური შემთხვევის შესწავლა იქნება;
- **სხვადასხვა შემთხვევა** გულისხმობს ისეთ მაგალითებს, რომლებიც კონკრეტული ცვლადის რამდენიმე სახეობას მოიცავს, შესაბამისად, ფენომენის მრავალფეროვნებაზე მიუთითებს. ამ მეთოდის მაგალითია ნარკომომხმარებელთა ქცევის რეგულირების მიმართ განსხვავებული მიდგომის მქონე ორი ან მეტი კანონმდებლობის შესწავლა;
- **ექსტრემალური შემთხვევა**, ტიპურის საპირისპიროდ, მოვლენის სხვა მანიფესტაციებისგან მკვეთრად განსხვავდება. მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც, სხვებთან შედარებით, მცირე რაოდენობის ლტოლვილებს წარმოშობს;
- **დევიანტური შემთხვევა** უპირისპირდება არსებულ თეორიებსა და მოლოდინებს და არა მხოლოდ ექსტრემალურია, არამედ მიზეზშედეგობრივი კავშირების შესახებ არსებულ ცოდნას არ შეესაბამება. ამის მაგალითია შიდა შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც ქვეყნიდან გასული ლტოლვილების რაოდენობას შეამცირებს;
- **ყველაზე მსგავსი შემთხვევები** ერთმანეთს ჰგავს ბევრი თვალსაზრისით და განსხვავდება იმ ერთი მიმართულებით, რომელსაც მკვლევარი აანალიზებს;
- **ყველაზე განსხვავებული შემთხვევების** მახასიათებლების უმეტესობა განსხვავებულია, თუმცა ერთმანეთს ემთხვევა იმ საკითხში, რომელსაც მკვლევარი სწავლობს.

---

[28] Smith and Smith, 77-79.

[29] შემთხვევების შერჩევის მეთოდებზე დამატებით იხ. John Gerring, ‘Case Selection for Case-Study Analysis: Qualitative and Quantitative Techniques’, in *The Oxford Handbook of Political Methodology*, ed. Janet M. Box-Steffensmeier, Henry E. Brady, and David Collier (New York, Oxford University Press, 2009), https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780199286546.003.0028. John Gerring, *Case study research: Principles and practices*, Cambridge University Press, 2016.

3.2. რაოდენობრივი კვლევა

კითხვარები (მოსახლეობის, ექსპერტების)

კითხვარის მეთოდი გულისხმობს მონაცემების მოგროვებას ფორმალური კითხვების საფუძველზე. ისინი განსაკუთრებით ეფექტიანია, მაგალითად, სოციოეკონომიკური მახასიათებლების, მიდგომების, შეხედულებების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. ინტერვიუსთან შედარებით, კითხვარი, როგორც წესი, მეტ რესპონდენტს მოიცავს. ფოკუსჯგუფისგან კი მას ინდივიდუალური (და არა - ჯგუფური) ადრესატები განასხვავებს. გარდა ამისა, კითხვარი სტრუქტურირებულია და პასუხების ვარიანტებიც მკაცრად არის განსაზღვრული. შესაბამისად, მისი ანალიზი ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებზე მარტივია.[30]

კითხვარის რესპონდენტი, კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს, ზოგადად, მოსახლეობა ან კონკრეტული ჯგუფი (მაგალითად, განსაზღვრული ასაკის ადამიანები, რომელიმე ორგანიზაციის თანამშრომლები, ექსპერტები და ა.შ.).

კითხვარის მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა რაოდენობრივი ანალიზისთვის, მაგრამ ის თვისებრივი კვლევის ფარგლებშიც გამოიყენება.[31] თუმცა, მკაცრი სტრუქტურის გამო, კითხვარის მეთოდით მოპოვებული ინფორმაცია შეზღუდულია და დამატებითი დეტალების დართვის საშუალებას არ იძლევა.

სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური ანალიზი შეიძლება იყოს აღწერითი (რაიმე მოვლენის რაოდენობრივი მახასიათებლების აღწერა) ან მიზეზშედეგობრივი (კავშირების განსაზღვრა ინფერენციული სტატისტიკის (Statistical inference) მეშვეობით). ამ მეთოდის მიზანი ზოგადი კანონზომიერებისა და მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენაა. შესაბამისად, თვისებრივისგან განსხვავებით, რომელიც კონკრეტულ მოვლენას უფრო ღრმად სწავლობს, სტატისტიკური ანალიზი ფოკუსირებულია რაიმე მოვლენის შესახებ განზოგადებული დასკვნების გამოტანაზე.[32]

4. კვლევა შერეული მეთოდებით

მუშაობის პროცესში ხშირად იკვეთება, რომ საკითხს მრავალი განზომილება გააჩნია და კვლევის მიმართ ხისტი მიდგომა მხოლოდ ზედაპირულ სურათს წარმოაჩენს. ამ პრობლემის დასაძლევად დასაშვებია პროექტის გამდიდრება სხვადასხვა დისციპლინისთვის მიკუთვნებული მეთოდებით. ამ მიმართულებით რამდენიმე მიდგომა არსებობს.[33]

- ინტერდისციპლინარული მიდგომა სხვადასხვა დისციპლინიდან იხმობს მეთოდებს და ახალ მიდგომას ქმნის. მაგალითად, სოციოსამართლებრივი კვლევა, რომელიც იყენებს დოქტრინალურ მეთოდს სამართლის არსებული ჩარჩოს დასა-

[30] Todd Landman, 'Quantitative Analysis', in *Research Methods in Human Rights* (Routledge, 2018), 101-2.
[31] Smith and Smith, 'Qualitative Methods', 75-76.
[32] Bhat, *Idea and Methods of Legal Research*, 384-88.
[33] Lee McConnell and Rhona Smith, '"Mixing Methods": Reflections on Compatibility', in *Research Methods in Human Rights* (Routledge, 2018), 160-61.

დგენად, ხოლო თვისებრივ მეთოდებს - მოწყვლად ჯგუფებზე სამართლის გავლენის გამოსაკვლევად, ინტერდისციპლინარული ხასიათის იქნება;

- მულტიდისციპლინარული მიდგომა კი ერთ საკითხს სხვადასხვა დისციპლინის პერსპექტივიდან იკვლევს. მაგალითად, პროექტი, რომელზეც სხვადასხვა დარგის მკვლევართა ჯგუფი მუშაობს მათთვის სახასიათო მეთოდების გამოყენებით, მულტიდისციპლინარული ხასიათისაა.

კვლევით პროექტთან ინტერდისციპლინარული ან მულტიდისციპლინარული მიდგომა ქმნის საფუძველს, ავტორმა კონკრეტული პოლიტიკური, სამართლებრივი თუ სოციალური მოვლენა ერთიანობაში და სხვადასხვა განზომილების გათვალისწინებით შეისწავლოს. შესაბამისად, ხშირად მეთოდების ან პერსპექტივების ტრიანგულაცია მკვლევარს ეხმარება, გაარღვიოს დისციპლინარული შეზღუდვები, შედეგად კი, სწორ, დაბალანსებულ მიგნებებამდე და რეკომენდაციებამდე მივიდეს.

ბიბლიოგრაფია

Andreassen, Bård A., Hans-Otto Sano, and Siobhán McInerney-Lankford. 'Human Rights Research Method'. In *Research Methods in Human Rights: A Handbook*, edited by Bård A. Andreassen, Hans-Otto Sano, and Siobhán McInerney-Lankford. Handbooks of Research Methods in Law Series. Cheltenham, UK, Edward Elgar Publishing, 2017.

Bhat, P. Ishwara. *Idea and Methods of Legal Research*. Delhi, Oxford University Press, 2020. https://doi.org/10.1093/oso/9780199493098.001.0001.

Cambridge Dictionary. 'Research Definition'. Dictionary. Cambridge Dictionary. Accessed 7 October 2021. https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/research.

Afronomicslaw.org. 'Comparative Legal Research: A Brief Overview'. Accessed 11 October 2021. https://www.afronomicslaw.org/2020/01/24/comparative-legal-research-a-brief-overview.

Cownie, Fiona, and Anthony Bradney. 'Socio-Legal Studies: A Challenge to the Doctrinal Approach'. In *Research Methods in Law*, edited by Dawn Watkins and Mandy Burton, 2nd ed. Routledge, 2017.

Egan, Suzanne. 'The Doctrinal Approach in International Human Rights Law Scholarship'. *Research Methods in Human Rights*, 2018, 24–41.

Fearon, James D., and David D. Laitin. 'Integrating Qualitative and Quantitative Methods'. In *The Oxford Handbook of Political Methodology*, edited by Janet M. Box-Steffensmeier, Henry E. Brady, and David Collier, Vol. 1. New York, Oxford University Press, 2009. https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780199286546.003.0033.

Gerring, John. 'Case Selection for Case-Study Analysis: Qualitative and Quantitative Techniques'. In *The Oxford Handbook of Political Methodology*, edited by Janet M. Box-Steffensmeier, Henry E. Brady, and David Collier. New York, Oxford University Press, 2009. https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780199286546.003.0028.

Gerring, John. Case study research: Principles and practices. Cambridge University Press, 2016.

Hutchinson, Terry. 'Doctrinal Research: Researching the Jury'. In *Research Methods in Law*, edited by Dawn Watkins and Mandy Burton, 2nd ed., 8–39. New York, Routledge, 2018.

Kharel, Amrit. 'Doctrinal Legal Research'. *SSRN Electronic Journal*, 2018. https://doi.org/10.2139/ssrn.3130525.

Landman, Todd. 'Quantitative Analysis'. In *Research Methods in Human Rights*. Routledge, 2018.

McConnell, Lee, and Rhona Smith. '"Mixing Methods": Reflections on Compatibility'. In *Research Methods in Human Rights*. Routledge, 2018.

Patten, Mildred L., and Michelle Newhart. *Understanding Research Methods: An Overview of the Essentials*. Routledge, 2017.

Prior, Lindsay. 'Content Analysis'. In *The Oxford Handbook of Qualitative Research*, edited by Patricia Leavy, 358–79. Oxford University Press, 2014. https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780199811755.013.008.

Smith, Rhona, and Lorna Smith. 'Qualitative Methods'. In *Research Methods in Human Rights*. Routledge, 2018.

Van Hoecke, Mark. 'Methodology of Comparative Legal Research'. *Law and Method*, December 2015. https://doi.org/10.5553/REM/.000010.

Watkins, Dawn, and Mandy Burton. 'Introduction'. In *Research Methods in Law*, 2nd ed. Routledge, 2017.

Yilmaz, Kaya. 'Comparison of Quantitative and Qualitative Research Traditions: Epistemological, Theoretical, and Methodological Differences'. *European Journal of Education* 48, no. 2 (2013): 311–25. https://doi.org/10.1111/ejed.12014.

ნაწილი II

აკადემიური წერის წესები

1. ნაშრომის სხვადასხვა ტიპი

1.1. აკადემიური წერა - ზოგადი მიმოხილვა

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი კვლევა და ანალიზია. ეს მათი პოზიციების, რეკომენდაციების, პრაქტიკული ქმედებების საფუძველია. თუმცა, ნაშრომის შინაარსობრივი ღირებულება, მისი მიგნებების მნიშვნელობა შეიძლება გაუფერულდეს, თუ მკითხველამდე სათანადო ფორმით არ მივა. აკადემიური წერა ამ მიზნის მისაღწევად მისაღები და დამკვიდრებული ფორმაა. შესაბამისად, საჭიროა, მკაფიოდ განისაზღვროს, რა არის აკადემიური წერა, რა მოთხოვნები აქვს და რა შეცდომებისა თუ ხარვეზებისგან იცავს ის ავტორს წერითი კომუნიკაციისას.

აკადემიური წერა[34] არის იდეების, თეორიებისა და მიგნებების გადმოცემის არამხატვრული ხერხი. მისი დამახასიათებელი ელემენტებია ფორმალურობა, სიზუსტე, ობიექტურობა, დასაბუთებულობა. აკადემიური წერის პროცესში სათანადო სტანდარტების დაცვა უზრუნველყოფს ავტორის სწორ კომუნიკაციას აუდიტორიასთან.

აკადემიური ნაშრომისთვის დამახასიათებელი ელემენტები:

- ფორმალურობა - არ გამოიყენოთ მხატვრული ხერხები, ემოციური ენა, ჟარგონები და შემოკლებები;
- სიზუსტე - მოერიდეთ განზოგადებას და აბსტრაქციას. მნიშვნელოვანია, სასაუბრო ენა იყოს ზუსტი და კონკრეტული;
- ობიექტურობა - არ გამოიყენოთ მიკერძოებული, სუბიექტური ენა და ტონი. წერის პროცესში იყავით ობიექტური, პირადი შეხედულებების მიუხედავად;
- დასაბუთებულობა - გამოიტანეთ დასკვნები მხოლოდ არგუმენტებზე, წყაროებსა და მონაცემებზე დაყრდნობით.

ამ მინიმალური მოთხოვნების მიღმა აკადემიური წერის პროცესში ხშირია შეცდომები, რომლებიც ნაშრომის ხარისხს, წაკითხვის თვალსაზრისით, საფრთხეს უქმნის. მაგალითად, თუ ავტორი დარგის ექსპერტებისა ან ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილ დოკუმენტზე მუშაობისას გამოიყენებს კომპლექსურ, სპეციფიკური ტერმინოლოგიით გადატვირთულ ენას, შეუძლებელი გახდება გამიზნულ აუდიტორიასთან შესაბამისი კომუნიკაციის დამყარება.

შეცდომების, გაურკვევლობისა და ხარვეზების თავიდან ასაცილებლად, წერის დაწყებამდე და მუშაობის პროცესში, მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ რამდენიმე საკითხი (კითხვა): რას, რატომ, როგორ და ვისთვის წერთ.

[34] ტერმინი „აკადემიური წერა“ ხშირად გამოიყენება აკადემიაში წერის სტანდარტების აღწერისთვის. ამ ტექსტში გამოყენებულია ტერმინის ფართო გაგება, რომელიც აკადემიის მიღმა კვლევითი საქმიანობის კომუნიკაციის ფორმალურ ხერხს გულისხმობს.

რას?

ამ კითხვაზე პასუხი გულისხმობს გადაწყვეტილებას, რა ტიპის დოკუმენტით გეგმავთ თქვენი სათქმელის აუდიტორიამდე მიტანას. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული პასუხებთან კითხვებზე: რატომ, ვისთვის და როგორ წერთ.

ნაშრომის ძირითადი იდეა, სამიზნე აუდიტორია, სტილი გადამწყვეტ გავლენას ახდენს მის ფორმატზე. მეორე მხრივ, ფორმატის განსაზღვრა მინიშნებას იძლევა სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს დადგენილი თანმიმდევრობა, მნიშვნელოვანია, ყველა ჩამოთვლილი კომპონენტი ერთმანეთს შეესაბამებოდეს და დოკუმენტს ერთიან სახეს აძლევდეს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობაში ფართოდ გავრცელებული დოკუმენტების სახეები და აკადემიური წერის მოთხოვნები განხილულია ქვემოთ.

რატომ?

ნაშრომზე მუშაობის საწყის ეტაპზევე უნდა გადაწყდეს, რისთვის იქმნება იგი.

> მაგალითად, შესაძლოა, მისი მიზანი იყოს კონკრეტული მიმართულებით ხარვეზების, პრობლემების იდენტიფიცირება, მის გარშემო საზოგადოების მობილიზება ან მათი მოგვარების გზების დემონსტრირება.

შესაძლებელია, დოკუმენტი არ უკავშირდებოდეს საზოგადოებრივ პრობლემას, არამედ ფოკუსირებული იყოს ორგანიზაციის საქმიანობის შეჯამებასა ან სხვა ინფორმაციის მიწოდებაზე.

ნაშრომის მიზნები წერის დაწყებამდე უნდა ჩამოაყალიბოთ, რადგან შეიძლება ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს შემდგომი ნაბიჯებისთვის. ტექსტის შექმნის მიზანი განსაზღვრავს, საზოგადოების რომელი ჯგუფებისთვისაა ის განკუთვნილი, შესაბამისად, როგორ და რა ფორმით მიეწოდება მათ.

როგორ?

ეს კითხვა მიემართება წერის პროცესში გამოყენებული ენის სირთულეს, ტექსტის სტრუქტურას, კვლევის მეთოდებს, მონაცემებისა და არგუმენტების ხასიათს. ამ საკითხების განსაზღვრისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რატომ და ვისთვის იქმნება ტექსტი.

მაგალითად, ექსპერტების ან დარგის სპეციალისტებისთვის განკუთვნილ კვლევით დოკუმენტში დასაშვებია რთული წინადადებებისა და სპეციფიკური ტერმინოლოგიის გამოყენება. ამის საპირისპიროდ, ხელისუფლების წარმომადგენლებისა ან პოლიტიკოსებისთვის შექმნილი ნაშრომი, სასურველია, შეიცავდეს მარტივად კონსტრუირებულ, ზუსტ ტექსტსა და რეკომენდაციებს. მიუხედავად იმისა, რომ აქ შეიძლება გარკვეული ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენება, კარგი იქნება, თუ მას აუცილებელ მინიმუმამდე დაიყვანთ. რაც შეეხება ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილ ტექსტებს, მას მარტივი ენა და წინადადებების კონსტრუქცია უნდა ჰქონდეს. დარგისთვის სპეციფიკური ტერმინები კი, გამოყენების შემთხვევაში, უნდა განიმარტოს.

ნაშრომში გამოყენებული დასაბუთების ხარისხი და კვლევის მეთოდების მოთხოვნები განსხვავდება მისი ფორმატისა და შინაარსის მიხედვით.

აკადემიის წარმომადგენლებისა და ექსპერტებისთვის განკუთვნილ ანალიტიკურ დოკუმენტში აუცილებელია მეცნიერულად სანდო კვლევითი მეთოდების გამოყენება. ასეთი შეიძლება იყოს სამართალში, სოციოლოგიაში, პოლიტიკის მეცნიერებასა ან მეცნიერების სხვა დარგში დამკვიდრებული მეთოდები, რომლებიც საკვლევი საკითხის სპეციფიკას შეესაბამება. ამასთან, მკითხველს დეტალურად უნდა აუხსნათ, კვლევის რომელი მეთოდი გამოიყენეთ, რა ფორმით და რატომ. ასეთი ნაშრომები ასევე საჭიროებს დასაბუთების მაღალ დონეს - დაუშვებელია თქვენი დასკვნები და მიგნებები არადამაჯერებელ ფაქტებს, სუსტ მტკიცებულებებს ან საეჭვო წარმოშობის ინფორმაციებს ეფუძნებოდეს. არამედ, ის უნდა შეიცავდეს მდიდარი მონაცემებითა და ავტორიტეტული წყაროებით გამყარებულ არგუმენტებს.

მცირე ზომის დოკუმენტით (მაგალითად, ოფიციალური განცხადება, საინფორმაციო ბიულეტენი, ე.წ. one-pager) ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციისას არ გჭირდებათ კვლევის მეთოდების დეტალური აღწერა ან თეორიული არგუმენტებითა და სამეცნიერო წყაროებით მისი გამყარება. ამ შემთხვევაში ბალანსი ინფორმაციის სიზუსტის, სიმარტივისა და წაკითხვადობისკენ უნდა გადახაროთ. თუმცა, ეს არ ნიშნავს ტექსტის დასაბუთებულობის ან ციტირების წესების სრულ უგულებელყოფას. მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომი ეყრდნობოდეს რეფერირებად წყაროებს და თავს არიდებდეს პლაგიატს.

ვისთვის?

მართალია, აკადემიური წერის პროცესი არ გულისხმობს ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ ადამიანთან კომუნიკაციას, მაგრამ ყველა ნაშრომს ძირითადი სამიზნე აუდიტორია ჰყავს. ისინი შეიძლება იყვნენ რომელიმე დარგის ექსპერტები, აკადემიის, ხელისუფლების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები ან ფართო საზოგადოება. ამ ჯგუფებს სხვადასხვა კვალიფიკაცია, განათლების დონე, ცოდნის სფერო და ინტერესები აქვთ. შესაბამისად, განსხვავებულია მათთვის საინტერესო და მისაღები ტექსტის კრიტერიუმები.

სამიზნე აუდიტორიის მოთხოვნები ზემოქმედებას ახდენს იმაზე, თუ რაზე წერთ ნაშრომს და ვისთვის ექნება მოცემული საკითხის შესწავლას თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობა.

> მაგალითად, როდესაც ადგენთ გზამკვლევს, რომელიც მიმოიხილავს სასამართლოზე წვდომის კონკრეტულ ასპექტებს, მისი ძირითადი აუდიტორია, დიდი ალბათობით, ფართო საზოგადოება იქნება.

ხოლო, თუ კვლევის მიზანი სასამართლო სისტემის რომელიმე პროცედურული ელემენტის ხარვეზების ანალიზია, მისი მკითხველი არა ფართო საზოგადოება, არამედ ექსპერტები, ხელისუფლების წარმომადგენლები და ის პირები ან ჯგუფები იქნებიან, რომლებსაც პრობლემაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

ძირითადი სამიზნე აუდიტორიის არსებობა არ გულისხმობს, რომ ნაშრომი მხოლოდ ერთი ჯგუფისთვის იქმნება. პირიქით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მომზადებული დოკუმენტების უმრავლესობას რამდენიმე სამიზნე ჯგუფი ჰყავს. მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვანია, იცოდეთ, პირველ ყოვლისა, ვისთვის ქმნით მას. ამ ინფორმაციამ, შესაძლოა, დაგანახოთ ტექსტის გამარტივებული ვერსი-

ის (მაგალითად, მკითხველისადმი მეგობრული, მოკლე ფორმით) შემუშავების საჭიროება, ან კვლევის გაღრმავებისკენ გიბიძგოთ.

კვლევის სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა ასევე მნიშვნელოვანია მისი ფორმატის შესამუშავებლად. სხვადასხვა ჯგუფთან კომუნიკაციის სპეციფიკური მახასიათებლები განსხვავებულ ფორმატებს მოითხოვს.

> მაგალითად, იმისთვის, რომ ექსპერტები ან აკადემიის წარმომადგენლები თქვენ მიერ შეთავაზებული თეორიული ჰიპოთეზის ან საკითხის ანალიზის ჭეშმარიტებაში დაარწმუნოთ, აუცილებელია, ნაშრომი სრულყოფილი დასაბუთებით, სათანადო წყაროებითა და ლოგიკური არგუმენტებით გაამყაროთ. ამისთვის კი ვრცელი ანალიტიკური დოკუმენტის ფორმატი დაგჭირდებათ. ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან კომუნიკაციას ინფორმაციის სიზუსტე, ლაკონიურობა და ცხადი რეკომენდაციები სჭირდება, შესაბამისად, ის პოლიტიკის დოკუმენტის ფორმატს მოითხოვს.

1.2. ნაშრომის სხვადასხვა ტიპის მოთხოვნები

კვლევითი და ანალიტიკური დოკუმენტი

კვლევითი დოკუმენტის მიზანია სპეციფიკური თემის ანალიზი და მოითხოვს შესაბამის კომუნიკაციას. განსახილველი საკითხი შეიძლება მიეკუთვნებოდეს სამართლის, სოციალური, პოლიტიკური მეცნიერებების ან სხვა სამეცნიერო დარგის სფეროს და საჭიროებდეს სიღრმისეულ შესწავლას.

კვლევითი დოკუმენტის ფორმატი მოითხოვს ძირითადი საკვლევი საკითხის დაკონკრეტებას მოკლე წინადადებით.

> ეს შეიძლება გამოსახოთ კითხვის ფორმით - მაგალითად, „რა საერთაშორისო სტანდარტები არსებობს პროფესიულ კავშირებთან დაკავშირებით?“ ან თხრობითი ფორმით - „ნაშრომი მიმოიხილავს საერთაშორისო სტანდარტებს პროფესიულ კავშირებთან დაკავშირებით“.

იმავდროულად, მნიშვნელოვანია, აღწეროთ, საკითხის რომელ კონკრეტულ ასპექტებს განიხილავთ, როგორია თქვენი კვლევის ფარგლები, რა წყაროები გამოიკვლიეთ მუშაობის პროცესში და რატომ.

ანალიტიკური დოკუმენტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა კვლევის მეთოდების აღწერა. მაგალითად, სამართლის დარგში ასეთი შეიძლება იყოს დოქტრინალური ან შედარებითსამართლებრივი მეთოდი. ამასთანავე, მხოლოდ წყაროების და მეთოდების ჩამოთვლა საკმარისი არ არის. სასურველია, მოკლედ აღწეროთ, როგორ გამოიყენეთ კონკრეტული მათგანი კვლევის პროცესში. მაგალითად, მიუთითეთ, რომ შედარებითსამართლებრივი მეთოდის მეშვეობით, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების დამდგენი სამართლებრივი აქტები შეადარეთ იმავე წესებთან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში, რისთვისაც გააანალიზეთ ეს აქტები და გამოკვეთეთ მათ შორის ძირითადი გა-

ნსხვავებები. თქვენი სამუშაო მეთოდოლოგიის აღწერა მნიშვნელოვანია მაშინაც, როდესაც ის დამკვიდრებულ სამეცნიერო მეთოდს სრული სიზუსტით არ შეესაბამება.

აუცილებელია, კვლევითი დოკუმენტი ეფუძნებოდეს სიღრმისეულ დასაბუთებას და მსჯელობას. თქვენი მიგნებები ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს წარმოდგენილი არგუმენტებიდან, რომლებიც, თავის მხრივ, გამყარებული უნდა იყოს კვლევაში გამოყენებული პირველადი თუ მეორადი წყაროებით. გარდა ამისა, უფრთხილდით არსებული პოზიციის დადასტურებას (confirmation bias[35]). თქვენი მოსაზრებებისა თუ დასკვნების სასარგებლო არგუმენტებთან ერთად, საწინააღმდეგო დასაბუთებები, კვლევები და წყაროებიც განიხილეთ.

კვლევითი დოკუმენტის ენა და სტილი უნდა შეესაბამებოდეს აკადემიურ სტანდარტს. ეს გულისხმობს, რომ არ ხართ შეზღუდული, გამოიყენოთ დარგისთვის სპეციფიკური ტერმინოლოგია ან ტექსტის რთული კონსტრუქციები.

> თუმცა, მნიშვნელოვანია, **გახსოვდეთ**, რომ ამგვარი ნაშრომის ენა არ უნდა იყოს ზედმეტად რთული. ის არ უნდა შეიცავდეს კომპლექსურ წინადადებებს. მიუხედავად იმისა, რომ კვლევითი დოკუმენტის სამიზნეს აუდიტორიას ხშირად დარგის ექსპერტები განეკუთვნებიან, ყველა მკითხველი ექსპერტი არ იქნება. შესაბამისად, უმჯობესია, შინაარსი ზუსტი, ლაკონიური და წაკითხვადი იყოს.

ზედმეტად რთული ტექსტი, თავისთავად, არ მიუთითებს კვლევის ხარისხზე. თუმცა, მკითხველთა უმრავლესობისთვის, შესაძლოა, ის ბარიერად იქცეს.

ასევე მნიშვნელოვანია, კვლევითი დოკუმენტი აკმაყოფილებდეს ციტირების აკადემიურ სტანდარტს. თუ ნაშრომის რომელიმე ნაწილის შექმნისას გამოიყენებთ სხვა წყაროს, პლაგიატის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია მისი მითითება. დამატებითი ინფორმაცია ციტირების სტანდარტის მოთხოვნებზე შეგიძლიათ იხილოთ ამავე დოკუმენტში.

პოლიტიკის დოკუმენტი

პოლიტიკის დოკუმენტის ძირითად სამიზნე აუდიტორიას მიეკუთვნებიან პოლიტიკის სფეროში მოქმედი ჯგუფები, დაინტერესებული აქტორები და ფართო საზოგადოება. ნაშრომის ამ ფორმატის მიზანია, მკითხველს მიაწოდოს კონკრეტული პრობლემის მოკლე აღწერილობა და რეკომენდაციები მათი გადაჭრის გზების შესახებ. სასურველია, ის მოიცავდეს 2500-3000 ან უფრო ნაკლებ სიტყვას, თუმცა დასაშვებია შედარებით ვრცელი დოკუმენტის შექმნაც.

პოლიტიკის დოკუმენტი შეიძლება იყოს ორი სახის: ადვოკატირების - რომელიც პრობლემის გადაჭრის კონკრეტულ გზას აყალიბებს, ობიექტური - რომელიც საკითხის გადაწყვეტის ალტერნატივების შესახებ დაბალანსებულ ინფორმაციას შეიცავს, ან მათ ჰიბრიდს წარმოადგენდეს.

---

[35] ტერმინი „confirmation bias“ გულისხმობს ტენდენციას, ინფორმაცია დამუშავდეს ან ინტერპრეტირდეს წინასწარ არსებული შეხედულებების შესაბამისად ან დასადასტურებლად. ხშირად ეს გააზრების გარეშე, ქვეცნობიერად ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ავტორისთვის მნიშვნელოვან ან სენსიტიურ საკითხს ეხება.

ადვოკატირების დოკუმენტი იქმნება მაშინ, როდესაც პრობლემის გადაჭრის მხოლოდ ერთი ალტერნატივა არსებობს, ან საქმე ისეთ სიკეთეს ეხება, სადაც ხარჯ-სარგებლის ანალიზი უადგილოა. ასეთია, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი უპირისპირდება რომელიმე ელიტური ჯგუფის ინტერესებს.

ობიექტური პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს დაბალანსებულ ინფორმაციას პრობლემის გადაჭრის არსებული ალტერნატივების შესახებ. ხოლო მათგან რომელიმეს უპირატესობა ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ იგი აშკარად ნაკლები დანახარჯით აღწევს მაქსიმალურ სარგებელს.

კვლევითი ნაშრომისგან განსხვავებით, პოლიტიკის დოკუმენტის უმნიშვნელოვანესი ნაწილი მისი რეკომენდაციებია. ამასთანავე, მისი ძირითადი სამიზნე აუდიტორია ვრცელ ტექსტს დროს ნაკლებად დაუთმობს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, დოკუმენტი მოცულობით კვლევას ეფუძნებოდეს, იგი უნდა იყოს მოკლე, ზუსტი და მკითხველს ინფორმაციას მაქსიმალურად კონდენსირებულად აწოდებდეს.

პოლიტიკის დოკუმენტი არ მოითხოვს პრობლემის შესახებ სიღრმისეულ მსჯელობას და არსებული წყაროების ვრცელ ანალიზს. ასეთი ნაშრომის სტილი და ენა, ისევე, როგორც ციტირების სტანდარტი, უნდა პასუხობდეს აკადემიურობის მოთხოვნებს, თუმცა ხელს არ უნდა უშლიდეს ტექსტის წაკითხვადობას, სიმარტივესა და სიზუსტეს.

პოლიტიკის დოკუმენტის ტექსტი მკითხველს უნდა აძლევდეს საკმარის ინფორმაციას პრობლემის შესახებ, აღწერდეს მის კონტექსტს, მნიშვნელობას და მოქმედების აუცილებლობას. ის უნდა შეიცავდეს ამ პრობლემის ფაქტობრივ ან თეორიულ მოკლე დასაბუთებას და ხსნიდეს, შემოთავაზებული რეკომენდაციები რატომ არის მისი გადაჭრის საუკეთესო გზა (ან, ობიექტური პოლიტიკის დოკუმენტის შემთხვევაში - რა ეფექტები ექნება მოქმედების თითოეულ ალტერნატივას). რეკომენდაციები უნდა იყოს პოლიტიკის დოკუმენტის ძირითადი ფოკუსი. ამის ხაზგასმა შესაძლებელია სტილის და ვიზუალის დახმარებითაც.

მაგალითად, შეგიძლიათ, რეკომენდაციები გამოყოთ გამუქებით, ან დაურთოთ ტექსტს დასაწყისშივე, რეზიუმეს შემდგომ.

ვრცელი დოკუმენტის შემთხვევაში, რეკომენდაციებს წინ წაუმძღვარეთ შეჯამება (ე.წ. executive summary), რომელიც მკითხველს პრობლემის, განხილული და შერჩეული ალტერნატივების შესახებ მოკლე ინფორმაციას მიაწოდებს.

მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის ანგარიში ემსახურება გარკვეული ორგანოს ან პროცესის საქმიანობის შეფასებას დროის კონკრეტულ მონაკვეთში. ანალიზისას იგი ეყრდნობა საკანონმდებლო, საერთაშორისო ან სხვა სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით ის კვლევითი დოკუმენტის ელემენტებს შეიცავს. ის ასევე გამოკვეთს არსებულ პრობლემებს და შეიმუშავებს მათი გადაჭრის რეკომენდაციებს, შესაბამისად, პოლიტიკის დოკუმენტსაც ჰგავს.

მონიტორინგის ანგარიშის სამიზნე აუდიტორია, შესაძლოა, შერეული იყოს და შედგებოდეს როგორც ექსპერტების, ისე პოლიტიკის სფეროს პროფესიონალებისა და ფა-

რთო საზოგადოების წარმომადგენლებისგან. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა ტექსტის ტექნიკურობასა და წაკითხვადობას შორის.

> მუშაობის პროცესში მუდმივად **გახსოვდეთ** ნაშრომის შექმნის მიზნები და აუდიტორია. ასევე, აუცილებელია, დაიცვათ აკადემიურობის მოთხოვნები. თქვენი მიგნებები უნდა იყოს კარგად დასაბუთებული და შესაბამისი წყაროებით გამყარებული. გამოიყენეთ ციტირების სათანადო სტანდარტი.

ამგვარი ბალანსის დაცვა რთულია, მაგრამ შეგიძლიათ, გამოიყენოთ კვლევის და პოლიტიკის დოკუმენტებისთვის დადგენილი სტანდარტები. იმავდროულად, დასაშვებია, ტექსტის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვაგვარად ჩამოაყალიბოთ. მაგალითად, ანგარიშის შეჯამება, მიგნებები და რეკომენდაციები ტექსტის დასაწყისში მოათავსოთ, შემდეგ კი ნაშრომი პოლიტიკის დოკუმენტის მოთხოვნებს, კერძოდ, ლაკონიურობას, სიზუსტეს, წაკითხვადობას შეუსაბამოთ. აგრეთვე, ტექსტის კვლევითი ნაწილი ანალიტიკური დოკუმენტის სტანდარტების მიხედვით გამართეთ და მეორე ნაწილში გადაიტანეთ.

პრესრელიზი

მნიშვნელოვანია, გახსოვდეთ, რომ პრესრელიზის პირდაპირი ადრესატი არის მედია, თუმცა მისი საბოლოო აუდიტორია ფართო საზოგადოებაა. შესაბამისად, ის უნდა იყოს მაქსიმალურად მარტივი და გასაგები ენით შედგენილი. პრესრელიზი, იმ კვლევას, ანგარიშს თუ სხვა დოკუმენტს, რომელთა საფუძველზეც ის მომზადდა, ფართო საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე უნდა „თარგმნიდეს“.

> **გახსოვდეთ**, რაც მეტ ტექნიკურ ტერმინს და რთულ კონსტრუქციას გამოიყენებთ, მით მეტი შანსია, მედიამ თქვენს ტექსტს არასწორი ინტერპრეტაცია მისცეს, ან მკითხველმა მოცემულ ინფორმაციას სათანადო ყურადღება არ დაუთმოს.

მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, დოკუმენტი შეიცავდეს ინფორმაციას იმ ძირითადი წყაროების შესახებ, რომლებსაც პრესრელიზი ეფუძნება. მაგალითად, შეგიძლიათ, ტექსტში მიუთითოთ ის კვლევა ან ანგარიში, რომლის მიგნებებსა და რეკომენდაციებსაც ის ეყრდნობა. ამისთვის გამოიყენეთ ციტირების აკადემიური სტანდარტი ან შიდა ბმულის (hyperlink) ფუნქცია, რომელიც მაღალი აკადემიური მოთხოვნის მქონე დოკუმენტებში არ არის რეკომენდებული.

განცხადება

განცხადება მიმდინარე მოვლენებსა ან მწვავე საკითხებზე ორგანიზაციის პოზიციას, მოსაზრებებს გამოხატავს. ის უნდა იყოს ფორმალური, მოკლე, ზუსტი და მარტივად წაკითხვადი. იმავდროულად, უნდა შეიცავდეს საკმარის მონაცემებს არსებული პრობლემის შესახებ. სასურველია, განცხადების ტექსტში ასევე მითითებული იყოს სხვა, უფრო სიღრმისეული წყარო, როგორიცაა მედიის ინფორმაცია, საკითხის ანალიზი ან კვლევა. ამისთვის შეგიძლიათ, გამოიყენოთ ციტირების აკადემიური სტანდარტი.

გარდა ამისა, აუცილებელია, ერთმანეთისგან განვასხვაოთ განცხადება და შეფასება. ხშირ შემთხვევაში განცხადება შეიცავს რეკომენდაციულ ნაწილს, ხოლო შეფასება მიმოიხილავს არსებულ ვითარებას და, მეტწილად, პროფესიული დოკუმენტია.

ბლოგპოსტი

ბლოგპოსტი კომუნიკაციის კიდევ ერთი, მკითხველისთვის მისაღები სახეა. მისი ფორმატი მკაცრად ფორმალური, ობიექტური ენისა და პერსპექტივის გამოყენებას არ მოითხოვს. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ავტორი, გარკვეული საკითხის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, თავის პირად, სუბიექტურ მოსაზრებებსაც აყალიბებს. ამასთანავე, ბლოგპოსტში დასაშვებია მხატვრული ენის, მაგალითად, მხატვრული შედარების, ჰიპერბოლისა და ეპითეტის ზომიერად გამოყენება. თუმცა, ეს მკითხველს ხელს არ უნდა უშლიდეს ფაქტების სწორად აღქმაში, ხოლო ტექსტს ან მის რომელიმე ნაწილს ფიქციად არ უნდა წარმოაჩენდეს.

ბლოგპოსტში დასაშვებია ვიზუალიზაციის ისეთი საშუალებების (მაგალითად, ფოტოების, სხვა მულტიმედია მონაცემების) გამოყენება, რომლებიც, შესაძლოა, აკადემიურ სტანდარტებში არ ჯდებოდეს.

საინფორმაციო ბიულეტენი

საინფორმაციო ბიულეტენი მიზნად ისახავს მკითხველისთვის გარკვეული საკითხის ირგვლივ პერიოდული ინფორმაციის მიწოდებას. იგი შეიძლება მოიცავდეს ერთი პროექტის საქმიანობის მიმართულებას და მოკლედ აღწერდეს დროის კონკრეტულ მონაკვეთში (მაგალითად, ყოველთვიურად) ამ კუთხით განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებს, მათ ეფექტებსა და შედეგებს, აგრეთვე, აყალიბებდეს ორგანიზაციის პოზიციას მათ შესახებ.

ეს ფორმატი ინფორმაციის კონდენსირებას, სიზუსტეს და ლაკონიურობას მოითხოვს. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია, ის მოიცავდეს ყველა რელევანტურ მოვლენას და მათ შესახებ საკმარის ინფორმაციას. ბიულეტენი არ უნდა იყოს ვრცელი. აქცენტი უნდა გაკეთდეს ტექსტის სიმარტივეზე, ვიზუალურ ელემენტებზე.

გახსოვდეთ, ამ დოკუმენტით ინფორმაციას აწოდებთ ფართო საზოგადოებას. შესაბამისად, უნდა იზრუნოთ, რომ ის მაქსიმალურად კომფორტული იყოს მკითხველისთვის.

ე.წ. One-pager

ამ დოკუმენტის შექმნა შეიძლება დაგჭირდეთ შეხვედრების ან კონფერენციების დროს სხვადასხვა ინფორმაციის, მოვლენის ან რომელიმე ანალიტიკური ნაშრომის წარსადგენად. გამოწვევა, რომელიც one-pager-ზე მუშაობას უკავშირდება, მისი მცირე ფორმატია. შეიძლება მოგიწიოთ ვრცელი ინფორმაციის, მაგალითად, კვლევითი დოკუმენტის შინაარსის გადმოცემა და ეს მხოლოდ ერთ გვერდზე უნდა მოახერხოთ.

აუცილებელია, one-pager-ზე ინფორმაცია ლაკონიურად, ზუსტად და გასაგებად გადმოსცეთ. მისი მიზანია, მაქსიმალურად მოკლე დროში, მცირე რესურსის გამოყენებით, მკითხველს მნიშვნელოვანი და ძირითადი ინფორმაცია მიაწოდოს. ეს არ ნიშნავს მასზე, რაც შეიძლება, დიდი ტექსტის განთავსებას. პირიქით, ამ დოკუმენტის ფორმატი და ვიზუალური ელემენტები უნდა აკმაყოფილებდეს წაკითხვადობის მოთხოვნებს. ეს კი გულისხმობს სათანადო ზომის შრიფტს, აბზაცებს, სტრიქონებს შორის დაშორებას და ა.შ.

სხვა მცირე ზომის დოკუმენტების მსგავსად, One-pager-ის შექმნის პროცესშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მიზნისა და აუდიტორიის განსაზღვრა. ეს დაგეხმარებათ, გადაწყვიტოთ, რა ინფორმაცია შეიტანოთ მასში და რა - არა.

მაგალითად, თუ one-pager-ის მეშვეობით გსურთ კვლევითი დოკუმენტის შინაარსის წარდგენა საერთაშორისო საზოგადოების წევრებისთვის, მასში უნდა ასახოთ მხოლოდ ისეთი დასკვნები, რომლებიც რელევანტურია საქართველოს საერთაშორისო პასუხისმგებლობებისა და ურთიერთობებისთვის. ხოლო, თუ მას პოლიტიკოსებთან შეხვედრისთვის ქმნით, მაშინ აქცენტი უფრო მეტად შიდა პოლიტიკისთვის მნიშვნელოვან საკითხებსა და რეკომენდაციებზე უნდა გააკეთოთ.

პრაქტიკული გზამკვლევი

პრაქტიკული გზამკვლევის აუდიტორია ფართო საზოგადოებაა. მისი მიზანია, მარტივად და გასაგებად გადმოსცეს ინფორმაცია გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით. შესაძლოა, ის შეეხებოდეს, მაგალითად, ადამიანის უფლებების კონკრეტულ ასპექტს და იყოს ერთგვარი ინსტრუქცია ამ მიმართულებით დასაშვები ქცევის, არსებული მოთხოვნების ან აკრძალული მოპყრობის შესახებ.

ასეთი დოკუმენტის ძირითადი მიზანი საზოგადოების ინფორმირებაა. შესაბამისად, ის შედგენილი უნდა იყოს მაქსიმალურად წაკითხვადი, მარტივი და გასაგები ენით. გზამკვლევში თავი აარიდეთ თეორიულ კონცეფციებს, რთულად კონსტრუირებულ ტექსტს და ტექნიკურ ტერმინოლოგიას. წაკითხვადობის გასაუმჯობესებლად, სასურველია, გამოიყენოთ ვიზუალური გაფორმება, დიდი შრიფტი, მნიშვნელოვანი ტექსტის გამოყოფის ტექნიკა (მაგალითად, textbox), ხოლო დამატებითი ინფორმაცია და წყაროები შიდა ბმულების მეშვეობით მიუთითოთ.

გახსოვდეთ, რომ ასეთი ტექსტის უპირველესი მიზანი მკითხველისთვის პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდებაა. შეეცადეთ, ნაშრომის შინაარსი პასუხობდეს არა მხოლოდ კითხვებს - რა და რატომ, არამედ, ასევე, კითხვას - როგორ.

მაგალითად, რა უფლებები აქვთ დასაქმებულებს, საიდან მომდინარეობს ისინი, როგორ დაიცვან ან განახორციელონ ეს უფლებები ცხოვრებაში.

2. ტექსტის შემუშავების ნაბიჯები

ხარვეზების თავიდან ასაცილებლად და ტექსტის დასახვეწად აუცილებელია მუშაობის პროცესის სხვადასხვა ეტაპის გამართულობა. ქვემოთ ჩამოთვლილი ეტაპები და მათი თანმიმდევრობა, შესაძლოა, ნაშრომის ყველა ტიპს არ შეესაბამებოდეს, თუმცა მნიშვნელოვანია მათთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინება.

2.1. დაგეგმვა, ორგანიზება და სტრუქტურა

ამ ეტაპზე უნდა გადაწყვიტოთ, რას, ვისთვის, რატომ და როგორ წერთ, ასევე, შეიმუშაოთ ნაშრომის ძირითადი მონახაზი. ეს გიკარნახებთ, როგორ წარმართოთ მუშაობის შემდგომი პროცესი და როგორ განსაზღვროთ პრიორიტეტები ფაქტებთან, წყაროებთან, ენობრივ მოთხოვნებთან, დასაბუთების ხარისხთან დაკავშირებით.

საწყის ეტაპზე აუცილებელია ნაშრომის სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც განსაზღვრავს ტექსტის ტექნიკურ მონახაზს, მოიცავს ძირითად შინაარსობრივ საკითხებს და ფორმას აძლევს კვლევის პროცესს. მუშაობის დროს, შესაძლებელია, სტრუქტურა რადიკალურად შეიცვალოს. ამ თვალსაზრისით ის კვლევისა და წერის პროგრესის ერთგვარი გეგმაა. იმავდროულად, შეგიძლიათ, ის გამოიყენოთ საზომად, თუ რა საკითხების ცვლილება, დამატება ან გადაადგილება იმსახურებს ხელმძღვანელთან კოორდინაციას. მაგალითად, თუ კვლევის პროცესში მიხვედით დასკვნამდე, რომ სასურველია სტრუქტურის საკვანძო ელემენტების შეცვლა, ეს ხელმძღვანელთან კომუნიკაციისა და ამ საკითხის წარდგენის საჭიროებაზე მიუთითებს.

ანალიტიკური დოკუმენტების შემთხვევაში დაგეგმვა გულისხმობს ძირითადი საკვლევი საკითხისა და მისი პრობლემური ასპექტების იდენტიფიცირებას, წყაროების საწყისი ფარგლების განსაზღვრას, მეთოდების არჩევას და შეთანხმებას. ამ დროს შეუძლებელია, იცოდეთ, როგორი იქნება ნაშრომის შინაარსი და მიგნებები, თუმცა აუცილებელია, გქონდეთ წარმოდგენა ამ შინაარსის შესწავლის ხერხებსა და საკვლევ მასალაზე.

ამ ეტაპს ასევე უკავშირდება ავტორსა (ავტორებსა) და კვლევის ხელმძღვანელს შორის შრომის გადანაწილება და ადმინისტრირება. დაგეგმვისას ხშირად რთულია, ზუსტად განსაზღვროთ კვლევის მოცულობა, მაგრამ მნიშვნელოვანია, გქონდეთ შრომის განაწილების მიახლოებითი გეგმა და თარიღები სხვადასხვა ეტაპის დასასრულებლად.

2.2. კვლევა

დოკუმენტების უმრავლესი კატეგორიისთვის დაგეგმვის შემდგომი ეტაპი კვლევაა. თუმცა, კვლევა ან კვლევითი დოკუმენტი შეიძლება ასევე წინ უძღოდეს სხვა ტიპის ნაშრომებს, როგორიცაა, მაგალითად, განცხადება ან პრესრელიზი, რომლებიც უკვე არსებულ ანალიზს ეფუძნება.

ყველა შემთხვევაში კვლევა არის ნაშრომის ძირითადი ფუნდამენტი, რომელსაც სხვა ნაწილები ეფუძნება. მისი პროცესი ინდივიდუალურია და შეიძლება სხვადასხვა მიდგომით წარიმართოს, მაგრამ მნიშვნელოვანია, მთავარი პრინციპები გაითვალისწინოთ.

წყაროები:

- სამართლებრივი აქტები
- სასამართლო გადაწყვეტილებები
- სამეცნიერო ლიტერატურა
- რეზოლუციები
- დასკვნები
- ანგარიშები

პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია, განსაზღვროთ, რა იქნება თქვენი კვლევის პირველადი და რა - მეორადი წყარო. პირველად წყაროდ მიიჩნევა ინფორმაცია, რომელიც თავად მოიპოვეთ ან დამუშავების გარეშე არსებობს. მეორადს კი მიეკუთვნება ისეთი მასალები, რომლებიც მოიცავს პირველადი მონაცემების ინტერპრეტაციას, კრიტიკას ან შეჯამებას. მუშაობის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია, მიჰყვეთ კვლევის მეთოდებს და წყაროები განსაზღვროთ ობიექტურად, ამ მეთოდების შესაბამისად. საბოლოოდ, აუცილებელია, არგუმენტებზე საუბრისას გაითვალისწინოთ საპირისპირო მტკიცებულებები, გამოავლინოთ მიუკერძოებლობა და გამორიცხოთ არსებული პოზიციის დადასტურების (confirmation bias) რისკები.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია, კვლევის პროცესს იმაზე მეტი დრო არ დაუთმოთ, ვიდრე საჭიროა. ხშირად გარკვეული საკითხის თაობაზე წყაროების, ფაქტების ანალიზი ან თეორიული ლიტერატურის მოკვლევა საინტერესო, ჩამთრევ „გამოძიებად“ გადაიქცევა და ის აუცილებლობად გესახებათ. მეორე მხრივ, ისიც უნდა **გახსოვდეთ**, რომ კვლევითი დოკუმენტები დასაბუთების აკადემიურ სტანდარტს მოითხოვს, შესაბამისად, თქვენი მიგნებები სანდო წყაროებსა და დაზუსტებულ ფაქტებს უნდა ეყრდნობოდეს. ამ კონფლიქტში ბალანსის დაცვა რთულია და უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს, მაგრამ დაგეხმარებათ, თუ კვლევის პროცესში მუდმივად გემახსოვრებათ ნაშრომის მიზანი. წყაროებსა და ფაქტებს კი, მათი საინტერესო ხასიათის მიუხედავად, მხოლოდ არგუმენტების გამყარებისთვის მიმართეთ.

2.3. პირველი პროექტი და გადახედვა

ნაშრომში ინფორმაციის ასახვა მისი პირველი პროექტის შექმნით იწყება. როგორც დასახელებიდანაც ჩანს, ის დოკუმენტის პირველადი ვერსიაა და საბოლოო ვარიანტამდე მისასვლელად, შესაძლოა, დიდი გზის გავლა დაგჭირდეთ. თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ პირველი პროექტი ინფორმაციის გადაუმუშავებელ მასას უნდა შეიცავდეს. როგორც არ უნდა გეჩქარებოდეთ მისი „მოშორება“ და ხელმძღვანელისთვის ჩაბარება, რაც უფრო დასრულებული სახით წარადგენთ, მით უფრო ნაკლები მუშაობა მოგიწევთ მასზე მომავალში.

პირველი პროექტის შესახებ წარმოდგენა ინდივიდუალურია და, შესაძლებელია, თქვენთვის ის განსხვავებული დონის სისრულეს გულისხმობდეს, ვიდრე სხვებისთვის. მაგალითად, შეიძლება ტექსტი ბოლომდე გამართოთ, ან ფორმატირება და სხვა ასპექტები შემდეგი ეტაპისთვის გადადოთ. თუმცა, პირველ პროექტში უნდა

იკვეთებოდეს კვლევის შინაარსი, მთავარი არგუმენტები და მიგნებები, ხოლო მათი მიმდევრობა ლოგიკურ დინებას მიჰყვებოდეს. გარდა ამისა, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ტექსტზე მუშაობის ამ ეტაპსა და საბოლოო ვერსიას შორის ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, მაგალითად, გარდაიქმნას მისი ზოგიერთი ნაწილი, სტრუქტურა, წყაროები და ა.შ. არ არის გამორიცხული, ამგვარი ცვლილებების გამო, დაირღვეს ტექსტში წყაროებისა და შესაბამისი მითითებების თანმიმდევრობა. შედეგად, შემოკლებული ციტირება შეიძლება სრული ვარიანტის წინ აღმოჩნდეს და თავიდან მოგიწიოთ მასზე მუშაობა. ორმაგი შრომისა და ზედმეტი რესურსების ხარჯვის თავიდან ასაცილებლად, სასურველია, ციტირებების სტანდარტიზაცია ბოლო ეტაპისთვის გადადოთ და პირველ პროექტში წყაროებისა და გვერდების შესახებ აღნიშვნები გააკეთოთ.

გახსოვდეთ, პირველი პროექტის გაგზავნა კვლევის ხელმძღვანელთან, რაც თქვენი მხრიდან დავალების პირველი ეტაპის შესრულებად აღიქმება, მეორე მხარისთვის სამუშაო პროცესის დაწყებას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად პროექტის ამ ეტაპის მიმართ თქვენი მიდგომისა, შეეცადეთ, პირველ ვერსიაზე მომუშავე სხვა ადამიანებს საქმე გაუადვილოთ.

> მაგალითად, მონიშნეთ თქვენთვის პრობლემური საკითხები, დაურთეთ კომენტარები დილემების შესახებ, მიუთითეთ დამატებითი იდეების თაობაზე, წყაროები გასაგებად აღნიშნეთ, ასევე, გააკეთეთ მისი მოკლე პრეზენტაცია გაგზავნამდე ან შემდეგ.

ნებისმიერ შემთხვევაში, ხელმძღვანელთან პროექტის გადამისამართებამდე კარგად გადახედეთ მას და შეეცადეთ, მაქსიმალურად აღმოფხვრათ არსებული ხარვეზები. ამაში რედაქტირების ქვემოთ ჩამოთვლილი წესები და კოლეგიალური გადახედვის ინსტრუმენტი დაგეხმარებათ.

პროექტების რიგითობა ასევე უნდა გაითვალისწინოთ ფაილების სახელების შერჩევისას.

> სასურველია, ფაილებს სახელები შემდეგი პრინციპით დაარქვათ: სათაური_ავტორის სახელი, გვარი_არაბული ციფრი იმის აღსანიშნავად, რამდენჯერაა რედაქტირებული ტექსტი _თარიღი.
>
> მაგალითად: აკადემიური წერა_ნიკა არევაძე_I_18.10.2021.

2.4. კომენტარების და შესწორებების ასახვა

კომენტარებისა და შესწორებების ასახვის ეტაპი გულისხმობს პირველ პროექტზე კვლევის ხელმძღვანელის ან სხვა პირის მოსაზრებების დოკუმენტში ინტეგრირებას. მიუდექით ამ პროცესს, როგორც დიალოგს - ასახეთ კომენტარები, რომლებსაც ეთანხმებით, მაგრამ ასევე გამოხატეთ კრიტიკული მოსაზრებები და დასვით შეკითხვები.

კომენტარებისა და შესწორებების მიმართ დიალოგის პრინციპით მიდგომა აუცილებელია მეორე მხარის, ხელმძღვანელის ან კოლეგის მიერაც. პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით საუკეთესო რესურსი კვლევაზე უშუალოდ მომუშავე პირია. ამიტომ,

ეცადეთ, ხისტი მითითების ნაცვლად, მას რჩევა, სტიმული და მიმართულება მისცეთ. ამგვარი თანამშრომლობის პრაქტიკული განხორციელება დამოკიდებულია ინდივიდუალურ სიტუაციაზე. ეს შეიძლება გამოიხატოს დამაფიქრებელი კითხვების დასმით, საკითხის კონკრეტულ ასპექტებზე მითითებით, გამოსადეგი ლიტერატურის ან წყაროების რჩევით და ა.შ.

2.5. ციტირება და სტილი

ნაშრომის საბოლოო ვერსიაში ციტირება და სტილი უნდა შეესაბამებოდეს აკადემიური წერის სტანდარტებს. ციტირების წესების დაცვა დაგეხმარებათ, თავიდან აირიდოთ პლაგიატი, მკითხველს მიაწოდოთ ინფორმაცია გამოყენებული წყაროების შესახებ და მისცეთ მათ თქვენს დოკუმენტში განხილული საკითხების თაობაზე ცოდნის გაღრმავების საშუალება. სტილის ერთიანი ხასიათი კი უზრუნველყოფს, რომ ნაშრომი თანმიმდევრული, წაკითხვადი და მარტივად გასაგები იყოს. ამასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ აკადემიური წერის გზამკვლევში.

არ მოგეთხოვებათ, ეს საკითხები სრულყოფილად ასახოთ პირველ პროექტში. თუმცა, აუცილებელია, მუშაობის პროცესში გაითვალისწინოთ, რომ თქვენი ნაშრომის საბოლოო ვერსია ციტირებისა და სტილის აკადემიურ სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს. ამისთვის მნიშვნელოვანია, წერის საწყის ეტაპზევე გამოყოთ ტექსტის ყველა მონაკვეთი, რომელიც წყაროს ეყრდნობა და მიუთითოთ მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები (მაგალითად, ავტორის სახელი და წყაროს დასახელება შემოკლებული ფორმით).

2.6. საბოლოო პროექტი

გახსოვდეთ, რომ თქვენს ნაშრომს შეიძლება გრძელი გზის გავლა მოუწიოს პირველიდან საბოლოო პროექტამდე და ამისთვის მზად უნდა იყოთ. არ არის გამორიცხული, ეტაპებს შორის ძირეულად შეიცვალოს როგორც ნაშრომის შინაარსი, ისე მისი ტენდენციები, არგუმენტები და დასკვნები. შესაძლებელია, ასევე დაგჭირდეთ კვლევის გაღრმავება ან სხვა მიმართულებით გაგრძელება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ნაშრომის პროექტებზე სამუშაოდ საკმარისი დრო გქონდეთ. ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, პრიორიტეტად დაისახეთ არა საწყისი, არამედ მისი ჩამოყალიბების ფინალური ეტაპი.

ამ პროცესში მოსალოდნელი პრობლემების შესამცირებლად მნიშვნელოვანია თქვენს ხელმძღვანელსა ან რედაქტორთან რეგულარული კომუნიკაცია და საქმიანობის კოორდინაცია. გარდა ამისა, შეიმუშავეთ კვლევის გეგმა ან მსგავსი დოკუმენტი, რომელიც საკვანძო საკითხებს, ეტაპებსა და თარიღებს განსაზღვრავს. საბოლოო პროექტში შეცდომების, შეუსაბამობებისა და სტილისტური ხარვეზებისგან დასაზღვევად დაგჭირდებათ ერთგვარი სიის (checklist) შედგენა, რომელიც დაგეხმარებათ ფინალურ ეტაპზე ისეთი ასპექტების ორგანიზებაში, როგორებიცაა ციტირება, სტილი, წყაროების გადამოწმება, კვლევის პროცესში გამოკვეთილი დილემები და სხვა.

2.7. რედაქტირება

ნაშრომის გამოქვეყნებამდე აუცილებელია მისი რედაქტირება და ბოლო შტრიხების სრულყოფა. რედაქტირება გულისხმობს როგორც ენობრივი, სტილისტური და ციტირების სტანდარტების, ისე შინაარსობრივი ელემენტების გადახედვას. ამ ეტაპზე ასევე მოწმდება, რამდენად შეესაბამება პროექტის ფინალური ვარიანტი მის მიზნებს, აუდიტორიას, ფორმატის სტრუქტურულ და ენობრივ მოთხოვნებს. რედაქტირების შინაარსობრივი მხარე მოიცავს ნაშრომის თეზისის, დასაბუთებისა და მიგნებების ურთიერთშესაბამისობის, ასევე მათი ლოგიკური თანმიმდევრობის კრიტიკულ განხილვას.

კოლეგიალური განხილვა (peer review)

ნაშრომის საბოლოო რედაქტირების მიმართ წნეხის შესამცირებლად რეკომენდებულია ორგანიზაციისა თუ პროგრამის შიდა სტრუქტურაში კოლეგიალური განხილვის დანერგვა. ეს გულისხმობს ერთი ან რამდენიმე კოლეგის მიერ ავტორის ნამუშევრის კრიტიკულ გადახედვას და რჩევების მიცემას მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე. კოლეგიალური განხილვა არის ჯგუფური სწავლის ერთ-ერთი დამკვიდრებული მეთოდი. ამ დროს კოლეგები არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვის შეცდომებზეც სწავლობენ. გარდა ამისა, ეს პროცესი ამარტივებს კვლევის ხელმძღვანელისა და რედაქტორის შრომას, ასევე ხელს უწყობს სამუშაოს ნაყოფიერ გადანაწილებას.

3. ნაშრომის კომპონენტები და სტრუქტურა

3.1. ტექსტის სტრუქტურის ძირითადი პრინციპები

იმისთვის, რომ ნაშრომმა ეფექტიანად და ნაყოფიერად მიიტანოს სათქმელი სამიზნე აუდიტორიამდე, აუცილებელია, მას გამართული სტრუქტურა ჰქონდეს და შეიცავდეს ყველა არსებით კომპონენტს. ამ შემადგენლობის უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს და დამოკიდებულია ისეთ ელემენტებზე, როგორებიცაა ნაშრომის ფორმატი, მისი მიზნები, აუდიტორია და მეთოდები, ასევე სპეციფიკური დარგის, თემატიკის თუ საკითხის კონტექსტური მოთხოვნები. ამასთანავე, მუშაობის ინდივიდუალური სტილის მიუხედავად, ნაშრომის სტრუქტურა უპირველესი ეტაპი უნდა იყოს წერის პროცესში. თუმცა, იგი შეიძლება შეიცვალოს პირველადი მიგნებების შედეგად ან მომდევნო ეტაპებზე.

მიუხედავად ამისა, შეგვიძლია, გამოვყოთ ნაშრომის სტრუქტურის აგებისას გასათვალისწინებელი ზოგადი პრინციპები. პირველ ყოვლისა, უნდა გახსოვდეთ, რომ მხატვრული ლიტერატურისგან განსხვავებით, თქვენი ნაშრომი არ უნდა ეკიდებოდეს მიგნებებსა და დასკვნებს, როგორც მოულოდნელ ფინალს. ამის საპირისპიროდ, მკითხველს საწყის ეტაპზევე ნათლად და მოკლედ უნდა აუხსნათ, რა საკითხია მასში განხილული, რატომაა ის მნიშვნელოვანი, რა არის თქვენი დასკვნები და რას ნიშნავს ეს მიგნებები საკითხის სამომავლო პრაქტიკული განვითარებისთვის.

ავტორის გადასახედიდან ნაშრომზე მუშაობა (კვლევა ან წერა) ხშირად ერთიანი, თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული საკითხებისგან შემდგარ პროცესად აღიქმება. თუმცა, უნდა გახსოვდეთ, რომ მკითხველს მეტი ინსტრუქცია და მკაფიო გზამკვლევი სჭირდება. შესაბამისად, ეცადეთ, ტექსტის ძირითადი ნაწილი ერთმანეთის-

გან თავებით, ქვეთავებით გამოყოთ და ვიზუალური საშუალებებით გაამდიდროთ. ამ უკანასკნელში იგულისხმება ტექსტბოქსები, სქემები, ცხრილები და გრაფიკები, რომლებიც, შეგიძლიათ, ეფექტურად გამოიყენოთ, განსაკუთრებით, რთული მონაცემების პრეზენტაციისთვის, სხვადასხვა ელემენტს შორის ურთიერთობის აღსაწერად ან საინტერესო საქმეების გამოსაყოფად. თავებისა და ქვეთავების შიგნით ტექსტი ასევე იყოფა აბზაცებად, რომლებიც დამოუკიდებელ აზრს უნდა ეძღვნებოდეს, თუმცა ერთმანეთს ლოგიკურად ებმოდეს. იმავდროულად, ეცადეთ, ტექსტის დაყოფისა და მონაცემების ვიზუალიზაციის დროს ზომიერება დაიცვათ. აგრეთვე, გაითვალისწინეთ ნაშრომის შინაარსობრივი და აკადემიური პრეზენტაბელურობის მოთხოვნები.

საბოლოო ეტაპზე, მნიშვნელოვანია, თავი მოუყაროთ და გააერთიანოთ ნაშრომის ძირითად ნაწილში გაბნეული სხვადასხვა ელემენტი. ამისთვის ერთ სივრცეში უნდა აღწეროთ მიგნებები, მცირე დასკვნები, პასუხგაუცემელი კითხვები და ისინი ერთმანეთთან დააკავშიროთ. ამ ეტაპზე ასევე აუცილებელია, მიუთითოთ იმ ასპექტებზე, რომლებიც უკავშირდება განხილულ საკითხს, მაგრამ სცდება ნაშრომის ფარგლებს.

3.2. ტექსტის კომპონენტები

თითოეულ ნაშრომს განსხვავებული ტექსტობრივი კომპონენტები აქვს მისი ინდივიდუალური მონაცემების გათვალისწინებით. ისინი დამოკიდებულია ფორმატზე, მოცულობაზე, შინაარსზე, კონკრეტულ თემასა თუ საკითხზე. თითოეული მათგანი, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი, შეესაბამება ყველაზე ვრცელი ფორმატის, კვლევითი დოკუმენტის ზოგად საჭიროებებს. სხვა ტიპის ნაშრომებისთვის დამახასიათებელი კომპონენტების ნუსხა სრულად არ მოიცავს აქ ჩამოთვლილ ელემენტებს, თუმცა შესაძლებელია ამ სიის ადაპტირება კონტექსტის მიხედვით.

სათაური

ნაშრომის სათაური პირველია, რაც მკითხველს შეხვდება. შესაბამისად, ის დოკუმენტის შინაარსის, მეთოდების და მასში ჩადებული ძალისხმევის ერთგვარი სავიზიტო ბარათია. ამ კომპონენტში დაშვებულმა ხარვეზმა შეიძლება მკითხველების რაოდენობა საგრძნობლად შეამციროს, ან თქვენი შრომის ნაყოფმა სათანადო ყურადღება ვერ მიიპყროს. ამის თავიდან ასარიდებლად, აუცილებელია, გაითვალისწინოთ სათაურის შერჩევის რამდენიმე პირობა.

პირველ ყოვლისა, სათაური შეარჩიეთ ნაშრომზე მუშაობის ბოლო ეტაპებზე, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტექსტის შინაარსის სრული სურათი გამოიკვეთება და სათაურის მეშვეობით მისი უკეთ ფორმულირების შესაძლებლობა გექნებათ. ის მაქსიმალურად კონკრეტულად უნდა გადმოსცემდეს, რა პრობლემას, საკითხს ან სპეციფიკურ ასპექტს შეეხება დოკუმენტი. გარდა ამისა, სათაური არ უნდა იყოს ზედმეტად ვრცელი და არასაჭიროდ დესკრიფციული. უნდა მოახერხოთ და თქვენი კვლევის უნიკალური მახასიათებლები, შეძლებისდაგვარად, მცირე რაოდენობის სიტყვებით დააკონკრეტოთ. ამისთვის შეგიძლიათ, სხვადასხვა ხერხს მიმართოთ. მაგალითად, ჩამოწერეთ თქვენი კვლევის და მიგნებების ძირითადი საკვანძო სიტყვები, დაალაგეთ ისინი პრიორიტეტულობის მიხედვით და შეეცადეთ, ამგვარად მიხვიდეთ სათაურის იდეალურ ვარიანტამდე. ასევე შესაძლებელია, ზოგად სათაურთან ერთად, გამოიყენოთ კონკრეტული და აღწერილობითი ქვესათაური, მაგალითად, როგორიცაა „საიდუმლო

შესყიდვები - საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი და ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკა“.[36]

მოერიდეთ ე.წ. გონივრული სათაურის შერჩევას, რომელიც ენამახვილური ეპითეტებით, სიტყვების თამაშით ან სხვა ხერხით ცდილობს მკითხველის ყურადღების მიქცევას.

სარჩევი

გაითვალისწინეთ, რომ მკითხველს ხშირად ტექსტის სრულად წაკითხვის დრო ან რესურსი არ აქვს და კონკრეტული საკითხი აინტერესებს. მათთვის სარჩევი ასრულებს გზამკვლევისა და ნაშრომის ერთგვარი შეჯამების ფუნქციას. შესაბამისად, ის უნდა ასახავდეს ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომლებიც დოკუმენტში განიხილეთ. ასევე, თავების/ქვეთავების სახელები უნდა ითვალისწინებდეს ზემო თავის/ქვეთავის სათაურისთვის განსაზღვრული ინფორმაციულობის და დესკრიფციულობის სტანდარტებს.

სარჩევის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი მოცულობის ნაშრომებში, თუმცა, სასურველია, ის დაურთოთ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ტექსტი სამ თავზე/ქვეთავზე მეტად იყოფა.

აბრევიატურები

ტექსტში აბრევიატურების გამოყენება დასაშვები და მიღებული პრაქტიკაა, თუმცა პირველად ხსენებისას აუცილებელია მათი განმარტება. აგრეთვე, განსაკუთრებით დიდ დოკუმენტებში ან ბევრი აბრევიატურის შემთხვევაში, სასურველია, ნაშრომს დასაწყისში დაურთოთ მათი ნუსხა. ეს სია უნდა შეიცავდეს აბრევიატურებს, შემოკლებებს და მათ დასახელებებს ტექსტის ენაზე, ასევე ორიგინალში, თუ ისინი ორგანიზაციის, სამართლებრივი აქტის ან სხვა კერძო სახელია.

შესავალი

ვრცელ ნაშრომში შესავალი ცალკე თავად უნდა იყოს გამოყოფილი, თუმცა მცირე ზომის დოკუმენტებშიც, აუცილებელია, ის პარაგრაფის ან რამდენიმე წინადადების მეშვეობით გადმოსცეთ. მკითხველისთვის ეს ნაწილი ერთგვარი „კარიბჭის“ როლს ასრულებს და სრული ტექსტის წაკითხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება. სათაურის შემდეგ ის სწორედ შესავალმა უნდა დაარწმუნოს, რომ თქვენ მიერ შექმნილ ნაშრომზე დროის დახარჯვა ღირს. ამისთვის აუცილებელია, შესავალი აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- მკითხველს აცნობდეს პრობლემას, საკითხს ან მოვლენას, რის შესახებაც წერთ;
- ამ პრობლემას/საკითხს/მოვლენას განიხილავდეს ფართო კონტექსტში;
- ხსნიდეს, რატომაა ეს პრობლემა/საკითხი/მოვლენა მნიშვნელოვანი და ყურადღების ღირსი;

[36] სალომე საღარაძე და ანა ჯაბაური, „საიდუმლო შესყიდვები, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი და ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკა“, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020.

- ხსნიდეს, რა არის თქვენი ნაშრომის ზოგადი მიზანი (კვლევის საკითხი ან თეზისი) და რა მეთოდებს იყენებთ ამ მიზნის მისაღწევად;
- მოკლედ აცნობდეს თქვენი ნაშრომის მიგნებებს, დასკვნებს და რეკომენდაციებს;
- ბოლოს, აღწერდეს დოკუმენტის სტრუქტურას და მოკლედ ხსნიდეს, რას მიმოიხილავს თითოეული თავი.

შესავლის ზომის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, მკითხველს გააცნოთ საკითხი და მის შესახებ ინტერესი აღუძრათ. ამასთანავე, უნდა ეცადოთ, დოკუმენტის ეს ნაწილი მოკლე, ზუსტი და ამომწურავი იყოს. თავი აარიდეთ ზედმეტად გრძელ შესავალს, რომელიც შინაარსობრივი საკითხების განხილვასაც მოიცავს. გაითვალისწინეთ, რომ მკითხველი შეიძლება არ იყოს დარგის ექსპერტი. შესაბამისად, ნაშრომის ეს ნაწილი გამოიყენეთ მისი შინაარსის მარტივ, გასაგებ ენაზე ასახსნელად და გადმოსაცემად.

შესავალს, ისევე, როგორც ტექსტის სხვა ნაწილებს, დაურთეთ სათანადო წყაროები ციტირების წესის მიხედვით (სქოლიოს მეშვეობით). წყარო უნდა შეესაბამებოდეს შესავლის ზოგად ხასიათს. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს მასალები დოკუმენტის ძირითადი თეორიის შესახებ, ასევე ფაქტობრივი ანალიზი, რომელიც თქვენი ნაშრომის ინსპირაცია გახდა, ან სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

მიგნებები

მიგნებები არის თქვენი კვლევისა და ანალიზის შედეგი. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ისინი მკითხველამდე სწორი ფორმით მიიტანოთ. ეს გულისხმობს მათ ჩამოყალიბებას მაქსიმალურად მოკლედ, მკაფიოდ და კონკრეტულად. იმავდროულად, საკითხზე მუშაობისას უნდა იხელმძღვანელოთ ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით. შესაბამისად, თქვენი დასკვნები წყაროების, მტკიცებულების შეჯერებასა და ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს.

> **გახსოვდეთ**, რომ კვლევის პროცესში გამოტანილი განუსაზღვრელი ან მერყევი დასკვნებიც მიგნებებია და ისინი სათანადოდ უნდა ასახოთ ამ ნაწილში.

სასურველია, ნაშრომის სხვადასხვა ნაწილის მიგნებები ერთიანად ჩამოაყალიბოთ დოკუმენტის დასაწყისშივე, შესავლის შემდგომ. თუმცა, ეს წესი შეიძლება ინდივიდუალური კონტექსტის შესაბამისად დაზუსტდეს და მან ტექსტის ბოლოს ან სხვა ადგილზე გადაინაცვლოს.

> მნიშვნელოვანია, **გახსოვდეთ**, რომ ერთიან სივრცეში თავმოყრის გარდა, ასევე აუცილებელია, ნაშრომის სხვადასხვა ნაწილის მიგნებები იქვე, ეტაპობრივ დასკვნებად განათავსოთ.

კვლევის მეთოდები

კვლევის მეთოდების აღწერა ნაშრომის მნიშვნელოვანი ასპექტია. ზოგადად, ეს კომპონენტი გულისხმობს იმ გზების და საშუალებების მიმოხილვას, რომლებიც მონაცემების, წყაროების ან ფაქტების ანალიზისას გამოიყენეთ. კვლევის მეთოდებზე

საუბრისას გაითვალისწინეთ, რომ შეიძლება მკითხველს მათი სამეცნიერო დასახელება არაფერს ეუბნებოდეს. ამიტომ, საჭიროა, ნათლად ახსნათ, თქვენ მიერ შერჩეული მეთოდი რა კონკრეტულ ქმედებებს გულისხმობს.

მეცნიერების სხვადასხვა დარგში დამკვიდრებული მეთოდები განსხვავებულია. ამიტომ, აუცილებელია, ტექსტში მიუთითოთ, რომელ მათგანს ეფუძნება თქვენი კვლევა. არანაკლებ მნიშვნელოვანია, მკითხველს მიაწოდოთ დეტალური ინფორმაცია, მონაცემების ანალიზისას ესა თუ ის მეთოდი როგორ, რა ფორმით და რატომ გამოიყენეთ. მაგალითად, მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ შედარებითსამართლებრივი კვლევა ჩაატარეთ, საკმარისი არ არის. საჭიროა, ახსნათ, ეს კონკრეტული მეთოდი რატომ აირჩიეთ.

კვლევის მეთოდების გარდა, აუცილებელია, ისაუბროთ თქვენ მიერ განხილულ წყაროებზე, მონაცემებზე, ფაქტებზე და აღწეროთ მათი მიმართება კონკრეტულ მეთოდთან. მაგალითად, შედარებითსამართლებრივი კვლევის შემთხვევაში, მიუთითეთ, რომელი ქვეყნის, რა სახის სამართლებრივი აქტები შეადარეთ ერთმანეთს და რატომ აირჩიეთ ისინი. ასევე, ახსენით, შედარების პროცესში დოქტრინალური ანალიზი გამოიყენეთ და მხოლოდ აქტების ტექსტი განიხილეთ, თუ - სოციოსამართლებრივი და მათი პრაქტიკაში განხორციელების ეფექტებიც შეისწავლეთ.

ტექსტის ძირითადი ნაწილი

ტექსტის ძირითადი ნაწილი თქვენი მუშაობის შინაარსობრივ ასპექტს გადმოსცემს და, ლოგიკური მსჯელობის მეშვეობით, მკითხველი კვლევის მიგნებებამდე მიჰყავს. შესაბამისად, საბოლოო სახის მიცემამდე მას მკითხველის თვალით გადახედეთ. ეცადეთ, ნაშრომის ლოგიკურ დინებაში არსებული ხარვეზები აღმოაჩინოთ და აღმოფხვრათ. ამ პროცესში კოლეგიალური განხილვის ინსტრუმენტი დაგეხმარებათ.

გახსოვდეთ, რომ, თქვენგან განსხვავებით, მკითხველი ნაშრომს პირველად ხედავს და ტექსტის კომპლექსური შინაარსი მისთვის შეიძლება ერთგვარ ლაბირინთად იქცეს. მას ამ პროცესს გაუიოლებთ, თუ წერისას შემდეგ რჩევებს გაითვალისწინებთ:

- დაყავით ტექსტის ძირითადი ნაწილი სექციებად, თავებად და ქვეთავებად, რომლებიც თვითმყოფად ერთეულებადაც შეიძლება წავიკითხოთ. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ მათი რაოდენობა არ უნდა იყოს გადაჭარბებული. თითოეული მათგანი ტექსტის შინაარსიდან და წყობიდან ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს;
- შეეცადეთ, ყველა სექციას, თავს და ქვეთავს ჰქონდეს პატარა შესავალი პარაგრაფის ან წინადადების სახით, ასევე ამ კონკრეტული ნაწილის მიგნებების ამსახველი მცირე დასკვნა;
- დარწმუნდით, რომ ტექსტის ყველა დიდი და მცირე ნაწილი ებმის ერთმანეთს (მაგალითად, მომდევნო თავი, ქვეთავი, პარაგრაფი ეხმიანება წინას, ან - პირიქით) და ერთიან, ლოგიკურ დინებას ქმნის;
- ეცადეთ, ყველა აბზაცის პირველი წინადადება გამოხატავდეს ამ აბზაცის მთავარ სათქმელს;
- ტექსტში კომპლექსური მონაცემების, ურთიერთობებისა და კონცეფციების გასამარტივებლად გამოიყენეთ ვიზუალიზაციის სხვადასხვა ხერხი, მაგალითად, ცხრილები, გრაფიკები და ტექსტბოქსები;

- **გახსოვდეთ**, რომ მკითხველს შეიძლება ძალიან მწირი ცოდნა ჰქონდეს ნაშრომის საკითხის გარშემო. შესაბამისად, ეცადეთ, განმარტოთ ყველა კონცეფცია ან პროცესი, რომელიც ფართოდ გავრცელებულ ინფორმაციას არ მიეკუთვნება.

დასკვნა

დასკვნა ნაშრომის ფინალური შტრიხია, რომელიც ეხმიანება შესავალში დასახულ პრობლემასა და კონტექსტს, აჯამებს კვლევის ძირითად მიგნებებს, საუბრობს მათ სავარაუდო ეფექტებსა და ფართო მნიშვნელობაზე. დასკვნის ფუნქცია, ერთი მხრივ, ნაშრომის სხვადასხვა ნაწილის თავმოყრა, ერთიან სივრცეში მოქცევა და კონტექსტში ჩასმაა. მეორე მხრივ, ის კვლევის საკითხის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს განიხილავს. ეს შეიძლება იყოს სამომავლოდ კვლევის საჭიროება, ცვლილებების აუცილებლობის ხაზგასმა და ა.შ.

ამასთანავე, დასკვნა არ უნდა შეიცავდეს არსებით მსჯელობას. მან მხოლოდ უნდა შეაჯამოს და ფართო კონტექსტში მოაქციოს შინაარსობრივი ნაწილები. აქედან გამომდინარე, ის არ უნდა იყოს ვრცელი და სათქმელს ლაკონიურად, ზუსტად გადმოსცემდეს.

რეკომენდაციები

რეკომენდაციები დაერთვის პოლიტიკის ან სხვა ფორმატის დოკუმენტებს. მათი მიზანია, ნაშრომის ძირითად ტექსტში მოცემული ინფორმაციისა და მიგნებების გადათარგმნა კონკრეტული აქტორების სასურველ ქმედებებად. რეკომენდაციები უნდა ჩამოაყალიბოთ მოკლედ, მოწოდების ფორმით და მიანიჭოთ შესაბამისი ადრესატი. მაგალითად, პარლამენტს მოუწოდოთ საკანონმდებლო ცვლილებებისკენ, საერთაშორისო თანამეგობრობას - ხელისუფლებაზე ზეგავლენისკენ, ან მიმართოთ სხვა ჯგუფს, პირს და ა.შ. რეკომენდაციები უნდა მოიცავდეს მაქსიმალურად კონკრეტულ ინსტრუქციას იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც საჭიროა პრობლემის გადასაჭრელად. მათ უნდა მისცეთ ჩამონათვალის ფორმა, რისთვისაც შეიძლება, მაგალითად, ე.წ. bullet point-ის გამოყენება.

როგორც წესი, თუ დოკუმენტი მთავრდება რეკომენდაციებით, დასკვნა აღარ იწერება. თუმცა, გამონაკლისის სახით, შეიძლება დოკუმენტი ორივე კომპონენტს შეიცავდეს. ასეთ შემთხვევაში, შეეცადეთ, ეს ჰიბრიდი ორივე მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს, ხოლო მათ შორის ბმა ბუნებრივი და ლოგიკური იყოს.

ბიბლიოგრაფია

ვრცელ დოკუმენტებს, ციტირების სათანადო სტანდარტის დაცვასთან ერთად, აუცილებელია, დაურთოთ ბიბლიოგრაფია. ის არის ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, რომელიც ანბანური თანმიმდევრობით განლაგდება. მისი მიზანია მკითხველისთვის ერთიანი ინფორმაციის მიწოდება გამოყენებული წყაროების შესახებ. სასურველია, თუ ბიბლიოგრაფიას ამ წყაროების ტიპების მიხედვით დაყოფთ. მაგალითად, შეგიძლიათ, მასში განცალკევებით გამოყოთ სასამართლო გადაწყვეტილებები, სამართლებრივი აქტები, ინტერნეტრესურსები და ა.შ.

4. ტექსტის მახასიათებლები

4.1. სიცხადე და წაკითხვადობა

იმის მიუხედავად, როგორი ფორმატის დოკუმენტს ქმნით ან მუშაობის რა ეტაპზე ხართ, მუდმივად **გახსოვდეთ**, რომ თქვენი ტექსტი წაკითხვადი უნდა იყოს. წაკითხვადობა („readability“) გულისხმობს იმის შეფასებას, რამდენად მარტივად აღიქმება ტექსტი. რა თქმა უნდა, არ არსებობს ამ მხრივ უნივერსალური ნაშრომი. წაკითხვადობის მოთხოვნები განსხვავდება დოკუმენტის ტიპის, მკითხველის, ენისა და კონტექსტის შესაბამისად. ამის მიუხედავად, მაინც შესაძლებელია მისი მთავარი ელემენტების იდენტიფიცირება.

წაკითხვადობა აფასებს:

- ტექსტის სტრუქტურას
- წინადადებების კომპლექსურობასა და სინტაქსის მოქნილობას
- პროფესიული ტერმინების სიჭარბეს

დოკუმენტის სტრუქტურის გამართულობა წაკითხვადობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. იგი მოითხოვს, რომ ნაშრომის ტექსტი დაყოთ თავებად, ქვეთავებად და სექციებად. ისინი ერთმანეთს ლოგიკური დინებით უნდა მიჰყვებოდეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს ტექსტის უსაფუძვლოდ დაშლას სხვადასხვა ნაწილად. მთავარი პრინციპის თანახმად, ეს ნაწილები დამოუკიდებელ აზრს უნდა გადმოსცემდეს ისე, რომ შეიძლებოდეს მცირე შესავლისა და დასკვნის იდენტიფიცირება. ასევე მნიშვნელოვანია ცალკეული საკითხების გამოყოფა ზომიერი აბზაცებით, რომელთა საწყისი წინადადებები თითოეული მათგანის მთავარ სათქმელს უნდა აღწერდეს და, გარკვეულ შემთხვევებში, მკითხველს შემდეგ აბზაცთან აკავშირებდეს.

წინადადებები უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე და მარტივად წასაკითხი. არ გამოიყენოთ რთული და ჩახლართული კონსტრუქციები. ეცადეთ, სათქმელი, თითოეული მოსაზრება ერთ წინადადებაში ჩაატიოთ. თავი აარიდეთ არასაჭირო სიტყვებს. ამ მიმართულებით ხარვეზების გამოსარიცხად ტექსტი გადაიკითხეთ და დაფიქრდით, შეიძლება თუ არა სიტყვების ამოშლა შინაარსის ცვლილების გარეშე. გაითვალისწინეთ, რომ განსაკუთრებით გრძელი წინადადებები ხშირად შეიძლება ორ ან რამდენიმე წინადადებად გაიყოს და ეცადეთ, ასეც მოიქცეთ.

წინადადების სტრუქტურას და მასში გამოყენებული სიტყვების თანმიმდევრობას აერთიანებს გრამატიკული ტერმინი სინტაქსი. იმისთვის, რომ თქვენი ნაშრომი საინტერესოდ იკითხებოდეს, სასურველია, სათქმელი სინტაქსის სხვადასხვა ფორმის მეშვეობით გადმოსცეთ. ეს თავიდან აგაცილებთ მონოტონურ ტექსტს და უზრუნველყოფს, რომ ის მხოლოდ ერთნაირი სტრუქტურის წინადადებებს არ შეიცავდეს. შეგიძლიათ, ამისთვის გამოიყენოთ მარტივი, რთული და შერწყმული წინადადებების ვარიაციები, კავშირები, გარემოებისა და განსაზღვრების აღმნიშვნელი სიტყვები, ჩართულები და ა.შ. თუმცა, გახსოვდეთ, თქვენი ტექსტი აკადემიურ ტონს და შესაბამის დიქციას უნდა მისდევდეს, ასე რომ, მნიშვნელოვანია, სინტაქსური მრავალფეროვნება მხატვრულ სტილში არ გადაიზარდოს. გარდა ამისა, ინგლისურსა და ქართულში სწორი სინტაქსი სიტყვების სხვადასხვა თანმიმდევრობას გულისხმობს. ამიტომ, როდესაც თარგმნით

ან პერიფრაზს აკეთებთ, ეცადეთ, წინადადებები უცვლელი ფორმით არ გადმოიტანოთ და სამიზნე ენის გრამატიკულ მოთხოვნებს მოარგოთ.

თავი აარიდეთ ზედმეტად რთულ, სპეციალიზებულ ტერმინოლოგიას და, სადაც შესაძლებელია, ისინი ნაკლებად კომპლექსური სინონიმებით ჩაანაცვლეთ. თუ ასეთი სიტყვების გამოყენება აუცილებელია, მკითხველს აუხსენით მათი მნიშვნელობა ტექსტშივე ან სქოლიოს მეშვეობით. ეს არ ნიშნავს ყველაფრის დეტალურად განმარტებას, მაგრამ არც იმ დაშვებით უნდა წარმართოთ წერის პროცესი, რომ დარგის ექსპერტებს ესაუბრებით. ასევე მნიშვნელოვანია, გადაჭარბებით არ გამოიყენოთ მხატვრული ხერხები ან, თუნდაც, ზედსართავი სახელები. ფორმულირება უნდა იყოს კონკრეტიზებული, ფაქტობრივი შელამაზების გარეშე. ეს წესი განსაკუთრებით მიემართება ე.წ. „გამაძლიერებლებს“ (როგორებიცაა „უდიდესი“ და „ძალიან“) ან ბუნდოვანი რაოდენობრივი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს (როგორებიცაა „ხშირად“, „უმეტეს შემთხვევაში“, „იშვიათად“ და ა.შ.). აგრეთვე, მოერიდეთ ტექსტში ვნებითი გვარის გამოყენებას და წერეთ აქტიური კონსტრუქციებით.

4.2. ტექსტის ინკლუზიურობა

ხანდახან ენაში დამკვიდრებული გამონათქვამები და ტერმინები არ ითვალისწინებს თანამედროვე ინკლუზიურობის მოთხოვნებს. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, სიტყვა „კაცი“ ადამიანების აღსანიშნავად, ასევე ადამიანთა ფართო ჯგუფზე საუბრისას „მოქალაქის“ გამოყენება, რომელიც არამოქალაქე პირებსაც მოიცავს. თავი აარიდეთ არასწორ ტერმინებს ასევე სექსუალური, გენდერული, რელიგიური უმცირესობებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ წერისას. შეცდომების გამოსარიცხად, მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოთ სენსიტიურ ჯგუფებსა ან თემებზე მსჯელობისას და დამკვიდრებული გამონათქვამები დაუფიქრებლად არ გამოიყენოთ. ამგვარი საკითხები გადაამოწმეთ სანდო ინტერნეტწყაროების მეშვეობით. მაგალითად, შეგიძლიათ, მოძებნოთ, რა ფორმულირებებს მიმართავენ ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. თუ ეჭვი გეპარებათ ტერმინის ინკლუზიურობაში, ჰკითხეთ ამის შესახებ ხელმძღვანელს, კოლეგებს, ან პროექტის მათთან გაგზავნამდე დოკუმენტშივე მიუთითეთ კომენტარის სახით.

4.3. აკადემიური პასუხისმგებლობა - პლაგიატი და წყაროების გამოყენება

პლაგიატი გულისხმობს სხვისი ნაშრომის გამოყენებას ავტორის მითითების გარეშე. ასეთ შემთხვევაში თქვენად ასაღებთ იდეებს, მოსაზრებებს ან მიგნებებს, რომლებიც სხვა ადამიანების შრომის შედეგია. სწორედ ამიტომ, ის აკადემიურ თაღლითობას უტოლდება. პლაგიატის თავიდან ასარიდებლად აუცილებელია თქვენ მიერ გამოყენებული ყველა წყაროს ციტირება. ციტირების შესახებ წესები შეგიძლიათ, იხილოთ გზამკვლევში.

ასევე აუცილებელია, დაიცვათ წყაროებიდან თქვენთვის საინტერესო და გამოსადეგი ინფორმაციის გადმოტანის წესები. ამისთვის ორი გზა არსებობს - პირდაპირი ციტატა და პერიფრაზი/შეჯამება. გაითვალისწინეთ, რომ პირდაპირი ციტატა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა გამოიყენოთ, მაგალითად, როდესაც წყაროს ტექსტის სიტყვასიტყვით ფორმულირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ან ციტატის აზრს

სხვანაირად სწორად ვერ გადმოსცემთ. პერიფრაზი კი ციტირების სტანდარტული მეთოდია და გულისხმობს ნაშრომის ტექსტში სათქმელის თქვენეული ფრაზირებით ინტეგრირებას. ამ დროს საკმარისი არ არის ციტატაში გამოყენებული სიტყვების სინონიმებით ჩანაცვლება. სასურველია, ორიგინალის შინაარსი გადმოსცეთ განსხვავებული წინადადებით და სტრუქტურით. პერიფრაზს ასევე შეიძლება ჰქონდეს შეჯამების სახე, რომელშიც თავმოყრილია წყაროში გაბნეული მნიშვნელოვანი იდეები და თეორიები.

ნაწილი III

აკადემიური წერის ერთიანი სტილი
პრაქტიკული გზამკვლევი

შესავალი

აკადემიური წერის სტანდარტების თანახმად, დოკუმენტის შექმნის პროცესში აუცილებელია ერთიანი სტილის შენარჩუნება, გამოყენებული წყაროების სწორად და თანმიმდევრულად ციტირება. ციტირების წესების დაცვა ავტორს ეხმარება, თავიდან აირიდოს პლაგიატი, ხოლო ნამუშევრის მიგნებები სანდო და ხელმისაწვდომი წყაროებით გაამდიდროს. გამართული ციტირებები მკითხველისთვის ერთგვარი გზამკვლევია საკითხის უფრო სიღრმისეულად შესასწავლად. აკადემიურ წერაში ერთიანი სტილი გარანტიაა, რომ ავტორის სათქმელი მკითხველამდე სათანადოდ, სრულად და მკაფიოდ მივა.

ამ დოკუმენტში მკვლევრები, ავტორები, ასევე სხვა დაინტერესებული პირები გაეცნობიან სტილისა და ციტირების წესებს ფორმალური წერის პროცესში. აქ გადმოცემული მიდგომა შექმნილია აკადემიური წერის საერთაშორისო პრინციპებისა და საქართველოში დამკვიდრებული სტანდარტების სინთეზით. დოკუმენტის მიზანია აკადემიური წერის სისტემატური ხედვის ჩამოყალიბება, რომელიც შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ წესებს და კარგად მოერგება პრაქტიკულ საჭიროებებს.

ამ გზამკვლევში მოცემული აკადემიური წერის ერთიანი სტილი ეფუძნება Chicago Manual of Style 17th edition-ის სქოლიოს სტანდარტს. სამართლებრივი წყაროებისთვის ასევე გამოყენებულია OSCOLA-ს (Oxford University Standard for the Citation of Legal Authorities) და სხვა სამართლებრივი ციტირების წესები. ეს საერთაშორისო პრინციპები ადაპტირებულია საიას მუშაობის სპეციფიკასთან, გამოწვევებსა და არსებულ პრაქტიკასთან. შესაბამისად, გზამკვლევში თავმოყრილია ორგანიზაციის მიერ დამკვიდრებული საუკეთესო სტანდარტები, იმავდროულად, ჩამოყალიბებულია ახალი წესები აკადემიურ წერაში პრობლემებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

1. სტილი

1.1. ციტატები

არგუმენტის გასამყარებლად წყაროების სათანადო გამოყენება და დამოწმება კარგი კვლევის საფუძველია. თუმცა, ხშირად ჩნდება კითხვა, როგორ ჯობს ტექსტში წყაროს შინაარსის გადმოტანა - პერიფრაზით თუ პირდაპირი ციტატით.

ამ დილემის გადასაჭრელად საჭიროა, გავიაზროთ, გვჭირდება თუ არა წყაროს დამოწმება სიტყვასიტყვით და მატებს თუ არა ეს ტექსტს ღირებულებას. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზედმეტად ბევრი ციტატის გამოყენებამ, შესაძლოა, ეჭვები გააჩინოს კვლევის ხარისხის მიმართ. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში პერიფრაზი უფრო უსაფრთხო გამოსავალია.

ნაშრომში ციტატის გამოყენების ორი გზა არსებობს: ტექსტის ფორმატში მისი ინტეგრირება (ე.წ. run-in quotation) ან სეპარაცია (ე.წ. block quotations). პირველი გულისხმობს ძირითადი ტექსტიდან ციტატის გამოყოფას ბრჭყალებით, ხოლო მეორე შემთხვევაში ის ყოველთვის ახალი აბზაცით იწყება და შედარებით ვიწრო მინდვრის (margins) საშუალებით განთავსდება. მაგალითები იხილეთ ქვემოთ.

გაითვალისწინეთ, რომ ქართულ ენაზე წერისას გამოიყენოთ ქართულისთვის დამახასიათებელი ბრჭყალები - „სუვერენი - პრემიერი“, ხოლო ინგლისურად წერისას, ამ ენის შესაბამისი სტილი - “Sovereign - Prime Minister”.

<u>სტილი - ციტატა</u>

1. კვლევამ „სუვერენი - პრემიერი“ ადამიანის უფლებების მიმართ არაერთი პრობლემა გამოკვეთა. კერძოდ, „მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა აღარ არის, კვლავ შენარჩუნებულია საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გადახვევის მექანიზმი“.

2. კვლევამ „სუვერენი - პრემიერი“ გამოკვეთა არაერთი პრობლემა, რომლებიც კოვიდ-19-ის მიზეზით შემოღებულმა საგანგებო მდგომარეობამ ადამიანის უფლებების კუთხით წარმოშვა.

> „როგორც კვლევიდან ჩანს, საქართველოში საგანგებო მდგომარეობის დროს, ასევე, მისი დასრულების შემდეგ ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის კუთხითაც არაერთი პრობლემა გამოიკვეთა. მართალია, ამჟამად მათი ნაწილი გამოსწორებულია, თუმცა არსებითი მნიშვნელობის საკითხები კვლავ დღის წესრიგში დგას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა აღარ არის, კვლავ შენარჩუნებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გადახვევის მექანიზმი. აგრეთვე, გრძელდება დროებით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების მოქმედება, რომელთა მიხედვით, მთავრობას აქვს შესაძლებლობა, შეზღუდოს ადამიანის არაერთი ფუნდამენტური უფლება“.

ციტატის ინტეგრირების ფორმატი, ძირითადად, დამოკიდებულია ტექსტის ზომაზე. ზოგადი წესის მიხედვით, თუ ციტატა აჭარბებს ერთი საშუალო ზომის წინადადებას, ან იკავებს 4 ხაზზე მეტს, ჯობს ცალკე გამოიყოს (block quotations), სხვა შემთხვევებში კი - ტექსტში ჩაემატოს.

მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ, რომ ციტატა გადმოდის ისევე, როგორც წყაროშია ასახული, თუნდაც ეს ეწინააღმდეგებოდეს ამ გზამკვლევით განსაზღვრულ წესებს. ეს მოიცავს ციტატაში არსებულ შეცდომებსაც, თუმცა მათ შესახებ ტექსტში მიეთითება შესაბამისი აღნიშვნის გამოყენებით „[sic]“, რომელიც შეცდომის (სიტყვის, სიტყვათშეთანხმების, წინადადების) შემდეგ იწერება. უცხოენოვანი წყაროდან ციტატის თარგმნისას შეცდომაზე მინიშნება საჭირო არ არის.

ციტატის გადმოტანა ასევე შესაძლებელია მისი გარკვეული ნაწილის ამოღებით. ამ დროს, გამოკლებული ტექსტის ნაცვლად, გამოიყენება სამწერტილი, რომელიც კუთხოვან ფრჩხილებში ჩაისმის. ის დანარჩენი ტექსტისა და სასვენი ნიშნებისგან დამოუკიდებლად იწერება.

<u>სტილი - ციტატა გამოკლებული ტექსტით</u>

1. კვლევამ „სუვერენი - პრემიერი“ გამოკვეთა არაერთი პრობლემა, რომლებიც კოვიდ-19-ის მიზეზით შემოღებულმა საგანგებო მდგომარეობამ ადამიანის უფლებების კუთხით წარმოშვა.

> „როგორც კვლევიდან ჩანს, საქართველოში საგანგებო მდგომარეობის დროს, ასევე, მისი დასრულების შემდეგ ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის კუთხითაც არაერთი პრობლემა გამოიკვეთა. [...] მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა აღარ არის, კვლავ შენარჩუნებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გადახვევის მექანიზმი. აგრეთვე, [...] მთავრობას აქვს შესაძლებლობა, შეზღუდოს ადამიანის არაერთი ფუნდამენტური უფლება“.

1.2. სათაურების და თავების გამოყოფა

ზოგადი წესით, ტექსტში სათაურები და თავები უნდა გამოყოთ მარტივი დანომვრით (Word-ში heading-ების ფუნქციის გამოყენების გარეშე) და **გამუქებით** (bold ფუნქციის გამოყენებით). პირველი რანგის სათაურებს დაერთვის მათი რიგითობის შესაბამისი რიცხვი (<u>მაგალითად,</u> **1. სტილი**). მეორე რანგის სათაურები აღინიშნება როგორც პირველი, ისე მეორე დონის შესაბამისი რიცხვების კომბინაციით (<u>მაგალითად,</u> **1.2. სათაურებისა და თავების გამოყოფა**), მესამე დონის სათაურები აღარ დაინომრება და მხოლოდ გამუქდება.

გაითვალისწინეთ, რომ თავის ქვეშ არ შეიძლება მხოლოდ ერთი ქვეთავის გამოყოფა. მაგალითად, თუ პირველ თავში გაქვთ ქვეთავი **1.1**, აუცილებელია, მას მოჰყვებოდეს ასევე ქვეთავი **1.2**. თუ ტექსტი ამის საშუალებას არ გაძლევთ, მაშინ მას ქვეთავებად ნუ დაყოფთ და თავის ქვეშ აბზაცების მეშვეობით გადაანაწილეთ.

ქვემოთ მოცემული მაგალითი აღწერს სათაურების დანომვრის პრინციპს.

<u>სტილი - დანომვრა და დასათაურება</u>

2. დეკრეტის დამტკიცება

2.1. ნორმათშემოქმედებითი კომპეტენციის მოდიფიცირება

2.2. პარლამენტის პასიური როლი საგანგებო მდგომარეობის დროს

2.3. პრეზიდენტის დეკრეტი და ადამიანის უფლებები

უფლების შეზღუდვა და უფლების შეჩერება

დეკრეტით შეზღუდული უფლებები

1.3. აბრევიატურები და შემოკლებები

ტექსტზე მუშაობისას აბრევიატურებისა და შემოკლებების გამოყენება მისაღები, ხანდახან კი გარდაუვალი პროცესია. დასაშვებია მათი მითითება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ან სხვა ენაში დამკვიდრებული ფორმით. თუმცა, თუ არსებობს შემოკლების ქართულენოვანი ვერსია, როგორიცაა, მაგალითად, გაერო ან ეუთო, უმჯობესია, უპირატესობა მას მიანიჭოთ. მნიშვნელოვანია, რომ აბრევიატურები და შემოკლებები ტექსტში პირველად მოხსენიებისას სრულად განმარტოთ. შეგიძლიათ, ამისთვის ფრჩხილები და ბრჭყალები გამოიყენოთ.

<u>სტილი - აბრევიატურების გამოყენება</u>

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის („გაერო“) შემადგენლობაში არსებობს უამრავი ინსტიტუცია, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვას ემსახურება. ასეთებს მიეკუთვნება, მაგალითად, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი („UNHCR“), გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო („UNHRC“) და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი („OHCHR“).

აუცილებელია, დიდი ზომის ტექსტებს დაურთოთ აბრევიატურებისა და შემოკლებების ამომწურავი სია.

დასაშვებია, გამოიყენოთ დამკვიდრებული აბრევიატურები (მაგალითად, ICCPR, ECHR, UNHCR, UNDP), ან თავად შექმნათ ისინი. გაითვალისწინეთ, რომ ინგლისურენოვანი აბრევიატურა დასახელების პირველი ასოების ნაკრები უნდა იყოს. ქართულ ენაში კი შესაძლებელია როგორც აბრევიატურის, ისე ორსიტყვიანი ფრაზის შემოკლებული ვერსიის შედგენა, როგორიცაა, მაგალითად, საქსტატი, გაერო, პროფკავშირი და ა.შ. ამასთანავე, აუცილებელია, აბრევიატურა ან შემოკლება შეესაბამებოდეს იმ ფრაზას, რომელსაც აღნიშნავს. მათმა გამოყენებამ უნდა გაამარტივოს როგორც წერის, ისე კითხვის პროცესი.

1.4. ტექსტის ეფექტები

წერის პროცესში მოერიდეთ ტექსტის ისეთ ეფექტებს, როგორებიცაა ხაზგასმა (underline), *დახრილი სტილი* და **გამუქება** (bold). ამ ფუნქციებიდან გამოიყენეთ მხოლოდ **გამუქების** ფუნქცია ტექსტში თავების ან ქვეთავების აღსანიშნავად, ასევე რეკომენდაციების წერისას.

1.5. ფორმატი

ტექსტზე მუშაობისას, მისი სტანდარტიზაციისა და გადახედვის პროცესის გამარტივებისთვის გამოიყენეთ შემდეგი ფორმატი:

სტილი - ფორმატი

- მინდორი (margins) - Moderate (Top - 2.54 cm; Bottom - 2.54 cm; Left - 1.91 cm; Right - 1.91 cm);
- პარაგრაფებს შორის დაშორება (spacing) - პარაგრაფამდე (before) - 0; შემდეგ (after) - 6;
- სტრიქონებს შორის დაშორება (line spacing) - 1;
- განლაგება - გათანაბრებული (justified);
- შრიფტი - Calibri;
- შრიფტის ზომა - 12.

გაითვალისწინეთ, რომ ეს ფორმატი პარაგრაფებს შორის ადგილის გამოტოვებას თავად უზრუნველყოფს და ამის გაკეთება ხელით (enter ღილაკის გამოყენებით) აღარ არის საჭირო. აგრეთვე, არ გამოყოთ აბზაცი ყოველი ახალი პარაგრაფის დაწყებისას.

1.6. ციფრები და თარიღები

ტექსტში და ციტირებისას თარიღების აღნიშვნის ზოგადი ფორმატი არის „წლის დღე თვე“, შესაბამისად, „2021 წლის 4 აგვისტო“. თუ არ არსებობს დღის თარიღი, მაშინ გამოიყენეთ „წლის თვე“ - „2021 წლის აგვისტო.“ გამონაკლის შემთხვევებში, როგორიცაა, მაგალითად, წყაროს ციტირებისას ბოლო ვიზიტის აღნიშვნა, მიუთითეთ ის შემოკლებული სახით, ევროპული სტილით, „დღე.თვე.წელი.“ - 04.08.2021.

ტექსტში 1-იდან 10-მდე რიცხვები იწერება სიტყვიერად, ხოლო დანარჩენი - ციფრებით. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ წესიდან გადახვევა. მთავარია, გახსოვდეთ, რომ ტექსტი მკითხველისთვის ადვილად აღქმადი უნდა იყოს. სამართლებრივ წყაროებზე მუშაობისას შეიძლება ხშირად დაგჭირდეთ პრიმა რიცხვის გამოყენება, მაგალითად, პრიმა მუხლზე მითითებისას. პრიმის აღნიშვნისთვის გამოიყენეთ ციფრი ან რიცხვი და შემდგომ დასვით პრიმა ნიშანი, მაგალითად, მე-2[1] მუხლი. პრიმა რიცხვის მითითების მოკლე ბრძანება (shortcut) Word-ის პროცესორში არის Ctrl+Shift++.

ტექსტში წილადები ჩაწერეთ რიცხვების გამოყენებით - 1/2 ან ½ და არა - სიტყვიერად.

დადგენილი სტანდარტის მიხედვით, რიგითობა არაბული ციფრებით აღინიშნება.

<u>სტილი - თარიღები</u>

1. (ტექსტში) საქართველოს პირველი კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვალს მიიღეს.

2. (ციტირება) საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის საგანგებო სესიის 2020 წლის 21 მარტის პლენარული სხდომა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2020 წლის 21 მარტი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/20226, განახლებულია: 07.10.2020.

1.7. ზოგიერთი სასვენი ნიშნის გამოყენება

ტექსტის შექმნისას ზოგიერთ სასვენ ნიშანს და მათ სწორად მითითებას შეიძლება განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდეს. ქვემოთ ჩამოთვლილია მათი გამოყენების წესები, წმინდად გრამატიკული ფუნქციების მიღმა.

ფრჩხილების სწორად გამოყენება ტექსტს სიცხადესა და ფუნქციურობას მატებს. მაგალითად, შეგიძლიათ, ფრჩხილებში ჩასვათ მცირე განმარტება, როდესაც მისი ხასიათი ცალკე წინადადებას არ იმსახურებს. თუმცა, ეს არ უნდა იყოს ვრცელი ტექსტი. ასეთ შემთხვევაში, უმჯობესია, მას ცალკე წინადადება დაუთმოთ ან სქოლიოში მიუთითოთ. ფრჩხილები ასევე გამოიყენება <u>აბრევიატურებისა ან შემოკლებების,</u> აგრეთვე <u>სქოლიოში</u> სხვადასხვა ინფორმაციის აღსანიშნავად.

ბრჭყალების მთავარი ფუნქციაა <u>ციტატის</u> გამოყოფა ტექსტის სხვა ნაწილებისგან. ბრჭყალები დასაშვებია ასევე ჟარგონული (არააკადემიური) ტერმინების აღსანიშნავად. გაითვალისწინეთ, რომ ინგლისურ ენაში დამკვიდრებული ზოგადი წესების საპირისპიროდ, ამ გზამკვლევის სტანდარტის მიხედვით, ბოლო სასვენი ნიშანი (წერტილი, მძიმე) ბრჭყალების გარეთ იწერება. ასევე, სასვენი ნიშნის შემდეგ დაისმის სქოლიოს აღმნიშვნელი სიმბოლო წინადადების ბოლოს. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, მისი გამოყენება წინადადების დასრულებამდეც შეგიძლიათ. მაგალითად, როდესაც შუაში ჩასმულია ციტატა, წყაროს შესახებ მიუთითეთ ციტატის ბრჭყალის შემდეგ და არა - წინადადების ბოლოს. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, თუ წინადადება რამდენიმე წყაროს მოიცავს და ერთ სქოლიოში მათი ასახვა შეიძლება დამაბნეველი იყოს, მაგალითად, როდესაც საუბარია ორი განსხვავებული წყაროდან მოყვანილ ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციაზე. თუმცა, რეკომენდებულია, თავი აარიდოთ წინადადებაში რამდენიმე სქოლიოს გამოყენებას (ისევე, როგორც ზედმეტად გრძელ წინადადებებს).

წერტილ-მძიმე, წმინდად გრამატიკული ფუნქციების მიღმა,[37] გამოიყენება, როგორც სიის ან ჩამონათვალის ელემენტების გამმიჯვნელი სასვენი ნიშანი.

[37] წერტილ-მძიმე გამოიყენება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც ის ერთმანეთისგან მიჯნავს ერთნაირ ენობრივ ელემენტებს.

<u>სტილი - ზოგიერთი სასვენი ნიშანი</u>

1. (ფრჩხილები) ლიეტუვის რესპუბლიკის სეიმმა (საკანონმდებლო ორგანო) 1990 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა.

2. (ბრჭყალები) ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ხშირად არსებობენ ერთიანი ფინანსური რესურსის, ე.წ. „ობშიაკის“ საფუძველზე.

3. (წერტილ-მძიმე) საქართველოს მოკავშირეები ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში არიან:

- ლიეტუვა;
- უკრაინა;
- პოლონეთი.

1.8. უცხოური წყაროები, სახელები და ტრანსლიტერაცია ტექსტში

კვლევის პროცესში ხშირად გვიწევს სხვადასხვა ენაზე არსებული წყაროების, სახელებისა და ტერმინების გამოყენება, რამაც ნაშრომში შეიძლება გაურკვევლობა წარმოშვას. ერთიანი სტილისთვის, მნიშვნელოვანია, იცოდეთ ასეთი სიტყვების ქართულენოვან ტექსტში გადმოტანის წესი.

1.8.1. უცხოენოვანი სახელების ტრანსლიტერაცია

ტექსტში უცხოენოვან წყაროზე საუბრისას აუცილებელია უცხოური სიტყვების ტრანსლიტერაცია. ავტორისა თუ სხვა კერძო სახელების შემთხვევაში, შესაძლოა, ეს გარკვეულ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული, ვინაიდან, ქართულისგან განსხვავებით, უცხო ენების უმრავლესობაში სიტყვების მართლწერა და გამოთქმა ხშირად ერთმანეთს არ შეესაბამება. უცხოურიდან ქართულ ენაზე სახელის ტრანსლიტერაციისას, მნიშვნელოვანია, განსაზღვროთ, როგორ გამოითქმის ის ორიგინალის ენაზე. ამის დასადგენად, შეგიძლიათ, გამოიყენოთ ისეთი ონლაინლექსიკონები ან თარგმნის პროგრამები, რომლებსაც ჩაწერილი სიტყვების ხმოვანი გამოთქმის ფუნქციაც აქვს, მაგალითად, <u>Google Translate</u>.

კერძო სახელის პირველი ტრანსლიტერაციისას ორიგინალი შესატყვისი იწერება მის გვერდით, ფრჩხილებში. იგივე წესი ვრცელდება დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე და სხვა.

<u>სტილი - უცხოენოვანი სახელების ტრანსლიტერაცია</u> (ავტორის სახელი)

<u>ორიგინალი:</u> Roberto Gargarella, Siri Gloppen, and Elin Skaar, eds., Democratization and the Judiciary: The Accountability Function of Courts in New Democracies, London: Frank Cass, 2004, 34

<u>ტექსტში</u>: რობერტო გარგარელას (Roberto Gargarella), სირი გლოპენისა (Siri Gloppen) და ელინ სკაარის (Elin Skaar) მიერ რედაქტირებულ წიგნში საუბარია ახალ დემოკრატიებში სასამართლოების პასუხისმგებლობასა და როლზე.

ნაშრომზე მუშაობისას შეიძლება ასევე მოგიწიოთ გეოგრაფიული და სხვა სახელების მითითება. ზოგადი წესის თანახმად, გეოგრაფიული სახელები ითარგმნება და ტექსტში მათი ქართული შესატყვისი გამოიყენება. თუკი ქართულში ის წყაროს ენისგან განსხვავებული ფორმით არსებობს, იწერება ქართულ ენაში დამკვიდრებული სახით, სხვა შემთხვევაში კი ხდება ტრანსლიტერაცია. გარდა ამისა, ხშირად ოფიციალური გეოგრაფიული დასახელებები განსხვავდება დამკვიდრებული და გავრცელებული ფორმებისგან. შეგიძლიათ, ასეთ დროს შემოკლების ზოგად წესს მიმართოთ (იხ. აბრევიატურები და შემოკლებები).

<u>სტილი - უცხოენოვანი სახელების ტრანსლიტერაცია</u> (გეოგრაფიული სახელები)

<u>წყაროს ენაზე</u>:	<u>თარგმანი:</u>	<u>შემოკლება:</u>
London	ლონდონი	ლონდონი
Prague	პრაღა	პრაღა
Czech Republic	ჩეხეთის რესპუბლიკა	ჩეხეთი
Federal Republic of Germany	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა	გერმანია

თარგმნისა და ტრანსლიტერაციის ზოგადი წესიდან გამონაკლისი არის **გამომცემლობათა სახელები**, რომლებიც არ ითარგმნება და ტექსტში უცვლელად გადადის.

1.8.2. დოკუმენტი ქართულ ენაზე

თუ დოკუმენტი ქართულ ენაზე და, შესაბამისად, ქართველი მკითხველისთვის მზადდება, მაქსიმალურად ეცადეთ, გამოიყენოთ წყაროების ქართულენოვანი ვერსია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ტექსტში გამოყენებული მასალები მკითხველისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამისთვის, შეგიძლიათ, სხვადასხვა ხერხს მიმართოთ. მაგალითად, დაურთეთ მცირე აღწერილობითი მინაწერი უმნიშვნელოვანეს წყაროებს, განმარტეთ ისინი ტექსტში, ან ბიბლიოგრაფიაში მიუთითეთ მათი დასახელების ქართული თარგმანი.

<u>სტილი - წყაროს ხელმისაწვდომობის ხერხები</u>

<u>ხერხი 1 (სქოლიოში):</u> [...] ამ თეორიების წყარო 2004 წელს გამოცემული რედაქტირებული წიგნია, რომელშიც საუბარია ახალ დემოკრატიებში სასამართლოების პასუხისმგებლობასა და როლზე.

<u>ხერხი 2 (სქოლიოში):</u> Roberto Gargarella, Siri Gloppen, and Elin Skaar, eds., Democratization and the Judiciary: The Accountability Function of Courts in New Democracies, London: Frank Cass, 2004, 34. ამ წყაროში საუბარია ახალ დემოკრატიებში სასამართლოების პასუხისმგებლობასა და როლზე.

<u>ხერხი 3 (ბიბლიოგრაფიაში)</u>: Gargarella Roberto, Gloppen Siri, and Skaar Elin, eds. Democratization and the Judiciary: The Accountability Function of Courts in New Democracies. London: Frank Cass. 2004 [დემოკრატიზაცია და სასამართლო ხელისუფლება: სასამართლოების პასუხისმგებლობის ფუნქცია ახალ დემოკრატიებში].

1.8.3. დოკუმენტი ინგლისურ ენაზე

დოკუმენტები, მათი საერთაშორისო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხშირად ითარგმნება ინგლისურიდან ქართულ ენაზე ან - პირიქით. აუცილებელია, განისაზღვროს, არსებობს თუ არა წყაროს ეკვივალენტი ან მსგავსი ვერსია (თუნდაც არაოფიციალური) იმ ენაზე, რომელზეც დოკუმენტი ითარგმნება. თუ ეს ასეა, აუცილებელია, სწორედ წყაროს ეს ვარიანტი გამოიყენოთ, რათა მკითხველს მასზე წვდომა გაუადვილდეს. თუ ნაშრომი ორ ენაზე იქმნება ან ითარგმნება, ხოლო წყარო ორივე ენაზე მოიპოვება, მიუთითეთ ნაშრომის ენაზე მოძიებული ვერსია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თანდართული ბმულები მკითხველს იმავე ენაზე არსებულ ვარიანტზე ამისამართებდეს, რომელზეც დოკუმენტი ითარგმნება ან იქმნება.

1.9. ლათინური ტერმინები

აკადემიურ და, განსაკუთრებით, სამართლებრივ ტექსტებში ავტორები ხშირად მიმართავენ ლათინურ ტერმინებს, როგორებიცაა mutatis mutandis, de facto, per se და ა.შ. მათი გამოყენება დასაშვებია, თუმცა, ამის მიზანი მხოლოდ ტექსტის გამდიდრება უნდა იყოს და არა - ქართული შესატყვისების ჩანაცვლება. მაგალითად, ტერმინებს inter alia და per se მოეპოვება ზუსტად იმავე მნიშვნელობის ქართული ანალოგები - „სხვათა შორის“ და „თავისთავად“. ასეთ შემთხვევებში, ლათინური ტერმინების ნაცვლად, დაწერეთ ქართული (თუ ინგლისურად წერთ - ინგლისური) შესატყვისები. თუმცა, არსებობს ტერმინები, რომლებიც არ ითარგმნება მნიშვნელობის ცვლილების ან ტექსტის არაპროპორციულად გაზრდის გარეშე, ამიტომ, ნაშრომში მათი გამოყენება დასაშვებია. ასეთია, მაგალითად, quasi, de jure, ad hoc და obiter dictum. ამგვარ ტერმინებს მიმართეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ზუსტად იცით მათი მნიშვნელობა. თუ დარწმუნებული არ ხართ, გადაამოწმეთ, ან საერთოდ უარი თქვით მათზე.

ლათინური ტერმინები ტექსტში ჩაისმება დახრილი სტილით ან სხვა ფორმატირების გარეშე და, მათი მნიშვნელობის შესაბამისად, გამოიყოფა მძიმეებით.

2. ციტირების ერთიანი წესი

2.1. ციტირების ზოგადი წესები

2.1.1. ციტირების მთავარი პრინციპები

ტექსტის შემუშავების პროცესში ციტირების გამართული სტანდარტის გამოყენება დაგეხმარებათ, თავიდან აირიდოთ პლაგიატი, ხოლო ნამუშევრის მიგნებები სანდო და ხელმისაწვდომი წყაროებით გაამდიდროთ. გარდა ამისა, სათანადოდ შესრულებული ციტირება მკითხველს ამომწურავ ინფორმაციას აწვდის წყაროს შესახებ.

ციტირებადი წყარო შეიძლება იყოს აკადემიური ან არააკადემიური, ელექტრონული ან ფიზიკური ფორმატით, გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი, საჯარო ინფორმაცია ან კერძო დოკუმენტი. ციტირების წესები განსხვავდება სხვადასხვა ტიპის წყაროებისთვის, თუმცა მთავარი პრინციპი ერთია - **თუ ტექსტის შექმნისას მასალას გამოიყენებთ, მისი მითითება აუცილებელია**.

სათანადო ციტირება გულისხმობს წყაროსთან დაკავშირებით ისეთი ინფორმაციის მითითებას, როგორიცაა ავტორის შესახებ მონაცემები (პიროვნების სახელი ან ორ-

განიზაციის დასახელება), წყაროს სათაური ან დასახელება, გამოცემის თარიღი, გამომცემელი, გამოცემის ნომერი, ელექტრონული ბმული და სხვა საიდენტიფიკაციო ცნობები. ციტირების მთავარი პრინციპია, **მკითხველს მიაწოდოს საკმარისი ინფორმაცია წყაროს დასადგენად და მოსაძებნად**.

მუშაობის პროცესში შეიძლება შეგხვდეთ წყარო, რომლის შესახებაც არ მოიძებნება ამომწურავი, ამ გზამკვლევში მოცემული ციტირების სტანდარტის შესაბამისი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში, გამოიყენეთ ხელმისაწვდომი მონაცემები და ისინი სათანადო პრინციპების დაცვით მიუთითეთ. თუმცა, **მოერიდეთ ისეთი წყაროს ციტირებას, რომლის წარმომავლობა ბუნდოვანია და იდენტიფიცირებისთვის საკმარის ინფორმაციას არ შეიცავს.**

2.1.2. ციტირების ზოგადი წესი

ამ გზამკვლევში ჩამოყალიბებული ციტირების სტანდარტი ეფუძნება ჩიკაგოს სტილს სქოლიოსა (ე.წ. ფუტნოუთი) და ბიბლიოგრაფიის გამოყენებით. თუმცა, მიუხედავად ამ ზოგადი წესისა, ენდნოუთი დასაშვებია ცხრილების ციტირებისას. ის სრული ტექსტის ბოლოს იწერება და ინფორმაციას იმავე წესით გადმოსცემს, როგორც სქოლიო, რომელიც გვერდის ბოლოს განთავსდება. იმ შემთხვევაში კი, თუ ცხრილი დანართის ფორმითაა მოცემული, მაშინ ენდნოუთი თითოეული დანართის ბოლოს მიეთითება.

ციტირება ვორდის დოკუმენტში

ციტირების ზოგადი წესით, წყაროდან მოყვანილი ინფორმაციის შესახებ უნდა მიუთითოთ გვერდის ქვედა ნაწილში განთავსებულ სქოლიოზე, სადაც ციტირებულია წყარო. სქოლიოს აღმნიშვნელი რიცხვი იწერება იმ წინადადების ბოლოს, წერტილის შემდეგ, სადაც ხსენებული ინფორმაციაა მოცემული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, როგორ ხდება ციტირება, როდესაც წყაროს ერთსა და იმავე გვერდზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით ნაშრომში იქმნება მიყოლებით რამდენიმე წინადადება. ასეთ შემთხვევაში ყველა წინადადების ბოლოს მიეთითება ამ წყაროს აღმნიშვნელ სქოლიოზე. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მიყოლებით რამდენიმე წინადადება იქმნება ერთი და იმავე წყაროს სხვადასხვა გვერდიდან, თავიდან ან სექციიდან. მნიშვნელოვანია, რომ ყველა წინადადებას ბოლოში ჰქონდეს სქოლიო შესაბამის მონაცემებზე მითითებით. ერთი და იმავე წყაროს განმეორებითი, მომდევნო ციტირების შესახებ წესი იხილეთ ქვემოთ.

Microsoft Word-ში სქოლიოს განთავსების ფუნქცია, როგორც წესი, მოცემულია References ჩანართის ქვეშ. სქოლიო ასევე შეიძლება ჩაისვას Alt+Ctrl+F სწრაფი გამოძახების (shortcut) ბრძანებით.



ციტირების ზოგადი ფორმულა

ეს გზამკვლევი შეიცავს ციტირების წესებს წყაროს ისეთი ტიპებისთვის, რომლებიც ხშირად გამოიყენება ფორმალური დოკუმენტების შექმნისას. თუმცა, შესაძლოა, საჭირო წყარო მიეკუთვნებოდეს განსხვავებულ კატეგორიას, ან შეუძლებელი იყოს მისი კატეგორიზება. ასეთ შემთხვევაში იხელმძღვანელეთ ციტირების ზოგადი სტანდარტით.

ციტირების ზოგადი წესი რთულად ჩამოსაყალიბებელია, ვინაიდან მასში სასვენი ნიშნების გამოყენება, ინფორმაციის რაობა და მიმდევრობა ხშირად დამოკიდებულია იმაზე, რომელ კატეგორიას მიეკუთვნება წყარო - ის არის წიგნი, თავი ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემულ წიგნში, სამეცნიერო ჟურნალის სტატია, არააკადემიური დოკუმენტი თუ სხვა.

ზოგადი წესით, წყაროს სათაური და დასახელება ბრჭყალებში ისმება, თუ იგი არის სექცია, თავი ან კრებულის ნაწილი, მაგალითად, სტატია სამეცნიერო ჟურნალში, თავი რედაქტირებულ წიგნში, სექცია ავტორთა კოლექტივის ანგარიშში. ხოლო, თუ ის ერთ მთლიანობას წარმოადგენს, როგორიცაა, მაგალითად, წიგნი, გაზეთის სტატია ან არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიში, ბრჭყალები საჭირო არ არის.

ციტირების წესი - წყაროს დასახელების განსხვავებული აღნიშვნა (წიგნი და სტატია)

ციტირება სქოლიოში:

1. კონსტანტინე კორკელია, როგორ უზრუნველვყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით? თბილისი: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), 2010, 24-26.

2. ირაკლი ქსოვრელი, „საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება - უფლების დაცვის ეფექტური საშუალება“, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი №2, 2019 წლის დეკემბერი, 43, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/files/2/journal2019.2/Irakli-Ksovreli-2019.2-ka.pdf,განახლებულია: 09.09.2021

ზოგადი წესით, ტექსტში წყაროს პირველი ციტირებისას გადმოიცემა მისი სრული ინფორმაცია. ეს ინფორმაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კატეგორიების მიხედვით. თუმცა, ზოგადად, პირველად იწერება ავტორის სახელი და გვარი, შემდეგ წყაროს სათაური ან დასახელება, ხოლო მას მოსდევს წყაროს შესახებ სხვა მონაცემები - გამომცემლობა და ქალაქი, გამოცემის რიგითობა, ტომი, კრებულის დასახელება (თუ წყარო კრებულის ნაწილია), ჟურნალის დასახელება, ინტერნეტბმული და წყაროს გამოქვეყნების/გამოცემის თარიღი. სულ ბოლოს მიეთითება კონკრეტული ინფორმაციის გვერდის შესახებ (ისეთი აღნიშვნების გარეშე, როგორებიცაა გვ. p. და ა.შ.).

ავტორის სახელი შეიძლება შეიცავდეს ერთ ან რამდენიმე მეორე სახელს (middle name). ისინი თან ერთვის პირველ სახელს და ყოველთვის მის შემდეგ იწერება, მათ შორის, ბიბლიოგრაფიაშიც, სადაც სახელებისა და გვარების თანმიმდევრობა იცვლება.

ციტირებისას ყველა ინდივიდუალური წყაროს შემცველი სქოლიოს ბოლოს დაისმის წერტილი. თუ ერთ სქოლიოში რამდენიმე წყაროა, ისინი ერთმანეთისგან წერტილ-მძიმით გამოიყოფა, ბოლოში კი წერტილი იწერება.

<u>ციტირების ზოგადი წესი - პირველი ციტირება</u> (წიგნი)

[ავტორის სახელი და გვარი], [ნამუშევრის სათაური/სახელი], [გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი], [გვერდები].

<u>მაგალითი 1</u>. კონსტანტინე კორკელია, როგორ უზრუნველვყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით? თბილისი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), 2010, 24-26.

<u>მაგალითი 2</u>. Roberto Gargarella, Siri Gloppen, and Elin Skaar, eds., Democratization and the Judiciary: The Accountability Function of Courts in New Democracies, London, Cass, 2004, 34.

განმეორებითი ციტირების ზოგადი ფორმულა

პირველი სრული ციტირების შემდგომ იგივე წყარო ისევ სრულად არ მიეთითება, არამედ შემოკლებული სახით გამოიყენება. მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ, რომ განმეორებითი ციტირებისას შემოკლებამ არ უნდა გამოიწვიოს დაბნეულობა და წყაროების ერთმანეთში არევა. ამის თავიდან ასარიდებლად იხელმძღვანელეთ ინ-ფორმაციის დეტალურობის პრინციპით, რომელიც ამგვარ რისკებს აღმოფხვრის.

თუ დოკუმენტში ავტორის მხოლოდ ერთი ნაშრომია ციტირებული, წყაროს განმეორებით მითითებისას გამოიყენეთ შაბლონი - „დასახელებული ნაშრომი“. იმავე ქართულენოვანი შაბლონით იხელმძღვანელეთ, როდესაც საქმე უცხოენოვან წყაროს ეხება. ხოლო, თუ ტექსტში ერთი ავტორის რამდენიმე ნაწარმოებია ციტირებული, წყაროს შემდგომი მითითებისას მისი სათაური გამოიყენეთ. თუ ნაშრომს რამდენიმე ავტორი ჰყავს, დაწერეთ მხოლოდ პირველი ავტორის სახელი და გვარი, ხოლო დანარჩენები აღნიშნეთ სიტყვათშეთანხმებით „და სხვები“. თუ წყაროს ავტორი ორგანიზაციაა, ხოლო თავად წყარო - ანგარიში, რომელიც ერთი და იმავე სახელით გამოიცემა პერიოდულად, მომდევნო ციტირებისას, ორგანიზაციის დასახელებასა და ანგარიშის სათაურთან ერთად, კონკრეტული პერიოდიც მიუთითეთ.

თუ შემდგომი ციტირებისას გიწევთ წყაროს სათაურის მითითება, რომელიც მრავალსიტყვიანია, რეკომენდებულია შემოკლება. სათაურის შემოკლების მთავარი პრინციპია, შენარჩუნდეს მისი ძირითადი შინაარსი, მაგალითად, სათაურის პირველი ნაწილის, პირველი 2-3 სიტყვის ან ცენტრალური სიტყვების გამოყენებით. ხშირად შემოკლება არც ისე იოლია, ამიტომ, თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ ამით არ დაირღვევა მისი იდენტიფიცირებისა და გამართულობის მოთხოვნები, დატოვეთ წყაროს სრული სათაური.

<u>ციტირების ზოგადი წესი - შემდგომი ციტირება</u> (წიგნი)

[ავტორის გვარი/დასახელება], [დასახელებული ნაშრომი], [გვერდები].

<u>მაგალითი</u>: კონსტანტინე კორკელია, დასახელებული ნაშრომი, 31.

<u>ტექსტში ერთი ავტორის რამდენიმე ნაშრომის ციტირების შემთხვევაში</u>:

<u>მაგალითი</u>: კონსტანტინე კორკელია, საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა, 31.

<u>უცხოენოვანი წყაროების განმეორებითი ციტირება:</u>

<u>მაგალითი:</u> Gargarella და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 35.

თუ ავტორის ერთი და იმავე ნაშრომის მითითება ერთმანეთის მიყოლებით გიწევთ, წყაროს შემდგომი ციტირებისას გამოიყენეთ ტერმინი „იქვე“. ასევე, მიუწერეთ მას გვერდი, თუ ის განსხვავდება მის ზემოთ მოცემულ სქოლიოში მინიშნებული გვერდისგან. თუკი ნაშრომის გვერდები ერთი და იგივეა, მაშინ „იქვეს“ შემდეგ მისი ასახვა საჭირო აღარ არის.

ინგლისურ ენაზე შედგენილ დოკუმენტში ან თარგმნისას „იქვე“ ჩანაცვლდება ტერმინით „ibid“.

<u>ციტირების ზოგადი წესი - შემდგომი ციტირება</u> (წიგნი)

[ავტორის გვარი/დასახელება], [დასახელებული ნაშრომი], [გვერდები].

<u>მაგალითი 1</u>.

1. კონსტანტინე კორკელია, როგორ უზრუნველვყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით? თბილისი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), 2010, 24-26.

2. იქვე, 35.

3. იქვე.

4. იქვე, 37.

<u>მაგალითი 2</u>.

1. Roberto Gargarella, Siri Gloppen, and Elin Skaar, eds., Democratization and the Judiciary: The Accountability Function of Courts in New Democracies, London, Cass, 2004, 34.

2. იქვე.

ბიბლიოგრაფიის ჩანაწერის ზოგადი ფორმულა

ვრცელ დოკუმენტებს, ციტირების გარდა, თან ერთვის ასევე ბიბლიოგრაფია, რომელიც ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს შეიცავს. სქოლიოსგან განსხვავებით, ბიბლიოგრაფიაში წყაროები დალაგებულია ანბანური თანმიმდევრობით, ხოლო ავტორთა მითითებისას პირველად გვარი იწერება. ბიბლიოგრაფიაში ინფორმაცია ერთმანეთისგან, მძიმის ნაცვლად, წერტილით გამოიყოფა.

გარკვეულ შემთხვევებში (მაგალითად, თავი რედაქტირებული წიგნიდან, სტატია სამეცნიერო ჟურნალში) ბიბლიოგრაფიაში მიეთითება ის გვერდები, რომლებზეც ავტორის მიერ გამოყენებული წყაროა მოცემული.

განსაკუთრებით ვრცელ ნაშრომებში ბიბლიოგრაფია შეიძლება დაიყოს წყაროთა კატეგორიების შესაბამისად. ამგვარ კატეგორიებს, შესაძლოა, მიეკუთვნებოდეს საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი აქტები, საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებები, წიგნები, სამეცნიერო სტატიები, საერთაშორისო ორგანიზაციათა ანგარიშები და განცხადებები, ინტერვიუები, ინტერნეტწყაროები (მაგალითად, მედია, საინფორმაციო სააგენტოები, ვებგვერდები), ასევე სხვა არაკატეგორიზებული წყაროები.

2.1.3. უცხო ენაზე არსებული წყარო

კვლევის პროცესში ხშირად სხვადასხვა ენაზე არსებული წყაროების გამოყენება გვიწევს, რამაც ციტირებისას შეიძლება გაურკვევლობა წარმოშვას. ასეთ დროს სქოლიოში იწერება წყაროს დასახელება ორიგინალის ან იმ ენაზე, რომელზეც მას ავტორი გაეცნო. მაგალითად, თუ ქართულენოვანი ტექსტის შექმნისას მკვლევარმა გამოიყენა ინგლისურენოვანი წყარო, მისი ციტირებისას ინფორმაცია მიეთითება ინგლისურად. თუმცა, ავტორის ინტერვენცია, რაც გულისხმობს ზოგიერთი წყაროს ბოლოს ტერმინების „ხელმისაწვდომია“ (“available at”) და „განახლებულია“ (“accessed on”) გამოყენებას, ჩაიწერება დოკუმენტის ენაზე. თუ ავტორი ტექსტს ქმნის ან თარგმნის ინგლისურ ენაზე და იყენებს ქართულენოვან წყაროს, ციტირებაში ინფორმაცია ქართულად ჩაიწერება.

დიდი დოკუმენტების შემთხვევაში, როდესაც ტექსტს თან ერთვის ბიბლიოგრაფია, სასარგებლო იქნება, თუ, წყაროს დასახელებასთან ერთად, მიუთითებთ მის თარგმანსაც იმ ენაზე, რომელზეც ნაშრომს წერთ. თარგმანისა და ალიტერაციის შესახებ წესები იხილეთ სექციაში 1.8.

2.1.4. წყაროების თანმიმდევრობა სქოლიოში

ერთი წინადადების ან ერთი არგუმენტის შემუშავების პროცესში ავტორი ხშირად რამდენიმე წყაროს იყენებს. ასეთ შემთხვევაში ამ წყაროების ციტირებები ერთ სქოლიოში ექცევა და ისინი ერთმანეთისგან წერტილ-მძიმით გამოიყოფა.

სქოლიოში წყაროთა თანმიმდევრობის დადგენის რამდენიმე ხერხი არსებობს. სამართლებრივი კვლევისას მნიშვნელოვანია, განისაზღვროს პირველადი და მეორადი წყაროები. თუ სქოლიო რამდენიმე სახის მასალას შეიცავს, ჯერ მიეთითება პირველადი წყაროები, როგორიცაა სამართლებრივი აქტები (კონსტიტუციები, კანონები, რეგულაციები, საერთაშორისო აქტები), ხოლო შემდეგ - მეორადი, მაგალითად, აკადემიური ლიტერატურა, არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნები და ანგარიშები, სასამართლო გადაწყვეტილებები, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, ბლოგპოსტები და სხვა.

ციტირების ზოგადი წესი - წყაროების თანმიმდევრობა სქოლიოში

მაგ. 1. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11; თეიმურაზ ტუღუში და სხვები, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2013, 28-34.

ერთი და იმავე კატეგორიის წყაროთა თანმიმდევრობა სქოლიოში განისაზღვრება მათი მნიშვნელობის შესაბამისად (იმის მიხედვით, რამდენად ავტორიტეტულია წყარო). თუ ერთნაირი ღირებულების წყაროებზეა საუბარი, მაშინ ისინი გამოქვეყნების თარიღების მიხედვით განლაგდება, უახლესიდან ძველის მიმართულებით. ხოლო, თუ ერთსა და იმავე დროს არის გამოცემული, ავტორთა სახელების ანბანური თანმიმდევრობა გამოიყენება. მაგალითად, თუ ვსაუბრობთ კონსტიტუციის მე-9 მუხლით გარანტირებულ ღირსების ხელშეუვალობასა და ამ უფლების განმარტებაზე, წყაროთა რიგითობა იქნება შემდეგნაირი:

ციტირების ზოგადი წესი - წყაროების თანმიმდევრობა სქოლიოში

მაგ. 1. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 9; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება, „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38; თეიმურაზ ტუღუში და სხვები, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2013, 28-34.

შესაბამისად, სქოლიოში რამდენიმე წყაროს არსებობის შემთხვევაში მათი თანმიმდევრობა დამოკიდებულია ტიპზე. ხოლო ერთი ტიპის წყაროთა რიგითობა განისაზღვრება ნაშრომის არგუმენტისთვის მათი წონით, სიახლით ან/და ანბანური პრინციპით. მიუხედავად წყაროთა თანმიმდევრობისა, მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი მიჰყვებოდეს ერთიან სტანდარტს. შესაბამისად, **დაუშვებელია, მის ორ სქოლიოში წყაროების რიგითობა განსხვავებული მიდგომით იყოს მოცემული.**

სქოლიოში წყაროების რაოდენობა, სასურველია, იყოს მაქსიმუმ ორი ან სამი, გარდაუვალ შემთხვევაში - ოთხი. უფრო მეტის არსებობისას, შეარჩიეთ ყველაზე მნიშვნელოვანი ორი ან სამი მათგანი. ხოლო, თუ ისინი თანაბარი მნიშვნელობისაა, გამოიყენეთ უახლესი წყაროები.

2.1.5. ინტერნეტწყაროები და ბმულები

თანამედროვე კვლევის პროცესში გამოყენებული წყაროების უმრავლესობა ინტერნეტსივრცეშია მოძიებული. ზოგადი სტანდარტით, აუცილებელია, მათ შესაბამისი ბმული ერთოდეს, რაც მკითხველს საშუალებას მისცემს, მასალას დამატებითი საძიებო მოქმედებების გარეშე გაეცნოს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ინტერნეტწყარო საჭიროებს ბმულის მითითებას. ამის გადასაწყვეტად, აუცილებელია, გააანალიზოთ, რა სახის წყაროსთან გაქვთ საქმე.

ზოგადი წესით, ბმულის დართვას არ საჭიროებს სათანადო წესით გამოცემული ისეთი პუბლიკაცია ან დოკუმენტი, რომლის მოძებნა ბმულის გარეშეც იოლი იქნება სხვადასხვა ელექტრონულ ბიბლიოთეკასა თუ სამეცნიერო პლატფორმაზე. ამგვარ ნაშრომებს მიეკუთვნება, მაგალითად, ცნობილი გამომცემლობების მიერ გამოშვებული აკადემიური წიგნები, აკადემიური სტატიები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები. ასეთი წყაროების მოსაძიებლად ხშირად სხვა მექანიზმებიც არსებობს, მაგალითად, ISBN, DOI ან სხვა სერიული და საიდენტიფიკაციო კოდები.

მეორე მხრივ, კვლევის პროცესში შეიძლება ხშირად შეგვხვდეს ისეთი წყარო, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ არცერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება და არც განსაკუთრებული საიდენტიფიკაციო მონაცემი გააჩნია. ასეთია, მაგალითად, ონლაინმედიის სიახლეები, არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, სხვადასხვა დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციები, რომლებიც საჭიროებს ბმულის დართვას და ვიზიტის თარიღის მითითებას. ინტერნეტში ასევე შეიძლება შეგხვდეთ წყაროები (მაგალითად, სამეცნიერო სტატიები), რომლებიც ჟურნალიდან ან სხვა გამოცემიდანაა ამოჭრილი და თან არ ერთვის ისეთი მონაცემები, როგორებიცაა ჟურნალის დასახელება, რედაქტორი ან გამოცემის წელი (ამგვარი წყაროები შეიძლება იპოვოთ Researchgate-ზე ან სხვა გვერდებზე, სადაც ავტორები დამოუკიდებლად ტვირთავენ თავიანთ ნამუშევრებს). ასეთ შემთხვევაში ეცადეთ, მათ შესახებ სრული ინფორმაცია სხვა პლატფორმაზე მოიძიოთ. ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, ინტერნეტწყაროს ციტირების წესების შესაბამისად, მიუთითეთ ვებგვერდი და სხვა განმარტებითი მონაცემები.

ინტერნეტში განთავსებული წყაროს ციტირებისას სქოლიოში ჯერ იწერება მისი ავტორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დასახელება, შემდეგ გამოქვეყნების თარიღი, რომელსაც მოსდევს „ხელმისაწვდომია“ (ანაცვლებს ტერმინს “available at”) ბმულთან ერთად, შემდეგ „განახლებულია“ (ანაცვლებს ტერმინებს „modified on“ და „accessed on“), ბოლოს კი ნახვის თარიღი.

ციტირების ზოგადი წესი - ინტერნეტწყარო, რომელიც საჭიროებს ბმულის დართვას

მაგალითი:

1. საქართველოს პარლამენტის 22 აპრილის საგანგებო სესიის „კენჭისყრის ანგარიში“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2020 წლის 22 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/247384, განახლებულია: 07.10.2020.

ინტერნეტში მოძიებული ან სხვა სახის წყარო ხშირად იწერება სქოლიოში მოცემული განმარტებითი მინაწერის შემდეგ. ამ შემთხვევაში წყაროზე მისათითებლად გამოიყენეთ „იხ.“ (ეს არის ტერმინის „იხილეთ“ შემოკლებული ფორმა). მის შემდეგ, შემოკლების ნიშნად, დაისმის წერტილი.

ციტირების ზოგადი წესი - წყაროს ციტირება განმარტებითი სქოლიოს შემდეგ

მაგალითი:

1. ჩინეთში ბოლო წლებში გამოვლინდა უმცირესობების დევნისა და რეპრესიების უამრავი ფაქტი. იხ. Sophie McNeill, "They Don't Understand the Fear We Have", (Human Rights Watch, 30 June 2021), ხელმისაწვდომია: https://www.hrw.org/report, განახლებულია: 23.07.2021.

2. ჩინეთში ბოლო წლებში გამოვლინდა უმცირესობების დევნისა და რეპრესიების უამრავი ფაქტი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. Sophie McNeill, "They Don't Understand the Fear We Have", (Human Rights Watch, 30 June 2021), ხელმისაწვდომია: https://www.hrw.org/report, განახლებულია: 23.07.2021.



ბმულის მისამართი ხშირად ზედმეტად გრძელია და არასაჭირო მოცულობას მატებს ციტირების ტექსტს. ასეთი ბმულები უნდა შემოკლდეს. თუ ლინკი სქოლიოში ერთ სტრიქონზე მეტს იკავებს, ან იმ ზომისაა, რომ სქოლიოს დანარჩენი ტექსტის შემდეგ მთლიანად სტრიქონზე ჩამოდის, შედეგად კი ტექსტსა და ბმულს შორის არაბუნებრივად დიდი ადგილი ჩნდება, მაშინ იგი ზედმეტად გრძელია და უნდა შეამოკლოთ.

ბმულის მექანიკური შემოკლება შეგიძლიათ ვორდის (ან სხვა) პროგრამაში.

ციტირების ზოგადი წესი - ბმულის შემოკლება

ორიგინალი: Sophie McNeill, "They Don't Understand the Fear We Have", (Human Rights Watch, 30 June 2021), https://www.hrw.org/report/2021/06/30/they-dont-understand-fear-we-have/how-chinas-long-reach-repression-undermines.

ციტირების ხერხი: Sophie McNeill, "They Don't Understand the Fear We Have", (Human Rights Watch, 30 June 2021), ხელმისაწვდომია: https://www.hrw.org/report, განახლებულია: 23.07.2021.

2.1.6. რამდენიმე ავტორი

როდესაც წყაროს ორი ან სამი ავტორი ჰყავს, ზოგადი წესის მიხედვით, სქოლიოში ყველა მათგანის სახელი მიეთითება იმ თანმიმდევრობით, როგორც წყაროშია მოცემული. ოთხი ან მეტი ავტორის შემთხვევაში იწერება მხოლოდ პირველი ავტორის სახელი, შემდეგ კი სიტყვათშეთანხმება „და სხვები".

<u>ციტირების ზოგადი წესი - რამდენიმე ავტორი</u> (სქოლიო)

1. გიორგი კვერენჩხილაძე და დიმიტრი გეგენავა, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2012.

2. ნანა ყრუაშვილი და სხვები, სუვერენი - პრემიერი, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021, 28-31.

რაც შეეხება ბიბლიოგრაფიას, თუ წყაროს ათზე ნაკლები ავტორი ჰყავს, ყველა მათგანის სახელი და გვარი უნდა მიუთითოთ. ათი ან მეტი ავტორის შემთხვევაში იწერება მხოლოდ პირველი შვიდი, დანარჩენების ნაცვლად კი სიტყვათშეთანხმება „და სხვები“. ბიბლიოგრაფიაში ავტორთა სახელებისა და გვარების თანმიმდევრობა განისაზღვრება სქოლიოს საპირისპიროდ - ჯერ გვარი და შემდგომ სახელი.

<u>ციტირების ზოგადი წესი - რამდენიმე ავტორი</u> (ბიბლიოგრაფია)

<u>მაგალითი:</u> ყრუაშვილი ნანა, სვიმონიშვილი მარიამ, ცუხიშვილი ნინო და სიმონიშვილი ნიკოლოზ. სუვერენი - პრემიერი. თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021.

2.1.7. წყაროს ციტირება, რომელიც სხვა წყაროშია ციტირებული (არაპირდაპირი წყარო)

კვლევის პროცესში ხშირია შემთხვევა, როდესაც მკვლევარი ერთი წყაროს შესწავლისას მასში ციტირებულ სხვა გამოსადეგ ნაშრომებს აღმოაჩენს. ანალიზისა და წაკითხვის გარეშე ასეთი არაპირდაპირი წყაროს მითითება დადებითი პრაქტიკა არ არის და, უმჯობესია, თავი აარიდოთ.

თუმცა, შესაძლებელია, ასეთი არაპირდაპირი წყარო კვლევას მნიშვნელოვნად ამდიდრებდეს, მაგრამ არ იყოს ავტორისთვის დამოუკიდებლად ხელმისაწვდომი. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია, მისი ციტირებისას მიუთითოთ ინფორმაცია იმ წყაროს შესახებაც, სადაც ის აღმოაჩინეთ. ამ უკანასკნელის ასახვისას გამოიყენეთ სიტყვათშეთანხმება „ციტირებულია წყაროში“.

<u>ციტირების ზოგადი წესი - არაპირდაპირი წყაროს ციტირება ტექსტში</u>

<u>ფორმულა</u>: [ინფორმაცია არაპირდაპირი წყაროს შესახებ] ციტირებულია წყაროში [პირდაპირი წყარო, სადაც არაპირდაპირი წყარო აღმოაჩინეთ].

<u>მაგალითად:</u> Gian Giacomo Fusco, “Exception, fiction, performativity”, in Cosmin Cercel, Gian Giacomo Fusco, and Simon Lavis, eds. States of Exception: Law, History, Theory, London, Routledge, 2020, 22, ციტირებულია წყაროში, ნანა ყრუაშვილი და სხვები, სუვერენი - პრემიერი, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021, 23.

ამ მაგალითში პირველი არის ინგლისურენოვანი არაპირდაპირი წყარო (თავი რედაქტირებულ წიგნში), რომლის 22-ე გვერდიც ციტირებულია მეორე წყაროს (სუვერე-

ნი - პრემიერი) 23-ე გვერდზე. არაპირდაპირი წყარო გამოიყენება ასეთი სტანდარტით - ის იწერება ისე, როგორც პირდაპირ წყაროშია ციტირებული და მიეთითება პირდა-პირი წყაროს ის გვერდი, რომელზეც მის შესახებ ინფორმაცია მოიძიეთ.

2.2. აკადემიური ლიტერატურა

2.2.1. წიგნი

როდესაც წყარო წიგნია, მისი დასახელება იწერება ბრჭყალების გარეშე. მას მოსდევს გამოცემის ადგილი, შემდეგ გამომცემლის შესახებ ინფორმაცია, გამოცემის წელი და, ბოლოს, შესაბამისი გვერდი. ბიბლიოგრაფიაში მონაცემები, მძიმის ნაცვლად, გამოიყოფა წერტილით, ხოლო ფორმატის სხვა ასპექტები მეორდება.

წიგნი ასევე შეიძლება იყოს რამდენიმეტომიანი გამოცემის ნაწილი. ტომის შესახებ მონაცემები იწერება გამოცემის თაობაზე ინფორმაციის შემდგომ, შესაბამისი გვერდის მითითებამდე.

<u>ციტირების წესი - წიგნი</u>

<u>ფორმულა:</u> [ავტორის სახელი და გვარი/დასახელება], [ნამუშევრის სათაური/სახელი], [გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი], [გვერდი].

<u>პირველი ციტირება სქოლიოში</u>:

1. კონსტანტინე კორკელია, როგორ უზრუნველვყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით? თბილისი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), 2010, 24-26.

2. David Levering Lewis, W.E.B. Dubois, 1919-1963: The Fight for Equality and the American Century, New York, H. Holt and Company, 1993, vol. 2, 15.

<u>განმეორებითი ციტირება სქოლიოში:</u>

1. კონსტანტინე კორკელია, დასახელებული ნაშრომი, 31.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u>

კორკელია კონსტანტინე. როგორ უზრუნველვყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით? თბილისი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), 2010.

Lewis David Levering, W.E.B. Dubois. 1919-1963: The Fight for Equality and the American Century. New York, H. Holt and Company. Vol 2. 1993.

2.2.2. თავი ან სექცია რედაქტირებულ წიგნში

ყველა წიგნს და ნაშრომს სჭირდება რედაქტირება, თუმცა ეს გზამკვლევი ტერმინით „რედაქტირებული წიგნი“ მოიხსენიებს ისეთ გამოცემებს, რომლებიც განეკუთვნება სხვადასხვა ავტორის ნაშრომების კოლექციას. ის შინაარსობრივ ერთიანობას იძენს რედაქტორების მუშაობისა და ხელმძღვანელობის შედეგად, რომლებიც წიგნის შინაარსობრივი სფეროს პროფესიონალები და ხშირად მისი კონტრიბუტორებიც არიან. ნაშრომის ამ სახისთვის რედაქტორები ასრულებენ იდეური და ადმინისტრაციული

ხელმძღვანელის, შინაარსობრივი მოცემულობის განმსაზღვრელისა და ჰარმონიზებაზე პასუხისმგებლის როლს. სწორედ ამიტომ, ციტირებისას, ავტორების ჩამონათვალის ნაცვლად, მათი მონაცემები მიეთითება.

შესაბამისად, როდესაც წყარო არის თავი, სექცია ან სხვა ნაწილი რედაქტირებულ წიგნში, ჯერ იწერება მონაცემები გამოყენებული წყაროს, ხოლო შემდეგ წიგნის შესახებ. ეს კავშირი მიეთითება ტერმინით „ნაშრომში“. რედაქტორი სქოლიოში იწერება შემოკლებული სახით - „რედ.“, ბიბლიოგრაფიაში კი სრულად - „რედაქტორი“. ინგლისურენოვან წყაროებში რედაქტორი სქოლიოში აღინიშნება, როგორც “ed.” ან, თუ რამდენიმე მათგანზე ვსაუბრობთ - „eds.“. ბიბლიოგრაფიაში გამოიყენება ტერმინი „edited by“, რომელსაც მოსდევს რედაქტორების სახელები, თუ საქმე ეხება თავს რედაქტირებულ წიგნში. ხოლო, თუ მთლიანად რედაქტირებულ წიგნს ვციტირებთ, რედაქტორები მიეთითება დასახელების შემდგომ, ტერმინის „eds.“ გამოყენებით.

<u>ციტირების ზოგადი წესი - თავი რედაქტირებულ წიგნში</u>

<u>ფორმულა</u>: [ინფორმაცია წყაროს შესახებ] ნაშრომში [ინფორმაცია გამოცემის შესახებ].

<u>პირველი ციტირება ტექსტში:</u>

1. Gian Giacomo Fusco, “Exception, fiction, performativity”, ნაშრომში States of Exception: Law, History, Theory, Cosmin Cercel, Gian Giacomo Fusco, and Simon Lavis, eds., London, Routledge, 2020, 22.

2. ნუნუ კვანტალიანი, „სასამართლო პრაქტიკა შრომით დავებზე“, ნაშრომში შრომის სამართალი სტატიათა კრებული I, რედ. ვახტანგ ზაალიშვილი, თბილისი, მერიდიანი, 2011, 72.

<u>განმეორებითი ციტირება ტექსტში:</u>

4. Gian Giacomo Fusco, “Exception, fiction, performativity”.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u> Fusco Gian Giacomo. “Exception, fiction, performativity”. ნაშრომში States of Exception: Law, History, Theory. Edited by Cercel Cosmin, Fusco Gian Giacomo, and Lavis Simon. London, Routledge, 2020.

კვანტალიანი ნუნუ. „სასამართლო პრაქტიკა შრომით დავებზე“. ნაშრომში შრომის სამართალი სტატიათა კრებული I. რედაქტორი ვახტანგ ზაალიშვილი. თბილისი, მერიდიანი, 2011.

2.2.3. ელექტრონული წიგნი

მხოლოდ ელექტრონულ ფორმატში არსებული წიგნის წყაროდ გამოყენებისას, მნიშვნელოვანია, ციტირებისას ასევე დაურთოთ შესაბამისი ბმული. ბმულის დართვის საჭიროებისა და ზოგადი წესების შესახებ იხილეთ ქვეთავი 2.1.5.

<u>ციტირების ზოგადი წესი - ელექტრონული წიგნი</u>

<u>ფორმულა</u>: [ავტორის სახელი], [ნაშრომის დასახელება], [გამოცემის ადგილი, გამომცემელი და წელი], [გვერდი], [ბმული].

<u>პირველი ციტირება ტექსტში:</u>

1. ქეთევან ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2020, 17-19, ხელმისაწვდომია: <u>http://ewmi-prolog.org</u>, განახლებულია: 09.09.2021.

<u>შემდგომი ციტირება ტექსტში:</u>

3. ქეთევან ერემაძე, დასახელებული ნაშრომი, 24; **<u>ან</u>**, ერემაძე, ძირითადი უფლებები, 24.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u> ერემაძე ქეთევან. ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის. თბილისი, 2020. ხელმისაწვდომია: <u>http://ewmi-prolog.org.</u> განახლებულია: 09.09.2021.

2.2.4. სტატია ჟურნალში

სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის სათაური ციტირებისას იწერება ბრჭყალებში, დანარჩენი ინფორმაცია კი - ბრჭყალებისა და სხვა ფორმატირების გარეშე. ბიბლიოგრაფიაში ჟურნალის გამოცემის შესახებ ინფორმაციის შემდეგ მიუთითეთ ის გვერდები, რომლებიც მასში სტატიას უკავია.

ელექტრონული ჟურნალის შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი ბმულის დართვა.

<u>ციტირების წესი - სტატია ჟურნალში</u>

<u>ფორმულა</u>: [ავტორის სახელი და გვარი], [„ნამუშევრის სათაური/სახელი“], [ჟურნალის დასახელება და გამოცემის ნომერი], [გამოცემის თარიღი], [გვერდები].

<u>პირველი ციტირება ტექსტში:</u> ირაკლი ქსოვრელი, „საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება - უფლების დაცვის ეფექტური საშუალება“, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი №2, 2019 წლის დეკემბერი, 43, ხელმისაწვდომია: <u>https://constcourt.ge/files/2/journal2019.2/Irakli-Ksovreli-2019.2-ka.pdf</u>, განახლებულია: 09.09.2021.

<u>შემდგომი ციტირება ტექსტში:</u> ირაკლი ქსოვრელი, დასახელებული ნაშრომი, 45; **<u>ან</u>**, ქსოვრელი, „კონსტიტუციური უფლებების გამოყენება“, 45.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u> ქსოვრელი ირაკლი. „საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება - უფლების დაცვის ეფექტური საშუალება“. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი №2. 2019 წლის დეკემბერი. 37-54. ხელმისაწვდომია: <u>https://constcourt.ge/files/2/journal2019.2/Irakli-Ksovreli-2019.2-ka.pdf</u>. განახლებულია: 09.09.2021.

2.3. არააკადემიური ლიტერატურა

2.3.1. გაზეთი და არააკადემიური ჟურნალი

გაზეთისა და არააკადემიური ჟურნალის სტატიის ციტირებისას გამოიყენება იგივე ფორმატი, რაც აკადემიური სტატიის შემთხვევაში. განსხვავება ისაა, რომ ზოგჯერ მას შეიძლება არ ერთოდეს რაიმე ინფორმაცია, მაგალითად, ავტორის სახელი. ასეთ შემთხვევაში ციტირების სტანდარტი სქოლიოსა და ბიბლიოგრაფიაში განსხვავებულია. უავტორო სტატიის სქოლიოში პირველად იწერება სათაური, ხოლო ბიბლიოგრაფიაში - გამომცემლობისა ან მედიასაშუალების დასახელება.

თუ სტატია ინტერნეტში მოიძიეთ, დაურთეთ შესაბამისი ბმული.

<u>ციტირების წესი - სტატია გაზეთსა და არააკადემიურ ჟურნალში</u>

<u>ფორმულა</u>: [ავტორის სახელი და გვარი/დასახელება], [„ნამუშევრის სათაური/სახელი“], [ჟურნალის დასახელება], [გამოცემის თარიღი], [გვერდები].

<u>პირველი ციტირება ტექსტში:</u>

1. თინათინ ხომერიკი, „მანქანა EX MACHINA - კერძო ავტომობილის ფლობის ადგილობრივი მნიშვნელობა თბილისში“, ინდიგო, 2021 წლის 27 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://indigo.com.ge/articles/manqana-ex-machina/, განახლებულია: 04.08.2021.

2. „TI და ISFED ტოვებენ ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის დაკომპლექტების პროცესს“, რადიო თავისუფლება, 2021 წლის 8 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge, განახლებულია: 10.08.2021.

<u>შემდგომი ციტირება ტექსტში:</u>

1. თინათინ ხომერიკი, დასახელებული ნაშრომი.

2. რადიო თავისუფლება, დასახელებული ნაშრომი.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u>

ხომერიკი თინათინ. „მანქანა EX MACHINA - კერძო ავტომობილის ფლობის ადგილობრივი მნიშვნელობა თბილისში“. ინდიგო. 2021 წლის 27 ივლისი. ხელმისაწვდომია: https://indigo.com.ge/articles/manqana-ex-machina/. განახლებულია: 04.08.2021;

რადიო თავისუფლება. „TI და ISFED ტოვებენ ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის დაკომპლექტების პროცესს“. 2021 წლის 8 აგვისტო. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge. განახლებულია: 10.08.2021.

2.3.2. ანგარიში და კვლევითი დოკუმენტები

არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებისა და სხვა კვლევითი დოკუმენტების ციტირებისას გამოიყენება მიახლოებით იგივე ფორმატი, რაც წიგნის შემთხვევაში.

<u>ციტირების წესი - ანგარიში და კვლევითი დოკუმენტი</u>

<u>ფორმულა</u>: [ავტორის სახელი და გვარი/დასახელება], [ნამუშევრის სათაური/სახელი], [გამოცემის დეტალები], [გვერდები].

<u>პირველი ციტირება სქოლიოში:</u> სოფო ვერძეული, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021, 6-10.

<u>შემდგომი ციტირება სქოლიოში:</u> ვერძეული, დასახელებული ნაშრომი, 24.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u> ვერძეული სოფო. მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში. თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021.

როდესაც ანგარიში ან კვლევითი დოკუმენტი ქვეყნდება ორგანიზაციის სახელით, მისი ავტორი რთული მოსაძებნია (ხშირად ავტორის სახელი მითითებულია მადლიერების (Acknowledgements) სექციაში) ან არ არის მითითებული. ასეთ დროს ციტირებისას ავტორად მიეთითება ორგანიზაცია.

<u>ციტირების წესი - ანგარიში და კვლევითი დოკუმენტი (ავტორის გარეშე)</u>

<u>ფორმულა</u>: [ორგანიზაციის დასახელება], [ნამუშევრის სათაური/სახელი], [გამოცემის დეტალები], [გვერდები].

<u>პირველი ციტირება სქოლიოში:</u> Amnesty International**,** Philippines: Undermining workers' rights: Labour rights abuses in nickel supply chains, Amnesty International, 2021.

<u>შემდგომი ციტირება სქოლიოში:</u> Amnesty International, დასახელებული ნაშრომი, 24.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u> Amnesty International**.** Philippines: Undermining Workers' Rights: Labour Rights Abuses in Nickel Supply Chains. Amnesty International, 2021.

2.3.3. თეზისი და დისერტაცია

თეზისებისა და დისერტაციის ციტირების წესი ჰგავს წიგნის ციტირების მეთოდს, თუმცა, გამოცემის ქალაქისა და გამომცემლობის ნაცვლად, იწერება თეზისის ტიპი და საგანმანათლებლო დაწესებულება. ასევე, მიუთითეთ ინტერნეტბმული მისი არსებობის შემთხვევაში.

<u>ციტირების წესი - თეზისი და დისერტაცია</u>

<u>ფორმულა</u>: [ავტორის სახელი], [ნამუშევრის სათაური/სახელი], [თეზისის ტიპი, საგანმანათლებლო დაწესებულება, თარიღი], [გვერდები].

<u>პირველი ციტირება სქოლიოში:</u> ნათია ბუხრაშვილი, პრეიუდიცია სისხლის სამართლის პროცესში, სამაგისტრო თეზისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021, 23-30. ხელმისაწვდომია: https://openscience.ge/handle/1/1106, განახლებულია: 10.09.2021.

<u>შემდგომი ციტირება სქოლიოში:</u> ბუხრაშვილი, დასახელებული ნაშრომი, 34.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u> ბუხრაშვილი ნათია. პრეიუდიცია სისხლის სამართლის პროცესში. სამაგისტრო თეზისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021. ხელმისაწვდომია: https://openscience.ge/handle/1/1106. განახლებულია: 10.09.2021.

2.3.4. ვებსაიტები, ბლოგები და სოციალური მედია

ინტერნეტსიახლე და ვებგვერდი

ვებსაიტებზე განთავსებული კონტენტის ციტირებისას არ უნდა დაგავიწყდეთ მთავარი მიზანი - მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გავხადოთ წყარო მკითხველისთვის. შესაბამისად, უნდა გაითვალისწინოთ კონკრეტული ვებგვერდის მახასიათებლები. მაგალითად, ისეთი ვებსაიტის შემთხვევაში, რომელსაც ხშირად აახლებენ, აუცილებელია ვიზიტის თარიღის მითითება.

ვებგვერდების ციტირების სტანდარტი განსხვავდება იმის მიხედვით, რომელ კატეგორიას მიეკუთვნება წყარო: ინტერნეტსიახლეს ანუ ე.წ. „ნიუსს“ თუ რეგულარული ვებგვერდის სექციას. თუ ამ ტიპის მასალას ავტორი ჰყავს, ციტირება იწყება მისი სახელითა და გვარით, ხოლო თუ ავტორი არ მოიძებნება - წყაროს დასახელებით.

ციტირების წესი - საინფორმაციო ინტერნეტსიახლე

ფორმულა: [ავტორი], [„კონკრეტული ვებგვერდის სექციის დასახელება ან აღწერა“], [საკუთრივ ვებგვერდის დასახელება ან აღწერა], [საიტის მესაკუთრე ან სპონსორი (არსებობის შემთხვევაში)], [ბმული].

პირველი ციტირება სქოლიოში:

1. „TI და ISFED ტოვებენ ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის დაკომპლექტების პროცესს“, რადიო თავისუფლება, 2021 წლის 8 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge, განახლებულია: 10.08.2021.

2. Andrew Roth, “Tbilisi Pride march cancelled after far-right attack on headquarters”, The Guardian, 5 July 2021, ხელმისაწვდომია: https://www.theguardian.com/world/2021/jul/05, განახლებულია: 12.08.2021.

ციტირება ბიბლიოგრაფიაში:

„TI და ISFED ტოვებენ ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის დაკომპლექტების პროცესს“. რადიო თავისუფლება. 2021 წლის 8 აგვისტო. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge. განახლებულია: 10.08.2021;

Roth Andrew. “Tbilisi Pride march cancelled after far-right attack on headquarters”. The Guardian. 5 July 2021. ხელმისაწვდომია: https://www.theguardian.com/world/2021/jul/05. განახლებულია: 12.08.2021.

რეგულარული ვებგვერდის სექციის ციტირება დაიწყეთ პირდაპირ ამ სექციის დასახელებით. შემდგომ მიუთითეთ საკუთრივ ვებგვერდი ან დამატებითი აღწერა. თუ შესაძლებელი და რელევანტურია, ასევე დაწერეთ საიტის მესაკუთრე ან სპონსორი. ბოლოს კი მიეთითება შესაბამისი ბმული.

ციტირების წესი - ვებგვერდის სექცია

ფორმულა: [„კონკრეტული ვებგვერდის სექციის დასახელება ან აღწერა“], [საკუთრივ ვებგვერდის დასახელება ან აღწერა], [ვებგვერდის მესაკუთრე ან სპონსორი], [ბმული].

ციტირება სქოლიოში: „პარლამენტის წევრები“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/parliament-members, განახლებულია: 21.02.2022.

ციტირება ბიბლიოგრაფიაში:

„პარლამენტის წევრები“. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/parliament-members. განახლებულია: 21.02.2022.

ბლოგ-პოსტი

ბლოგ-პოსტების ციტირებისას გამოიყენეთ ონლაინსტატიების ციტირების წესი. ბლოგის დასახელება ჩაანაცვლებს ონლაინგამომცემლობის დასახელებას.

ციტირების წესი - ბლოგი

ფორმულა: [ბლოგ-პოსტის ავტორი], [„ბლოგ-პოსტის სახელწოდება“], [ბლოგის დასახელება], [ბლოგ-პოსტის თარიღი], [ბმული].

ციტირება სქოლიოში: მარიამ ლაცაბიძე, „რას (არ) უნდა ველოდოთ 2 ოქტომბრის არჩევნებისგან?“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბლოგი, 2021 წლის 22 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post, განახლებულია: 06.08.2021.

ციტირება ბიბლიოგრაფიაში:

ლაცაბიძე მარიამ. „რას (არ) უნდა ველოდოთ 2 ოქტომბრის არჩევნებისგან?“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბლოგი. 2021 წლის 22 ივლისი. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post. განახლებულია: 06.08.2021.

სოციალური მედიის კონტენტი

ციტირების წესი - სოციალური მედია

ფორმულა: [პოსტის ავტორი და დასახელება], [პოსტის ტიპი (სოციალური მედიის პლატფორმა, აღწერა)], [პოსტის თარიღი (დღე, თვე, წელი)], [ბმული].

ციტირება სქოლიოში:

1. Ned Price, Twitter post, 20 April 2021, 3:06 AM, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3v6qkf9, განახლებულია: 20.05.2021.

2. ნიკა მელია, ნიკა მელიას Facebook-გვერდი, 2021 წლის 26 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/Nika.Melia5/posts/3024667907768020, განახლებულია: 20.05.2021.

ციტირება ბიბლიოგრაფიაში:

1. Price Ned. Twitter post. 20 April 2021. 3:06 AM. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3v6qkf9. განახლებულია: 20.05.2021.

2. მელია ნიკა. ნიკა მელიას Facebook-გვერდი. 2021 წლის 26 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/Nika.Melia5/posts/3024667907768020. განახლებულია: 20.05.2021.

2.3.5. ინტერვიუს ციტირება

გამოუქვეყნებელი ინტერვიუ

ციტირების წესი - გამოუქვეყნებელი ინტერვიუ

ფორმულა: [რესპონდენტის მონაცემები (სახელი, პოზიცია, სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები საჭიროების შემთხვევაში)], [ინტერვიუს ავტორი], [ინტერვიუს თარიღი და ადგილი], [სად შეიძლება ინტერვიუს მოძებნა].

ციტირება სქოლიოში:

1. Andrew Macmillan (principal adviser, Investment Center Division, FAO), in discussion with the author, September 1998.

2. კახა კუჭავა (პარლამენტის თავმჯდომარე), ავტორთან საუბარში, 2021 წლის 10 ივლისი.

ციტირება ბიბლიოგრაფიაში:

1. Macmillan Andrew (principal adviser, Investment Center Division, FAO). in discussion with the author. September 1998.

2. კუჭავა კახა (პარლამენტის თავმჯდომარე). ავტორთან საუბარში. 2021 წლის 10 ივლისი.

გამოქვეყნებული ინტერვიუ

ციტირების წესი - გამოქვეყნებული ინტერვიუ

ფორმულა: [რესპონდენტის მონაცემები (სახელი, პოზიცია, სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები საჭიროების შემთხვევაში)], [ინტერვიუს ავტორი], [გამოცემა, გადაცემა ან პუბლიკაცია, სადაც ინტერვიუ განთავსდა და ადგილი], [თარიღი], [ბმული].

ციტირება სქოლიოში: ინტერვიუ საიას ახალ თავმჯდომარე ნიკოლოზ სიმონიშვილთან, მიხეილ გვაძაბია, ნეტგაზეთი, 2021 წლის 19 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/512663/, განახლებულია: 08.08.2021.

ციტირება ბიბლიოგრაფიაში: სიმონიშვილი ნიკოლოზ. მიხეილ გვაძაბიას ინტერვიუ. ნეტგაზეთი. 2021 წლის 19 იანვარი. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/512663/. განახლებულია: 08.08.2021.

ანონიმური ინტერვიუ

ანონიმური ინტერვიუს შემთხვევაში ტექსტში (ან სქოლიოში) მითითებული უნდა იყოს მისი ანონიმურობის მიზეზი. კონტექსტის შესაბამისად, ასეთი ინტერვიუს ციტირება შესაძლებელია ნებისმიერი ფორმით. თუმცა, სასურველია, ის აღნიშნავდეს რესპონდენტის კავშირს ტექსტთან, ასევე მითითებული იყოს სხვა ინფორმაცია, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის ინტერვიუერის ანონიმურობას. სქოლიოში განსათავსებელი

მონაცემების რელევანტურობას განსაზღვრავს ინტერვიუს მიზანი და მეთოდოლოგია. მაგალითად, თუ გამოკითხვა ტარდება სხვადასხვა ასაკობრივ ფოკუსჯგუფში გენდერული დამოკიდებულებების გამოსავლენად, სქოლიოში უნდა მიეთითოს რესპონდენტის სქესი და ასაკი.

<u>ციტირების წესი - ანონიმური ინტერვიუ</u>

<u>ფორმულა</u>: [რესპონდენტის მონაცემები (საიდენტიფიკაციო მონაცემები საჭიროების შემთხვევაში)], [ინტერვიუს ავტორი], [თარიღი].

<u>ციტირება სქოლიოში:</u> ინტერვიუ სამოქალაქო სექტორის მამაკაც წარმომადგენელთან, ნანა ყრუაშვილი, 2021 წლის 29 ივლისი.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u> ინტერვიუ სამოქალაქო სექტორის მამაკაც წარმომადგენელთან. ნანა ყრუაშვილი. 2021 წლის 29 ივლისი.

2.3.6. საჯარო და პერსონალური კომუნიკაციის ციტირება

საჯარო ორგანოებთან კომუნიკაცია

კომუნიკაცია საჯარო ორგანოებთან, ძირითადად, ხორციელდება მათ მიერ დადგენილი წერილობითი ფორმით. როგორც წერილს, ისე პასუხს ხშირად ენიჭება შესაბამისი საიდენტიფიკაციო კოდი ან სხვა სახის მონაცემები. ასეთ შემთხვევაში, ციტირებისას მათი მითითება აუცილებელია. ბიბლიოგრაფიაში წყაროების კატეგორიზებისას ამგვარი წერილები აისახება ისეთ მეორად წყაროებთან ერთად, როგორებიცაა საჯარო პირებთან ინტერვიუ, საჯარო ორგანოს ვებგვერდი და ა.შ.

საჯარო ორგანოებთან კომუნიკაციის ციტირების წესი ჰგავს ამავე ორგანოების მიერ გამოცემული აქტების ციტირების ფორმატს.

<u>ციტირების წესი - საჯარო კომუნიკაცია</u>

<u>ფორმულა</u>: [კომუნიკაციის მონაწილე წყარო, კომუნიკაციის ფორმა და თარიღი], [საიდენტიფიკაციო მონაცემები].

<u>ციტირება სქოლიოში:</u>

1. უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 21 დეკემბრის წერილი, პN–1969-20.
2. ჯანდაცვის სამინისტროს 2020 წლის 7 ნოემბრის წერილი, №01/14008.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u>

1. უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 21 დეკემბრის წერილი. პN–1969-20.
2. ჯანდაცვის სამინისტროს 2020 წლის 7 ნოემბრის წერილი. №01/14008.

პერსონალური კომუნიკაცია

პერსონალური კომუნიკაცია, შესაძლოა, განხორციელდეს პირისპირ, ტელეფონზე, ტექსტმესიჯების, სოციალური მედიის, ელექტრონული ფოსტის, ვიდეოპლატფორმების თუ სხვა საშუალებებით. მიუხედავად ფორმისა, მათი ციტირება ხდება ერთი და იმავე წესით.

<u>ციტირების წესი - პერსონალური კომუნიკაცია</u>

<u>ფორმულა</u>: [კომუნიკაციის მონაწილე წყარო], [კომუნიკაციის ფორმა], [თარიღი].

<u>ციტირება სქოლიოში:</u>

1. მერაბ ტურავა, ავტორთან პირად საუბარში, 2019 წლის 15 ივნისი.

2. გიორგი კვერენჩხილაძე, ავტორისთვის გაგზავნილი ელექტრონული წერილი, 2020 წლის 20 ოქტომბერი.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u>

1. ტურავა მერაბ. ავტორთან პირად საუბარში. 2019 წლის 15 ივნისი.

2. კვერენჩხილაძე გიორგი. ავტორისთვის გაგზავნილი ელექტრონული წერილი. 2020 წლის 20 ოქტომბერი.

2.4. სამართლებრივი წყაროები

2.4.1. სამართლებრივი აქტები

სამართლებრივი აქტების ციტირებისას უნდა განისაზღვროს, რომელ კატეგორიას განეკუთვნება და რომელმა ორგანომ გამოსცა ის. მაგალითად, კონსტიტუციის, ორგანული კანონებისა და კანონების მითითებისას არ არის აუცილებელი გამომცემელი ორგანოს დაკონკრეტება, ვინაიდან ამ აქტებს მხოლოდ საქართველოს პარლამენტი გამოსცემს. სხვა აქტების შემთხვევაში გამომცემელი ორგანოს აღნიშვნა აუცილებელია.

სამართლებრივი აქტების ძველი ან ძალადაკარგული რედაქციის ციტირებისას უნდა მიეთითოს მათი მოქმედების პერიოდი. აუცილებელია ასევე მინიშნება ძველი რედაქციის თაობაზე როგორც სქოლიოში, ისე ბიბლიოგრაფიაში. იგივე წესი გამოიყენება სხვა ძალადაკარგული სამართლებრივი აქტების შემთხვევაშიც.

<u>ციტირების წესი - სამართლებრივი აქტები</u>

<u>ციტირება სქოლიოში:</u> [დასახელება], [მუხლი (ნაწილი), პუნქტი, ქვეპუნქტი].

1. საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი.

2. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მე-3 მუხლი.

3. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს პრეზიდენტის დროშის დამტკიცების შესახებ, მე-2 მუხლი.

4. საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ, 2006 წლის 27 დეკემბერი, 1-ლი მუხლი.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u> [დასახელება]. [გამომცემი ორგანო]. [აქტის ნომერი]. [მიღების თარიღი].

1. საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. №786. 1995 წლის 24 აგვისტო.

2. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. საქართველოს პარლამენტი. №2391-IIს. 2014 წლის 2 მაისი.

3. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს პრეზიდენტის დროშის დამტკიცების შესახებ. საქართველოს პრეზიდენტი. №191. 2020 წლის 30 ივლისი.

4. საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ. საქართველოს პარლამენტი. №4135. 2006 წლის 27 დეკემბერი.

ბიბლიოგრაფიაში ციტირებისას სამართლებრივ აქტებს თან ერთვის ისეთი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, როგორიცაა აქტის სახელი, ნომერი და გამოცემის თარიღი.

სამართლებრივი აქტების ციტირების წესი ვრცელდება ასევე მასში ცვლილებების შეტანის შესახებ აქტებზე. თუმცა, ამ შემთხვევაში აუცილებელია კანონის მიღების თარიღის მითითება როგორც სქოლიოში, ისე ბიბლიოგრაფიაში.



საქართველოს სამართლებრივი აქტების შესახებ ინფორმაციის საუკეთესო წყაროა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი და მასზე განთავსებული მონაცემთა ბაზა. ვებგვერდზე შესაძლებელია სამართლებრივი აქტების მოძიება. თითოეული მათგანს თან ერთვის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, ძველი რედაქციების ან მოქმედების ძალის ჩათვლით.

საქართველოს სამართლებრივ აქტებზე საუბრისას, აუცილებელია, გამიჯნოთ, როდის გამოიყენება ტერმინები <u>პუნქტი და ნაწილი</u>. დამკვიდრებული წესის თანახმად, ზოგადად, სამართლებრივ აქტში მუხლები იყოფა პუნქტებად, ხოლო პუნქტები - ქვეპუნქტებად. კოდექსის შემთხვევაში კი მუხლები იყოფა ნაწილებად, ხოლო ნაწილები - ქვეპუნქტებად.

უცხოური სამართლებრივი აქტის ციტირებისას, მნიშვნელოვანია, განსაზღვროთ, რა ფორმას და ტერმინებს იყენებს ის. მაგალითად, თუ მუხლის ნაცვლად აქტში წერია „სექცია“, ციტირებისას სწორედ ეს ტერმინი უნდა მიუთითოთ. იმ შემთხვევაში, როდესაც ტერმინი არ არის იდენტიფიცირებადი (მაგ. თუ ნორმები მხოლოდ ნომრებითაა გამოყოფილი), იხელმძღვანელეთ სტანდარტული, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი ტერმინოლოგიით (მუხლი - Article, პუნქტი - clause). ამის აღნიშვნა შეგიძლიათ, მაგალითად, Art. 15, cl. 4(2).

როდესაც აქტში ტექსტი მხოლოდ აბზაცებითაა დანომრილი და სხვა საიდენტიფიკაციო ნიშანი არ აქვს, მაშინ გამოიყენება ტერმინი „paragraph“, შემოკლებული ფორმით - „para.“ ხოლო, თუ არც აბზაცებია დანომრილი, ტექსტის კონკრეტული მონაკვეთის ციტირებისას გამოიყენეთ გვერდის ნომერი.

უცხოური სამართლებრივი აქტის ციტირებისას ასევე სასურველია იმ ინტერნეტბმულის ან ფიზიკური წყაროს მითითება, სადაც მას გაეცანით. არაინგლისურენოვანი სამართლებრივი აქტების შემთხვევაში, თუ წყაროს არაოფიციალური ინგლისური ან ქართული თარგმანი წაიკითხეთ, ამის აღნიშვნაც აუცილებელია.

<u>ციტირების წესი - უცხოური საკანონმდებლო აქტები</u> (არაოფიციალური თარგმანი)

<u>ციტირება სქოლიოში:</u> [დასახელება], [მითითება არაოფიციალური თარგმანის შესახებ], [ბმული].

1. French Corporate Duty of Vigilance Law, (English Translation by European Coalition of Corporate Justice, 2016), ხელმისაწვდომია: <u>https://respect.international/</u>, განახლებულია: 10.09.2021.

თუ დარწმუნებული არ ხართ უცხოური სამართლებრივი აქტების მახასიათებლებთან დაკავშირებით, შეგიძლიათ, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის გზამკვლევს მიმართოთ.

გახსოვდეთ, რომ სამართლებრივი აქტების ციტირებისას დეტალურობის ხარისხი ემსახურება მკითხველის ინფორმირებას. შესაბამისად, მთავარია, თქვენ მიერ მითითებული მონაცემები წყაროს იდენტიფიცირებისა და მარტივად მოძიების შესაძლებლობას იძლეოდეს. აქედან გამომდინარე, შეგიძლიათ სამართლებრივი აქტების ციტირების სტილი ტექსტის საჭიროებებს უფრო თამამად მოარგოთ. მაგალითად, მცირე ზომის ტექსტში არ გამოიყენოთ მათი დამატებითი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია.

თუმცა, დეტალურობის რა ხარისხიც არ უნდა აირჩიოთ, მნიშვნელოვანია, სამართლებრივი აქტების ციტირება თანმიმდევრული და ამომწურავი იყოს. დიდი ტექსტების შემთხვევაში ასევე აუცილებელია, ბიბლიოგრაფიაში ცალკე გამოიყოს სამართლებრივი აქტების კატეგორია მათ შესახებ სათანადო ინფორმაციის მითითებით.

საქართველოს სამართლებრივი აქტები

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია უნიკალური და ფუძემდებლური სამართლებრივი აქტია. შესაბამისად, მისი მოქმედი რედაქციის სქოლიოში ციტირება მისაღებია გამარტივებულად, გამომცემი ორგანოსა და თარიღის დასახელების გარეშე. თუმცა, ბიბლიოგრაფიაში ამ მონაცემების მითითება აუცილებელია.

<u>ციტირების წესი - საქართველოს კონსტიტუცია</u>

<u>ციტირება სქოლიოში:</u> საქართველოს კონსტიტუცია, მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u> საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. №786. 1995 წლის 24 აგვისტო.

საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქციის ციტირებისას მიეთითება ამ რედაქციის საწყისი თარიღი.

<u>ციტირების წესი - საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქცია</u>

<u>ციტირება სქოლიოში:</u> საქართველოს კონსტიტუცია, მე-14 მუხლი [2013 წლის 4 ოქტომბრიდან მოქმედი რედაქცია].

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u> საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. №786. 24 აგვისტო, 1995 [2013 წლის 4 ოქტომბრიდან მოქმედი რედაქცია].

საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს ორგანული კანონებისა და კანონების ციტირება ხდება საქართველოს კონსტიტუციის მსგავსი წესით. თუმცა, გამონაკლისია ორგანული კანონი, რომელიც, იმავდროულად, კოდექსიცაა. ასეთ დროს კოდექსის დასახელება ჩაისმება ბრჭყალებში. გაითვალისწინეთ, რომ სხვა შემთხვევებში მას თან არ ერთვის სიტყვათშეთანხმება „საქართველოს კანონი“.

<u>ციტირების წესი - კანონები და ორგანული კანონები</u>

<u>ციტირება სქოლიოში:</u> [დასახელება], [მუხლი (ან ნაწილი), პუნქტი, ქვეპუნქტი].

1. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მე-11 მუხლი.

2. საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მე-4 მუხლი.

3. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მე-20 მუხლის მე-2 ნაწილი.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u> [დასახელება]. [გამომცემი ორგანო]. [აქტის ნომერი]. [მიღების თარიღი].

1. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. საქართველოს პარლამენტი. №2391-IIს. 2014 წლის 2 მაისი.

სხვა სახის სამართლებრივი აქტები

სხვა ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების ციტირებისას აუცილებელია გამომცემი ორგანოს დასახელებაც. შესაძლოა, ასევე საჭირო იყოს აქტის ნომრის, მიღების თარიღისა და მოქმედების პერიოდის მითითებაც, აქტის შინაარსიდან და ხასიათიდან გამომდინარე.

<u>ციტირების წესი - სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტები</u>

<u>ციტირება სქოლიოში:</u> [დასახელება], [მუხლი (ან ნაწილი), პუნქტი, ქვეპუნქტი].

1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს პრეზიდენტის დროშის დამტკიცების შესახებ, 1-ლი მუხლი.

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება მიწის ბალანსის ფორმის დამტკიცების შესახებ, დანართი.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u> [დასახელება]. [გამომცემი ორგანო]. [აქტის ნომერი]. [მიღების თარიღი].

1. ბრძანებულება საქართველოს პრეზიდენტის დროშის დამტკიცების შესახებ. საქართველოს პრეზიდენტი. №191. 2020 წლის 30 ივლისი.

2. ბრძანება მიწის ბალანსის ფორმის დამტკიცების შესახებ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი. №2-826. 2021 წლის 7 ივნისი. დანართი.

კანონპროექტი და განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტის ციტირებისას, მნიშვნელოვანია, დასაწყისშივე აღნიშნოთ, რომ კანონპროექტზეა საუბარი და არა - კანონზე. მისი დასახელება იწერება ბრჭყალებში. გარდა ამისა, სამართლებრივი აქტებისგან განსხვავებით, აუცილებელია სქოლიოში ისეთი ინფორმაციის მითითება, როგორიცაა კანონპროექტის ინიციატორი ორგანო, საიდენტიფიკაციო კოდი და რეგისტრაციის თარიღი.

განმარტებითი ბარათის შესახებ ინფორმაცია იწერება კანონპროექტის ციტირების ბოლოს. შესაბამისი გვერდი მიეთითება სტანდარტული წესით, მხოლოდ მისი აღმნიშვნელი ციფრის გამოყენებით.

<u>ციტირების წესი - კანონპროექტი და განმარტებითი ბარათი</u>

<u>ციტირება სქოლიოში:</u> საქართველოს კანონის პროექტი [„დასახელება“], [ინიციატორი], [ნომერი], [თარიღი] [მუხლი (ან ნაწილი), პუნქტი, ქვეპუნქტი].

1. საქართველოს კანონის პროექტი „მუზეუმების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს მთავრობა, №07-2/447/9, პირველი მოსმენის ვარიანტი, პირველი მუხლის მე-4 პუნქტი.

2. საქართველოს კანონის პროექტი „მუზეუმების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს მთავრობა, №07-2/447/9, პირველი მოსმენის ვარიანტი, განმარტებითი ბარათი, 3.

კანონპროექტების შესახებ ინფორმაცია, მათი განმარტებითი ბარათების ჩათვლით, ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ან საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდებზე.

უცხო ქვეყნის ეროვნული სამართლებრივი აქტები

უცხო ქვეყნების სამართლებრივი აქტების ციტირება უნდა მოხდეს ორიგინალის ენაზე, იმავე სტანდარტით, როგორც საქართველოს სამართლებრივი აქტების შემთხვევაში და იმ ინფორმაციის შესაბამისად, რომელიც მასზე მოიძებნება. თუ მოიპოვებთ აქტის არაოფიციალურ თარგმანს სხვა ენაზე (მაგალითად, საფრანგეთის აქტის ინგლისურენოვანი თარგმანი), ამის შესახებ მიუთითეთ წყაროს ციტირებისას. ბიბლიოგრაფიაში, სასურველია, აღინიშნოს აქტის დასახელება ან რეგულირების სფერო ქართულადაც, რათა მკითხველისთვის მეტად გასაგები იყოს მისი რაობა.

კონსტიტუცია

უცხო ქვეყნების კონსტიტუციების ციტირებისას, მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ მათი უნიკალური მახასიათებლები, მაგალითად, როგორ აღინიშნება სხვადასხვა დანაყოფი ან დებულება.

<u>ციტირების წესი - უცხო ქვეყნის კონსტიტუცია</u>

<u>ციტირება სქოლიოში:</u> [აქტის დასახელება], [ნორმა (მუხლი, სექცია, პარაგრაფი)].

1. U.S. Constitution, Article I, Section 5, Clause 2.

2. Grundgesetz der Bundesrepublik Deutschland, Art. 1 Abs. 1 S. 1.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u> [დასახელება]. [სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაცია].

1. U.S. Constitution [ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია].

2. Grundgesetz der Bundesrepublik Deutschland [გერმანიის ძირითადი კანონი].

კანონმდებლობა

კანონმდებლობის ციტირებისას, მნიშვნელოვანია, მიუთითოთ ქვეყანაც, თუ ის ორიგინალში არ გვხვდება. ასევე აუცილებელია, მინიმუმ ბიბლიოგრაფიაში, დაასახელოთ ინტერნეტ ან ფიზიკური წყარო, სადაც ეს საკანონმდებლო აქტი მოიძიეთ. თუ ინფორმაცია არაოფიციალური თარგმანიდან მიიღეთ, საჭიროა, ესეც აღნიშნოთ.

საკანონმდებლო აქტებში დებულებების შესახებ ინფორმაცია (მუხლი, პარაგრაფი, სექცია, ა.შ.) გადმოტანილი უნდა იყოს იმავე მეთოდით, რომელსაც ორიგინალი იყენებს.

<u>ციტირების წესი - უცხოური საკანონმდებლო აქტები</u>

<u>ციტირება სქოლიოში:</u> [დასახელება], [მუხლი].

1. LOI n° 2017-399 du 27 mars 2017 relative au devoir de vigilance des sociétés

ères et des entreprises donneuses d’ordre, Article 1, ხელმისაწვდომია: <u>https://www.legifrance.gouv.fr</u>.

2. French Corporate Duty of Vigilance Law, (English Translation by European Coalition of Corporate Justice, 2016), ხელმისაწვდომია: <u>https://respect.international/</u>, განახლებულია: 10.09.2021.

3. Modern Slavery Act 2015, UK, ხელმისაწვდომია: <u>https://www.legislation.gov.uk.</u>

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u> [დასახელება], [სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაცია].

1. LOI n° 2017-399 du 27 mars 2017 relative au devoir de vigilance des sociétésères et des entreprises donneuses d’ordre. ხელმისაწვდომია: <u>https://www.legifrance.gouv.fr.</u> განახლებულია: 10.09.2021 [საფრანგეთის კანონი დამფუძნებელი და ზემდგომი კომპანიების კორპორაციული წინდახედულობის შესახებ].

სხვა სახის სამართლებრივი აქტები

სხვა უცხოური სამართლებრივი აქტების ციტირება, საქართველოს აქტების მსგავსად, შეგიძლიათ გამომცემი ორგანოს მითითებით, ასევე ორიგინალის ენაზე. გარდა ამისა, სასურველია ბიბლიოგრაფიაში ქართულ ენაზე აქტის დასახელების ან ძირითადი რეგულირების სფეროს აღნიშვნა.

საერთაშორისო აქტები

საერთაშორისო აქტების ციტირებისას, მნიშვნელოვანია, განსაზღვროთ, რა სახის აქტთან გაქვთ საქმე. თუ ის საქართველოს მიერ რატიფიცირებულია, ან სხვა მიზეზით მისი ოფიციალური თარგმანი არსებობს (განთავსებულია საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე), აქტის დასახელება და სხვა ინფორმაცია (მუხლი, პარაგრაფი და ა.შ.) დაწერეთ ქართულად, სხვა შემთხვევაში კი - ოფიციალური ვერსიის ერთ-ერთ ენაზე (სასურველია, ინგლისურად). თუ არ დგინდება შესაბამისი მოთხოვნა კონკრეტული ნორმის მითითებისას, იხელმძღვანელეთ იმ წესით, რომელიც გამოიყენება უცხოური აქტების ციტირებისას, მაგალითად - Art. 15, cl. 5(7).

უნიკალური საერთაშორისო აქტების შემთხვევაში აუცილებელი არ არის სქოლიოში დასახელების გარდა სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაციის მითითება. ასეთ აქტებს განეკუთვნება გაეროს საერთაშორისო შეთანხმებები და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები. თუმცა, ბიბლიოგრაფიაში ამ დეტალების, ასევე ორიგინალის ენაზე დასახელების მითითება საჭიროა (თუ აქტი ქართულ ენაზეა ციტირებული).

<u>ციტირების წესი - საერთაშორისო აქტები</u>

<u>ციტირება სქოლიოში ორიგინალის ენაზე:</u>

1. Universal Declaration of Human Rights, Article 12.

2. Convention on the Rights of the Child, Article 2.

3. European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Article 10.

<u>ციტირება სქოლიოში:</u>

1. ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია, მე-12 მუხლი.

2. ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-2 მუხლი.

3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მე-10 მუხლი.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u>

1. ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია [Universal Declaration of Human Rights]. გაეროს გენერალური ასამბლეა. 217 A (III). 1948 წლის 10 დეკემბერი.

2. ბავშვის უფლებათა კონვენცია [Convention on the Rights of the Child]. გაეროს გენერალური ასამბლეა. გაეროს შეთანხმებათა სერია (ან UNTS) 1577. 1989 წლის 20 ნოემბერი.

3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია [European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms]. ევროპის საბჭო. ევროპული შეთანხმებების სერია (ან ETS) 5. 1953 წლის 4 ნოემბერი.

საერთაშორისო აქტების სრულყოფილი ციტირებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება ხშირად რთულია. ამისთვის შეგიძლიათ, გამოიყენოთ სხვადასხვა ინტერნეტრესურსი. მაგალითად, Refworld-ის ვებსაიტზე შესაძლებელია სხვადასხვა საერთაშორისო აქტის საიდენტიფიკაციო მონაცემების მოძიება.

refworld

Title	Universal Declaration of Human Rights
Publisher	UN General Assembly
Publication Date	10 December 1948
Topics	Human rights and fundamental freedoms | Treaties / Agreements / Charters / Protocols / Conve
Citation / Document Symbol	217 A (III)
Other Languages / Attachments	Arabic | Chinese | French | Georgian | German | Greek | Russian | Spanish
Cite as	UN General Assembly, *Universal Declaration of Human Rights*, 10 December 1948, 217 A (III),
Comments	Adopted by General Assembly Resolution 217 A(III) of 10 December 1948. The Universal Decla Commissioner for Human Rights.

საერთაშორისო ორგანოების ანგარიშები, კომენტარები და დასკვნები

საერთაშორისო ორგანოების მიერ შემუშავებული დოკუმენტების ციტირებისას გამოიყენება იგივე წესი, რაც აკადემიური ლიტერატურის შემთხვევაში. სქოლიოში ჯერ მიეთითება გამომცემი ორგანო, შემდეგ დოკუმენტის დასახელება და ბოლოს სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები (სერია, ნომერი, თარიღი). სასურველია, მას ასევე დაურთოთ შესაბამისი ბმული, რაც მკითხველს წყაროს იდენტიფიცირებაში დაეხმარება.

სქოლიოში ამგვარი დოკუმენტების დებულებების მითითებისას, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიაქციოთ მასში გამოყენებულ აღნიშვნებს. მაგალითად, რა ფორმატია მასში გამოყენებული - ტექსტი დაყოფილია პარაგრაფების, გვერდების მიხედვით თუ სხვა ფორმით?

<u>ციტირების წესი - საერთაშორისო ორგანოების მიერ გამოცემული დოკუმენტები</u>

<u>ციტირება სქოლიოში:</u> [გამომცემი ორგანო/ინსტიტუტი], [წყაროს დასახელება], [წყაროს საიდენტიფიკაციო მონაცემები], [გამოცემის ადგილი და თარიღი].

1. UN Human Rights Committee (UNHRC), General Comment no. 34, Article 19, Freedoms of opinion and expression, para. 26.

2. Organization for Security and Co-operation in Europe (ODIHR), Third Report on the Nomination and Appointment of Supreme Court Judges in Georgia: December 2020 – June 2021, Warsaw, 9 July 2021, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/492115, განახლებულია: 01.09.2021.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u>

1. UN Human Rights Committee. General Comment no. 34, Article 19, Freedoms of opinion and expression. CCPR/C/GC/34. 12 September, 2011.

2. Organization for Security and Co-operation in Europe. Third Report on the Nomination and Appointment of Supreme Court Judges in Georgia: December 2020 – June 2021. Warsaw, 9 July 2021. ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/492115, განახლებულია: 01.09.2021.

2.4.2. სასამართლოს აქტები (გადაწყვეტილებები, განსხვავებული და თანმხვედრი აზრები)

საქართველოს სასამართლოები (საკონსტიტუციო, საქალაქო, უზენაესი)

საქართველოს სასამართლოების აქტების ციტირების ზოგადი წესის მიხედვით, თავდაპირველად მიეთითება გამომცემი სასამართლო, რომელსაც მოსდევს საქმის ნომერი და თარიღი. შემდეგ იწერება აქტის ტიპი, საქმის დასახელება, ბოლოს კი სასამართლოს აქტის კონკრეტული დებულება.

<u>ციტირების წესი - საქართველოს სასამართლოების აქტები</u>

<u>ციტირება სქოლიოში:</u> [გამომცემი სასამართლო, თარიღი, საქმის ნომერი], [აქტის ტიპი და „საქმის დასახელება“].

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება, „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის №ას-1198-2019 გადაწყვეტილება, „ნ.ე. მ.მ-ისა და ე.ჭ-ის წინააღმდეგ“.

<u>მომდევნო ციტირება სქოლიოში:</u>

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის №ას-1198-2019 გადაწყვეტილება.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u>

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება. „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ზემოთ აღწერილი პრინციპის შესაბამისად, ციტირებას ექვემდებარება სასამართლოების სხვა აქტებიც, მაგალითად, განჩინება ან საოქმო ჩანაწერი. განსხვავებული ან თანმხვედრი აზრის ციტირებისას აღნიშვნა კეთდება საქმის დასახელებასთან.

<u>ციტირების წესი - განსხვავებული/თანმხვედრი აზრი</u>

<u>ფორმულა:</u> [სასამართლო, თარიღი, ნომერი], [აქტის ტიპი და „საქმის დასახელება“].

<u>ციტირება სქოლიოში:</u>

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის №1/5/826 გადაწყვეტილება, „საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი, 5.

<u>მომდევნო ციტირება სქოლიოში:</u>

1. მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი №1/5/826 გადაწყვეტილებაზე, 7.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u>

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის №1/5/826 გადაწყვეტილება. „საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი.

სასამართლოს აქტში კონკრეტულ დებულებაზე მიუთითეთ ამ სასამართლოს მიერ დადგენილი წესით.

<u>ციტირების წესი - საქართველოს სასამართლოს აქტები</u>

<u>ციტირება სქოლიოში:</u>

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება, „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12-14.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის №ას-1198-2019 გადაწყვეტილება, „ნ.ე. მ.მ-ისა და ე.ჭ-ს წინააღმდეგ“, 19.1-19.2.

უცხო ქვეყნის ეროვნული სასამართლოები

უცხო ქვეყნების ეროვნული სასამართლოების აქტების ციტირება ხდება ორიგინალის ენაზე. ციტირების სტანდარტის დასაცავად მიჰყევით შემდეგ ფორმულას: ჯერ დაწერეთ საქმის დასახელება ბრჭყალების გარეშე, შემდეგ - მისი ნომერი, ამის შემდგომ - ქვეყანა, სასამართლო და თარიღი. ბოლოს მიეთითება კონკრეტული დებულება, რა დროსაც გამოიყენება ამ სასამართლოს მიერ დადგენილი წესი. თავად სასამართლოს სახელი დაწერეთ იმ ენაზე, რომელზეც აქტს გაეცანით.

<u>ციტირების წესი - უცხო ქვეყნების სასამართლოს აქტები</u>

<u>ფორმულა:</u> [დასახელება], [ნომერი], [სასამართლო და ქვეყანა], [თარიღი], [დებულება].

<u>ციტირება სქოლიოში:</u>

1., Roe v. Wade, 410 U.S. 113, Supreme Court of the United States, 1973, 125.

2. 1 BvR 400/51, Bundesverfassungsgericht, 14 January 2014, III-5.

<u>ციტირება ბიბლიოგრაფიაში:</u>

1. Roe v. Wade. 410 U.S. 113. Supreme Court of the United States. 1973.

2. 1 BvR 400/51. Bundesverfassungsgericht. 14 January 2014.

საერთაშორისო სასამართლოები

საერთაშორისო სასამართლოების აქტების ციტირებისას გამოიყენება იგივე წესი, რაც უცხო ქვეყნების ეროვნული სასამართლოების შემთხვევაში.

ციტირების წესი - საერთაშორისო სასამართლო აქტები

ფორმულა: [დასახელება], [ნომერი] [სასამართლო და ქვეყანა], [თარიღი], [დებულება].

ციტირება სქოლიოში:

1. Sejdovic v. Italy, no. 56581/00, European Court of Human Rights [GC], 2006, §81.

2. Corfu Channel Case (United Kingdom v. Albania), Assessment of Compensation, 15 XII 49, International Court of Justice, 15 December 1949.

3. the Prosecutor v. Germain Katanga and Mathieu Ngudjolo Chui, ICC-01/04-01/07 OA 8, International Criminal Court (ICC), 25 September 2009.

ციტირება ბიბლიოგრაფიაში:

1. Sejdovic v. Italy, no. 56581/00, European Court of Human Rights [GC], 2006, §81.

2. Corfu Channel Case (United Kingdom v. Albania). Assessment of Compensation. 15 XII 49. International Court of Justice. 15 December 1949.

3. The Prosecutor v. Germain Katanga and Mathieu Ngudjolo Chui. ICC-01/04-01/07 OA 8. International Criminal Court (ICC). 25 September 2009.

2.5. დამხმარე ინფორმაცია

2.5.1. ციტირების გენერატორი პროგრამები

კვლევის დოკუმენტსა თუ ანგარიშზე მუშაობისას საკმაოდ ხშირია პირველი პროექტის რადიკალური ცვლილება ან ტექსტის გადაადგილება. შესაბამისად, რთულდება წყაროების მართვა და ციტირების ერთიანი სტილის შენარჩუნება. ამ ამოცანას ამარტივებს ციტირების გენერატორი პროგრამები, როგორებიცაა, მაგალითად, ზოტერო (Zotero), ენდნოუთი (EndNote), მენდელი (Mendeley) და სხვა. არსებობს ასევე უამრავი ინტერნეტრესურსი, რომლებიც ციტირების გენერირებას უზრუნველყოფს. ყველაზე მარტივი და ფართოდ გავრცელებულია Google Scholar.

ამ პროგრამების უმრავლესობა აღჭურვილია დამატების ფუნქციით (add-in), რომელიც საშუალებას იძლევა, კვლევის პროცესში ბრაუზერიდან პერსონალურ ბიბლიოთეკაში დაამატოთ წყაროების შესახებ ინფორმაცია, აირჩიოთ სასურველი სტილი (მაგალითად, ჩიკაგოს სტილი) და პირდაპირ განახორციელოთ ციტირება. ეს პროგრამები უზრუნველყოფს ციტირების მართვის ავტომატიზებას და ტექსტის გადანაცვლებისა ან ცვლილებისას მას სათანადო ფორმატში სვამს. მათი დახმარებით, ასევე ავტომატურად გენერირდება ბიბლიოგრაფია სტილის მოთხოვნების შესაბამისად.

თუმცა, ეს პროგრამები, მათი უპირატესობების მიუხედავად, შეზღუდულია წყაროს შესახებ არსებული ინფორმაციით. შესაბამისად, ამ რესურსით დაუდევრად სარგებლობამ, შესაძლოა, ხარვეზიანი ციტირება გამოიწვიოს. სწორედ ამიტომ, **აუცილებელია,**

ისინი სათანადო სიფრთხილით და ყურადღებით გამოიყენოთ.

- გადაამოწმეთ, ვებსაიტზე წყაროს შესახებ არსებული ინფორმაცია სწორად აისახა თუ არა პროგრამის ბიბლიოთეკაში;
- თუ ბიბლიოთეკაში არსებულ ინფორმაციას მნიშვნელოვანი მონაცემი აკლია, პროგრამაში ხელით დაამატეთ;
- გადაამოწმეთ, დოკუმენტში ციტირება სწორად განხორციელდა თუ არა;
- გადაამოწმეთ ბიბლიოგრაფია და წყაროთა თანმიმდევრობა.

2.5.2. დამატებითი რესურსები

- Chicago-ს გზამკვლევი დაგეხმარებათ სხვადასხვა ტიპის წყაროებისთვის ციტირების სტანდარტის სწრაფად მოძიებაში. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ამ გზამკვლევის სტანდარტები, შესაძლოა, განსხვავდებოდეს Chicago-ს წესებისგან.
- OSCOLA-ს გზამკვლევი დაგეხმარებათ სამართლებრივი წყაროების ციტირების სტანდარტის სწრაფად მოძიებაში. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ამ გზამკვლევის სტანდარტები, შესაძლოა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს OSCOLA-ს წესებისგან.
- ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის გზამკვლევი დაგეხმარებათ სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის სპეციფიკური ინფორმაციის მოძიებაში. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ეს გზამკვლევი საკმაოდ ხანდაზმულია და, შესაძლოა, მოძველებულ ინფორმაციას შეიცავდეს.
- Refworld-ის ვებსაიტი დაგეხმარებათ საერთაშორისო აქტების, ანგარიშებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში. გაითვალისწინეთ, რომ Refworld-ის შემოთავაზებული ციტირების წესები განსხვავდება ამ გზამკვლევის სტანდარტებისგან.
- Google Scholar და სხვა ბევრი ვებგვერდი დაგეხმარებათ წყაროების Chicago-ს სტილით ციტირებაში. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ასეთმა საიტებმა, ამ გზამკვლევის სტანდარტებთან შეუსაბამობის გარდა, შესაძლოა, ის ხშირად სპეციფიკური ფორმით მოგაწოდონ. მაგალითად, Google Scholar-ის მიერ შემოთავაზებული Chicago-ს სტილის ციტირება ბიბლიოგრაფიისთვისაა და არა - სქოლიოსთვის.